ყოველდღიური გაზეთი

# ახალი თაობა

Akhali Taoba

„ახალი თაობა"+ „სერვანტესი"

**8 ლარი**

16 მაისიდან 30 მაისამდე




ოთხშაბათი, 18 მაისი, 2011 №116 (5497) ფასი: 30 თეთრი

# ბურჯანაძე და ოქრუაშვილი ვერ შერიგდნენ





გვ.3

## ხელისუფლებას დისკომფორტს შევუქმნით



გვ.2

ბევრი ლაპარაკია რევოლუციაზე, განსაკუთრებით მაისის თვეში, ზოგს ერთი თარიღი მიაჩნია მიზანშეწონილად, ზოგს მეორე თარიღი მიაჩნია. მოკლედ, პოლიტიკური ცხოვრება დუღს, მაგრამ ჩვენ ვფიქრობთ, რომ სწორი გზა ის არის, რომელიც შორი გზაა და რომელიც მშვიდობიანად და გამარჯვებით დაასრულებს პროცესებს.

## უკვე დროა, საქართველოს ხელისუფლება ქართველმა ხალხმა აირჩიოს

გვ.7

## პოლიციამ ადვოკატების აქცია დაშალა

გვ.4





## რევოლუცია საკაკაშვილზე უარეს მმართველს მოგვიყვანს

გვ.5

გვ.3

## კოკოითის პარლამენტის თავმჯდომარე აუმხედრდა





## ივანიშვილის პოლიტიკაში გასვლას თავი დაანებეთ

გვ.4



## ხელისუფლებას შიშველი ხელებით დავუპირისპირდებით

გვ.2

**3090**

sms განცხადებები „ახალ თაობაში"

თუ გსურთ ბინის, ავტომანქანის ან სხვა რამის ყიდვა ან გაყიდვა, აკრიფეთ თქვენს მობილურ ტელეფონში შესაბამისი ტექსტი და გააგზავნეთ sms ნომერზე **3090** მაგთიდან და ჯეოსელიდან.

თქვენი განცხადება გამოქვეყნდება გაზეთ „ახალი თაობის" უახლოეს ნომერში.

განცხადებები, რომლებშიც საკუთარი ტელეფონის ნომერი არ იქნება, არ დაიბეჭდება!

1 sms-ის ფასია 50 თეთრი.

ISSN 1987-9385

4 საკაკაშვილს ქურის აქციების კი არა, ჩვენი ბებიის ეშინია

3 ცაგარეიშვილმა და ლორთქიფანიძემ კომისია დატოვეს

7 აზერბაიჯანის ხელისუფლება ინგილოების უფლებებს ზღუდავს

9 გაბელიამ ჯერ მხოლოდ ლეგიონერები გაამხილა

ლურჯი წითელი ყვითელი შავი

# ხელისუფლებას დისკომფორტს შევუქმნით

ნონა ცაბა ე

## ინტერვიუ კონსერვატიული პარტიის ლიდერ ზვიად ძიძიგურთან

***— ბატონო ზვიად, როგორ შეაფასებდით ქართული პარტიის მიერ დაწყებულ კამპანიას ამერიკის შეერთებული შტატების წინააღმდეგ? რა მიზანს ემსახურება ეს ყველაფერი?***

— ქართულ პარტიას აქვს კონსტიტუციური უფლება, აკრიტიკოს ამერიკელები და ამ უფლებას ის იყენებს. რამდენად არის ახლა სწორი მათი გადასახედიდან ამის გაკეთება, ეს თვითონ მათი განსასაზღვრია, მე ამ შემთხვევაში მათ მრჩევლად ნამდვილად ვერ გამოვადგები. თუმცა, მე ვფიქრობ, რომ პარტია, რომელიც რევოლუციისთვის ემზადება, მოკავშირეებს უნდა ეძებდეს გარეთაც და შიგნითაც. რაღაცა ასეთი ტიპის ქმედებებს მე ამ ორგანიზაციიდან ვერ ვხედავ, ვინაიდან ხშირად არის შიგნითაც პოლიტიკურ რვიანზე თავდასხმები, სხვადასხვა პარტიებზე თავდასხმა, სახალხო კრებასთან მათი მუდმივი კინკლაობა, ვფიქრობ, რომ პრაგმატული მოსაზრებით მთლად გამართლებული არ არის. ამერიკის შეერთებულ შტატებს და საელჩოს რაც შეეხება, მე ვფიქრობ, რომ პრეტენზიები, რომელიც შეიძლებოდა რესპუბლიკურ ადმინისტრაციასთან ჰქონოდა, დავუშვათ, საქართველოს საზოგადოებას, იგივე პრეტენზიები ჰქონდეს ახლა ობამას ადმინისტრაციასთან მთლად გამართლებული არ არის. ვინაიდან ძალიან მწვავე დოკუმენტი დადო ამერიკის სახელმწიფო დეპარტამენტმა საქართველოში დემოკრატიასთან მიმართებაში, ასევე უნდა გითხრათ ჰილარი კლინტონის განცხადება ხელისუფლების მშვიდობიანი არჩევნების გზით გადაბარების შესახებ, ასევე აპატურაის სრულუფლებიანი წარმომადგენლის კავკასიაში განცხადებები. ამავე დროს ელჩი, რომელიც აკეთებს საკმაოდ მწვავე განცხადებებს, რომელიც საკმაოდ დიპლომატიურობის ზღვარზე გადის მისი განცხადება, მე ვფიქრობ, რომ ისინი მართლაც დემოკრატიული რეფორმების მხარდაჭერით არიან დაინტერესებული. ზოგადად, რა თქმა უნდა, ჩვენი ქვეყანა ჩვენ თვითონ უნდა ვმართოთ. ეროვნულ საბჭოს მიაჩნია, რომ რუსეთთან დიალოგის გარეშე და მათთან ურთიერთობის გაუმჯობესების გარეშე არავითარ შემთხვევაში არ გამოსწორდება ჩვენთან არსებული პოლიტიკური მდგომარეობა და ვფიქრობ ამერიკასთანაც, რუსეთთანაც გვჭირდება მეგობრული ურთიერთობა და არავითარ შემთხვევაში არ გვჭირდება გამწვავებული ურთიერთობა.

***— გაჩნდა ასეთი მოსაზრებები, რომ ამერიკაზე განაწყენებული სააკაშვილის პოზიციას ახმოვანებს ოქრუაშვილი და მისი პარტიაო...***

— მე ვერ გეტყვით, რას ახმოვანებს, აქ რაღაც ჰიპოტეტური ამბებია, ალბათ, თვითონ კარგად იციან, რასაც აკეთებენ, თავიანთი საქმეა, თავიანთი გადასაწყვეტია და რასაც უნდა იმას აკეთებენ. მე არ ვიცი სხვა პარტია რამეს როცა აკეთებს, რატომ აკეთებს. მე ჩემი მოსაზრება მაქვს იმ საკითხებზე, რომელზედაც სხვა პარტიას შეიძლება თავის მოსაზრება ჰქონდეს.

***— ისინი რევოლუციისთვის ემზადებიან და მათი ქცევები ცოტა არ იყოს არ მოდის ინტერესთა თანხვედრაში...***

— ვერ გეტყვით, ბევრი ლაპარაკია რევოლუციაზე, განსაკუთრებით მაისის თვეში, ზოგს ერთი თარიღი მიაჩნია მიზანშეწონილად, ზოგს მეორე თარიღი მიაჩნია. მოკლედ პოლიტიკური ცხოვრება დუღს, მაგრამ ჩვენ ვფიქრობთ, რომ სწორი გზა ის არის, რომელიც შორი გზაა და რომელიც მშვიდობიანად და გამარჯვებით დაასრულებს პროცესებს. პოლიტიკურ რვიანს აქვს თავისი კონკრეტული გეგმა. ჩვენი გეგმის შემადგენელი ნაწილია, დღეს რუსთავში გვაქვს მოსახლეობასთან შეხვედრა, სადაც ინფორმაცია უნდა მივაწოდოთ რა მდგომარეობაა, რა ხდება და პოლიტიკური კამპანია პოლიტიკურ რვიანს უკვე დაწყებული აქვს, რათა რაც შეიძლება მეტი მხარდაჭერა მოიპოვოს ქვეყნის შიგნით მოსახლეობისაგან. გარე მხარდაჭერა, როგორც ასეთი პოლიტიკურ რვიანს და იმპროცესს, რომელშიც ის არის ჩართული, საკმარისად გააჩნია უკვე.

***— ბიძინა ივანიშვილზე რას გვეტყვით, საუბარია, რომ ის ოპოზიციური პარტიის დაფინანსებას აპირებს.***

— ბიძინა ივანიშვილმა დააფინანსა და ააშენა სამების ტაძარი. ძალიან ბევრი ახალი ტაძარი უკავშირდება მის სახელს. ქართული ფონდის მიერ რესტავრირებულია ძალიან ძველი ტაძრები. ვიცი, რომ მთელს საჩხერეს ეხმარება, ამას წინათ, ჩემი მეგობარი ჩამოვიდა საჩხერელი, რომელმაც ბავშვს ოპერაცია გაუკეთა და ბიძინა ივანიშვილი იხდის ამის ფულს. გზა გაყვანილი საჩხერეში და საერთოდ საცხერეში მე ვფიქრობ, სულ ცოტა უფრო სხვაგვარი მიკრო კლიმატია შექმნილი ფინანსური თვალსაზრისით და სოციალური დაცვის თვალსაზრისით, ვიდრე მთელ საქართველოში და ამ



ყველაფერს ამ კაცს უნდა უმადლოდნენ. რაც შეეხება ეხლა მასზე თავდასხმას, პრეტენზიებს და ასე შემდეგ, მე არ ვიცი, აქვე ვერ გამოვადგები ვერავის მრჩევლად. მე უბრალოდ ნამდვილად გამიკვირდა ბატონი შალვა ნათელაშვილის განცხადება, ვინაიდან მახსოვს კარგად, რომ მაშინ, როდესაც ის იყო პრეზიდენტობის კანდიდატი, პრემიერობის კანდიდატად დაასახელა ბიძინა ივანიშვილი და მაშინ მას ხელოვნების მუზეუმიც აშენებული ჰქონდა ბოტანიკურ ბაღთან და 7 ნოემბერიც უფრო ახალი მომხდარი იყო. არ ვიცი, ვერაფერს გეტყვით, ბატონ შალვასაც ალბათ თავისი მოსაზრებები აქვს. მე ერთი ვიცი, რომ ბიძინა ივანიშვილის პოლიტიკაში ჩართვის მცდელობა ძალიან ბევრი იყო ბოლო წლების განმავლობაში, მაგრამ ეს კაცი არ ჩაერია ამ საქმეში. მე მის განცხადებაში არ წამიკითხავს, რომ ისინი ოპოზიციური პარტიების დაფინანსებას აპირებდნენ. მე დარწმუნებული ვარ, რომ ის საქმე, რომელსაც ივანიშვილი აკეთებს, გაცილებით უკეთესია საქართველოსთვის, ვიდრე კიდევ ერთი მდიდარი კაცი ჩაერთოს პოლიტიკაში. მე ასე ვუყურებ ამ საკითხს და სხვა რას ფიქრობს, არ ვიცი.

***— სააკაშვილს სწორედ ეს ხომ არ აშინებს და ამ განცხადებების გაჟღერებით თავს ხომ არ იცავს?***

— არ ვიცი, სააკაშვილს თავის დაცვის ძალიან ბევრი საშუალება აქვს და ასეთი ფორმით იცავდეს თავს, ცოტა არარეალურად მეჩვენება.

***— ოპოზიციურ რვიანს რაც შეეხება, ბატონო ზვიად, თქვენ გააკეთეთ განცხადება, რომ გადადიხართ პოლიტიკურ კამპანიაზე, კონკრეტულად რა გეგმები გაქვთ?***

— ჩვენ სრული პასუხისმგებლობა მაისში პროცესების რადიკალიზაციასთან მიმართებაში დავაკისრეთ ხელისუფლებას, ვინაიდან როდესაც ის არ მოდის საარჩევნო დათმობებზე, ამით რადიკალურად განწყობილ მოსახლეობას და პოლიტიკურ პარტიებს აძლევს დამატებით არგუმენტს ხელში, რომელიც გამოიხატება ასე — ხომ ხედავთ, რომ არჩევნებით ეს კაცი წასვლას არ აპირებს, ამიტომ მისი შეცვლის და ქვეყნის გადარჩენის ერთადერთი გზა, ეს არის რევოლუცია. ასე განაწყობს ხალხს ფსიქოლოგიურად, ასეთი ლოგიკა წარმოიშვება, მას შემდეგ, როდესაც საარჩევნო გარემოზე არ აკეთებ ადრე დეკლარირებულ დათმობებს. აქედან გამომდინარე ვფიქრობთ, რომ სწორედაც ასეა, თვითონ ხელისუფლება უწყებს ხელს ამ მოვლენების დაძაბვას და პროცესების ქუჩაში გადატანას. ჩვენ არ ვაპირებთ გულხელდაკრეფილი ველოდოთ, როდის მოილებს მოწყალებას მიხეილ სააკაშვილი და როდის დაელაპარაკება პოლიტიკურ რვიანს არჩევნებთან დაკავშირებით. ჩვენ ვაპირებთ პოლიტიკური კამპანიის გაშლას მთელი საქართველოს მასშტაბით, ეს არის კამპანია სრული ატრიბუტიკით, ეს იქნება მოსახლეობასთან შეხვედრა, ეს იქნება პერიოდიკის გამოცემა, დაბეჭდვა, კარდაკარ მოსახლეობასთან მისვლა, გასაუბრება, გაცნობა ჩვენი გეგმების, გაზეთების დაბეჭვდა, ბიულეტენების დაბეჭდვა, კანონპროექტისთვის მილიონი ხელმოწერის შეგროვება. ყველაფერი რაც შეეხება საარჩევნო სიტუაციას, აბსოლუტურად ყველაფერს განვახორციელებთ. თავის დროზე ზვიად გამსახურდიამ საარჩევნო გზა აირჩია მაშინ, როდესაც დანარჩენი ეროვნული მოძრაობის ყველა ლიდერი აკრიტიკებდა ამ გზას და თავდასხმები გაცილებით უფრო დიდი და მწვავე იყო. მაშინ ზვიად გამსახურდიას მიერ დეკლალირებულ საარჩევნო კანონზე და საარჩევნო გარემოზე მუშაობის მიმართულებით, ვიდრე ეს დღეს არის. ამიტომ დრომ გამოაჩინა, რომ თურმე არჩევნების საარჩევნო კანონიც შეიძლება მიაღებინო ნორმალური, არჩევნებიც მოიგო და ხელისუფლებაც შეცვალო. ჩვენ ეს უკვე ნანახი გვაქვს, მე პირადად ვლებულობდი ამ პროცესში მონაწილეობას და დარწმუნებული ვარ, რომ ის გზა, რომელსაც ადგას პოლიტიკური რვიანი, იქნება წარმატებული.

***— იმ შემთხვევაში თუ ასე ჯიუტად დაიცვა თავისი პოზიცია ხელისუფლებამ და არაფერი დათმო, შედეგი რა იქნება თვენ მიერ გაწეული საქმიანობის?***

— გეტყვით, რომ ჩვენ შეგვიძლია საკმაოდ სერიოზული დისკომფორტი შევუქმნათ ხელისუფლებას, როგორც ქვეყნის გარედან, ისე ქვეყნის შიგნიდან და ამას გავაკეთებთ მაქსიმალურად.

***— მაინც გაქვთ იმის იმედი, რომ დაათმობინებთ?***

— მას სხვა გზა არა აქვს, მას დათმობა მოუწევს.

# ხელისუფლებას შიშველი ხელებით დავუპირისპირდებით

ნონა ცაბა ე

## ინტერვიუ სახალხო კრების ლიდერ ნონა გაფრინდაშვილთან

***— ეროსი კიწმარიშვილმა სახალხო კრებას კონსულტაციების დაწყებისკენ მოუწოდებს, როგორია სახალხო კრების პოზიცია ამ ინიციატივასთან დაკავშირებით?***

— კონსულტაციებისთვის ჩვენ დრო აღარ გვრჩება. მოახლოვდა უკვე 21 მაისი და ჩვენ კონსულტაციებისთვის უბრალოდ ფიზიკური საშუალება აღარ გვაქვს. უბრალოდ, ვისაც აქვს სურვილი და ნამდვილად უნდა ამ ხელისუფლების გაშვება და აქვს სურვილი ხალხის



### ჩვენ კონსულტაციებისთვის დრო აღარ დაგვრჩა

გვერდში დადგეს. ეს არავისთვის არანაირ პრობლემას არ წარმოადგენს. ჩვენ გვინდა ამ ძალადობრივი რეჟიმის მოცილება, ეგაა და ეგ. კიდევ გავიმეორებ ჩვენ კონსულტაციებისთვის დრო უბრალოდ აღარ დაგვრჩა. დღეს ამის გასარკვევად არავის არც სცალია, იმიტომ, რომ ყველას თავისი საქმე აქვს.მე გავაკეთე საბჭოს სახელით განცხადება, რომ 2 მაისს ჩვენ გამოვაცხადებთ ჩვენი მოქმედების გეგმას და თარიღს, სახელისუფლო არხები და ზოგიერთი ოპონენტი იძახდა ასეთ რაღაცას, რომ აი, ხომ ნახეთ ორში არაფერი არ გააკეთესო. ამ დროს ჩვენ ორში, ამოიღოს ყველამ დოკუმენტი, განვაცხადეთ მოქმედების გეგმა და ახლა 21-ისკენ მივდივართ, დარჩა სულ რამდენიმე დღე. მე ყველა ოპონენტს მინდა ვუთხრა, რომ მათი კრიტიკული განცხადებები ჩვენზე ვერანაირად ვერ იმოქმედებს. არც ერთი ჩვენი განაცხადი არ ყოფილა ცდომილებასთან, თუნდაც ერთი დღის ფარგლებშიც კი. რასაც ვამბობდით ვაკეთებდით იმას. დღეს ჩვენ ყველანაირად მზადა ვართ, ვემზადებით 21-ისთვის და არ რჩება არც მორალური, არც ფიზიკური, არანაირი საშუალება, რომ წავიდეთ კონსულტაციებზე.

***— საუბრობენ, რომ ქართულ პარტიას ირაკლი ოქრუაშვილმა იმიჯი საკმაოდ გაუფუჭა, ისეთი შთაბეჭდილება დარჩა საზოგადოების ნაწილს, რომ ისინი ხელისუფლების თამაშს თამაშობენ და ახლა სახალხო კრების გვერდში დადგომით ცდილობენ პარტიის გადარჩენასო...***

— მე არ გავაკეთებ კომენტარებს. მე ჩემი გარკვეული აზრი ჩამოყალიბებული მაქვს, მაგრამ ეს ახლა არაფერს არ ნიშნავს. მე დღეს ხმამაღლა ვინმეს მიმართ არაფრის თქმას არ ვაპირებ.

***— თუ შემოგიერთდებიან, 21-ში უპრობლემოდ მიიღებთ?***

— 21-ში შემოერთება იმას ნიშნავს, რომ ხალხის გვერდში დადგე, თორემ ჩვენს გადაწყვეტილებებში ვერავინ ვერ მიიღებს მონაწილეობას. იმიტომ, რომ ჩვენ ვართ ძალიან შეკრული გუნდი, ერთმანეთს ვენდობით და ჩვენ ერთმანეთს იმდენად ვენდობით, რომ ვიცით, არავინ არც მოლაპარაკებაზე არ წავა და არც გარიგებაზე არ წავა. ვისაც უნდა ჩვენთან შემოერთება, მხოლოდ გადაწყვეტილებების გარეშე, ჩვენს გადაწყვეტილებებში სხვას ვერ ჩავახედებთ. ჩვენ 21-ში ვიწყებთ და არ მივდივართ სახლებში. ჩვენ ვიწყებთ მოქმედებას კონსტიტუციით მონიჭებული უფლებით, ვიწყებთ იმ მოქმედებებს, რომელიც ზის კონსტიტუციის ჩარჩოებში. დაუმორჩილებლობის აქციების ძალიან ბევრი ფორმა არსებობს. თუმცა, ძალიან დიდი მნიშვნელობა აქვს, რომ ყველაფერი იყოს უმტკივნეულოდ, რადგან მე ვფიქრობ, რომ ეს არის ხალხის გადარჩენის ბოლო საშუალება, თორემ თუ ეს ხელისუფლება კიდევ დარჩა, მაშინ საქართველოსგან არაფერი არ დარჩება. აბსოლუტურად ყველას მოვუწოდებ და ხმამაღლა ვაცხადებ, რომ აქ არ მიდის ბრძოლა ხელისუფლებისთვის. ჩვენ გვინდა ამ რეჟიმის მოცილება იმისთვის, რომ მერე შევქმნათ პირობები დემოკრატიული არჩევნების. ამაში რომ არ ჩაერიოს ძალოვანი სტრუქტურები, რომ არ იქნეს გამოყენებული სახელისუფლო რესურსები და ერთხელ და სამუდამოთ დავამკვიდროთ ტრადიცია, რომ ხელისუფლებაში მოდის ხალხის მიერ არჩეული. ეს უნდა იყოს ხალხის გადასაწყვეტი.

***— უამრავი კომენტარი და პროგნოზი კეთდება 26 მაისთან დაკავშირებით. თქვენთვისაც ცნობილია, რომ ხელისუფლება აპირებს რუსთაველზე აღლუმი გამართოს. რას უნდა ველოდოთ ამ შემთხვევაში?***

— მას არა აქვს არანაირი მორალური უფლება აგვისტოს ომის შემდეგ ატაროს აღლუმები, მაგრამ როცა ეს ხელისუფლება იძახდა დღე-ნახევარ წაგებულ ომში, რომ ჩვენ მაინც გამარჯვებულები ვართო, აი, ეს არის ის ფსიქიკური მდგომარეობა ამ ხელისუფლების. თქვენ გახსოვთ, როგორ ჩაატარეს შარშან აღლუმი პოლიციის შენობასთან, თუმცა, მათ ამის მორალური უფლება არ ჰქონდათ. ვნახოთ, მე არა მგონია, რომ მათ 26 აღლუმის ჩატარება შეძლონ.

***— ყველაფერი ალბათ იმაზეა დამოკიდებული, ხალხის რა მასა გამოვა?***

— ყველაფერი ხალხზეა დამოკიდებული. ჩვენ ძალიან ბევრი ვიმუშავეთ. ჩვენ შეგვეძლო უცბად გამოგვეცხადებინა თარიღი, მაგრამ ჩვენ ეს არ გავაკეთეთ იმისათვის, რომ მთელი ამ მხნის განმავლობაში ისეთი ზეწოლა მიდიოდა ადამიანებზე, ისეთ თავხედობებს და ძალადობებს ჰქონდა ადგილი, ისეთ უსამართლობებს ჰქონდა ადგილი, რომ ნელნელა ხალხის თავში ჩადეს ის, რასაც ჰქვია შიშის სინდრომი, მაგრამ ამას წინათ წერდა ვილაც, შიშიდან აგრესიამდე ერთი ნაბიჯიაო. დღეს ხალხს ისე უჭირს და იმდენად მძიმე მდგომარეობაა ყველანაირად, თუნდაც სოციალური ფონი ავიღოთ, რომ შიშს საერთოდ დაივიწყებს ყველა, ისე ამოხეთქავს ყველაფერი. ამიტომ რაც უფრო მართვადი იქნება ეს ყველაფერი, უკეთესია. ჩვენ საკმაოდ ბევრი ვიმუშავეთ იმისთვის, რომ დაგვეთქვა თარიღი ბრძოლის დაწყების თარიღად და მზად ვართ. მე აბსოლუტურად დარწმუნებული ვარ, რომ ხალხი გამოვა და თავის სიტყვას იტყვის.

***— თუმცა, პროვოკაციებიც იქნება მოსალოდნელი...***

— რასაკვირველია, ამ ხელისუფლებას რაც შეუძლია, ეს არის, რომ რამენაირად პროვოკაცია მოგიწყოს და სხვათა შორის, მოქმედების არეალი და ჩანაფიქრებიც იცვლება ხოლმე, ყოველ შემთხვევაში, ჩვენ ყველაფრისთვის მზად ვართ. რომ იტყვიან, დღეს ჩვენი ძალა არის იმ იდეაში, იმ სისუფთავეში, რასაც ჰქვია ქვეყნის გადარჩენა. სხვა მოტივი აქ არ არსებობს, ამიტომ ჩვენი შიშველი ხელები, ეს არის სერიოზული ძალა.

ახალი თაობა
გაზეთი გამოდის 1993 წლის 23 ივლისიდან

დამფუძნებლები: ნინო ბაკურაძე, ზურაბ ბერიძე, სოსო გოგინაშვილი
მთავარი რედაქტორი – სოსო გოგინაშვილი
რედაქტორი – ლალი ასლანიშვილი
რედაქტორის მოადგილე – შორენა მარსაგიშვილი

კონსულტანტები
ოთარ ნინიაშვილი, დავით ყიფიანი
საფინანსო სამსახური – კლარა ბალავაძე
სარეკლამო სამსახური – 84-92-55
გავრცელების სამსახური – მერაბ ლევერაშვილი
დირექტორი – ზურაბ ბერიძე

დაკაბადონება – ინგა დვალიშვილი, ნონა კანდელაკი, მზია ქოქაშვილი

მისამართი: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის გამზირი, №89/24,
თბილქალაქპროექტის მაღლივი კორპუსი, მე-11 სართული.
ტელეფონი/ფაქსი 95-25-89
ვებ-გვერდი www. atb.ge E-mail: axtaoba@mail.ru

რედაქციაში შემოსული მასალები არ რეცენზირდება და ავტორებს არ უბრუნდება.
რედაქციის თანხმობის გარეშე გაზეთში დაბეჭდილი მასალების, სურათების და სარეკლამო განცხადებების სრული ან ნაწილობრივი გამოყენება აკრძალულია.
სტატიაში გამოქვეყნებული მასალების სიზუსტეზე პასუხს აგებს ავტორი.
საავტორო უფლებები დაცულია.

# კოკოითის პარლამენტის თავმჯდომარე აუმხედრდა

თეა მარხვაი ე

საპრეზიდენტო არჩევნებამდე ცხინვალში შეიძლება რეფერენდუმი ჩატარდეს. რომელიც კოკოითისთვის მესამედ მოსვლის გარანტი გახდება. რეფერენდუმის ჩატარების იდეა სამხრეთ ოსეთის თავდაცვის მინისტრის მოადგილეს იბრაგიმ გასიევს ეკუთვნის.

როგორც ცხინვალები პოლიტიკოსები ამბობენ, კოკოითის გარემოცვა გამწარებული ეძებდა გზებს, თუ როგორ წაეყვანათ კოკოითი მესამე „კრუგზე“. გამწარებულ მთავრობას გენერალი გასიევი ხსნად მოევლინა. მისი იდეა ყველამ მოიწონა. ოსმა გენერალმა თავადვე ითავა მოსახლეობაში ხელმოწერები შეგროვება.

ხელმოწერების შეგროვება საინიციატივო ჯგუფმა დაიწყო. ამ ჯგუფს სათავეში პოლკოვნიკი არტურ ტადტაევი ჩაუდგა. შესაბამისად ხელმოწერებს სამხედროები აგროვებდნენ.



მათ რეფერენდუმის ჩატარების მოთხოვნით 2 ათასზე მეტი ხელმოწერა შეაგროვეს. სამხრეთ ოსეთის კანონმდებლობით კი რეფერენდუმის ჩასატარებლად ათასი ხელმოწერაა საჭირო.

ახლა ყველაფერი ცესკოზეა დამოკიდებული. ცესკომ უნდა გადაწყვიტოს რეფერენდუმის ჩატარების ამბავი. მერე კი უკვე ცხინვალის რეგიონის მოსახლეობაზე იქნება დამოკიდებული შეიცვლება თუ არა მათი კონსტიტუცია.

დღევანდელი კონსტიტუციით, ერთი და იგივე პიროვნებას მხოლოდ ორი ვადით აქვს პრეზიდენტობის უფლება. კოკოითის გარემოცვა კი მესამე „სროკს“ ითხოვს. თავად კოკოითის ჯერ პოზიცია არ დაუფიქსირებია.

არადა მან არაერთხელ განაცხადა, რომ მესამე ვადით კენჭისყრას და კონსტიტუციის შეცვლას არ აპირებს. როგორც ჩანს მას კონსტიტუცია სხვა რამე ეგონა. მერე ვიღაცამ აუხსნა რაც იყო კონსტიტუცია და მანაც მისი შეცვლა გადაწყვიტა.

მის მესამედ მოსვლასთან დაკავშირებით ოსმა ოპოზიციონერებმა უკვე ატეხეს ალიაქოთი. კოკოითის ოსი კომუნისტებიც კი აუჯანყდნენ. კონსტიტუციაში ცვლილების შესაძლო შეტანასთან დაკავშირებით მათ საგანგებო განცხადება გაავრცელეს.

მათი თქმით, კონსტიტუციაში ასეთი ცვლილების შეტანამ შეიძლება ქვეყანაში კონფრონტაცია გამოიწვიოს. ამასთან დაკავშირებით საერთაშორისო თანამეგობრობასაც უარყოფითი რეაქცია ექნება.

კომუნისტებმა საზოგადოებას კოკოითის განცხადებებიც გაახსენეს. ჯაბეიჩს არაერთხელ აქვს ნათქვამი, რომ ის მესამე ვადით კენჭისყრას არ აპირებს. ოსი კომუნისტები კოკოითის ურჩევენ თავისი სიტყვების ერთგული დარჩეს.

რეფერენდუმის ჩატარების შემთხვევაში ოსი კომუნისტების აზრით, ქვეყანას შეძლება ფინანსური პრობლემები შეექმნას. ისინი განმარტავენ, რომ რესპუბლიკას იმის ფუფუნება არა აქვს, რომ ერთი წლის განმავლობაში რეფერენდუმი და საპრეზიდენტო არჩევნები ჩაატაროს.

— ამას სჭირდება დიდი ფინანსები. ამ ფულის ხარჯვა დაუშვებელია, განსაკუთრებით მაშინ როცა ცხინვალში ჯერ კიდევ უამრავი სახლი საჭიროებს აღდგენას, — მიაჩნიათ კომუნისტებს.

მათი აზრით, რეფურენდუმის ჩატარებას არც საერთაშორისო თანამეგობრობა მოიწონებს.

კომუნისტების ამ განცხადებას სამხრეთ ოსეთის პარლამენტში შეიძლება დაპირისპირება მოჰყვეს. კომუნისტები სამხრეთ ოსეთის პარლამენტში გვარიანად არიან წარმოდგენილი.

34 კაციან პარლამენტში კომუნისტებს რვა ადგილი აქვთ. ყველაზე საინტერესო ის არის, რომ ოსი კომუნისტების ლიდერი სტანისლავ კოჩიევი პარლამენტის თავმჯდომარეა.

საქმეს ისეთი პირი უჩანს, რომ ცხინვალში პროცესები საინტერესოდ განვითარდება. მშობლიური ოპოზიციისგან განსხვავებით ოსი ოპოზიციონერები ნამდვილად არ მოგვაწყენენ.

# ცაგარეიშვილმა და ლორთქიფანიძემ კომისია დატოვეს

ნანა მიშელაშვილი

საკონსტიტუციო ცვლილებაზე მომუშავე კომისია შექმნამდე ორმა დეპუტატმა დატოვა. ჯერ კომისია შექმნილი არ იყო, როდესაც ოპოზიციონერმა დეპუტატებმა — გიორგი ცაგარეიშვილმა და დიმიტრი ლორთქიფანიძემ საორგანიზაციო კომისია დატოვეს.

გიორგი ცაგარეიშვილმა უმრავლესობას ორთოგრაფიული და შინაარსობრივი შეცდომებიც უპოვა და ამის გამო მწვავედ გააკრიტიკა. 3-წლიანი მუშაობის შემდეგ, გუშინ პარლამენტში ახალი ფრაქცია „აღმოაჩინეს“. ამ აღმოჩენის ავტორი გიორგი ცაგარეიშვილია.

დამოუკიდებელმა დეპუტატმა პარლამენტის სხდომაზე ფურცელი ააფრიალა, სადაც ეწერა, რომ არარსებული ფრაქციის თავმჯდომარის მოადგილეა. თანაც ამ არარსებული ფრაქციის კვოტით იმ საორგანიზაციო კომისიის წევრთა შორის არის დასახელებული, რომელმაც საკონსტიტუციო ცვლილებებზე უნდა იმუშაოს.

საკონსტიტუციო ცვლილებების პროექტი, რომლის ინიციატორი პრეზიდენტია, პარლამენტის ადგილსამყოფელის განსაზღვრას შეეხება. 2012 წლის ოქტომბრის საპარლამენტო არჩევნების შემდეგ, პარლამენტის ადგილსამყოფელი მხოლოდ და მხოლოდ ქუთაისი იქნება.

რაც შეეხება არარსებულ ფრაქციას, მისი დასახელება ასეთია: „ძლიერი საქართველო-ქრისტიან“. როგორც ჩანს, პარლამენტის იურიდიული კომიტეტის აპარატს შეეშალა და არარსებული ფრაქცია არსებულად წარმოაჩინა. ოპოზიციაც არ დაიბნა და შანსი ხელიდან არ გაუშვა.

„თავისუფალი დემოკრატების“ წევრმა გიორგი ცაგარეიშვილმა ორი რამ გააპროტესტა: არარსებული ფრაქციის წევრობა და კომისიაში ამ ფრაქციის კვოტით შეყვანა.

— მიუხედავად იმისა, რომ მიუმხრობელი დეპუტატი ვარ, როგორც დადგენილების პროექტიდან ჩანს, თურმე ფრაქცია „ძლიერი საქართველო-ქრისტიან“-ის მოადგილე ვყოფილვარ. არც ასეთი ფრაქცია არსებობს ბუნებაში და არც მე ვარ ამ თანამდებობაზე, — განაცხადა ცაგარეიშვილმა. მისივე შეფასებით, დადგენილების ამ პროექტის შინაარსიდან ნათლად ჩანს, თუ როგორ ეჩქარება პარლამენტს ქუთაისში.

გიორგი ცაგარეიშვილმა ოპოზიციის მისამართითაც გამოთქვა სურვილი. მან საპარლამენტო ოპოზიციის წარმომადგენლებს მოუწოდა, რომ საორგანიზაციო კომისიაში მონაწილეობა არ მიიღონ, რადგან გადაწყვეტილება მაინც ისეთი იქნება, როგორც ნაციონალურ მოძრაობას სურს.

გიორგი ცაგარეიშვილს პარლამენტის თავმჯდომარე დავით ბაქრაძე გამოეხმაურა და განაცხადა, რომ გაუგებარია ტექნიკურ ხარვეზებზე ასეთი პათოსით გამოსვლა.



— თქვენს წერილებშიც არის ხოლმე ტექნიკური ხარვეზები, მაგრამ ამაზე მე ჟურნალისტებთან არ ვსაუბრობ, — უთხრა უკმაყოფილო ბაქრაძემ ცაგარეიშვილს, რომელსაც ოპოზიციონერი დეპუტატის გამოსვლა აშკარად არ მოეწონა.

ბაქრაძემ ცაგარეიშვილს ისიც უთხრა, რომ ფრაქციის თავმჯდომარეობის მოადგილეობა არ ემუქრება და თუ კომისიის წევრობა არ სურს, ძალით არავინ შეიყვანს.

რაც შეეხება კონკრეტულად დადგენილების პროექტს, მასში კიდევ რამდენიმე შეცდომა იყო დაშვებული. კერძოდ, დეპუტატი გიორგი ახვლედიანი, რომელიც ფრაქცია „ქრისტიან-დემოკრატების“ თავმჯდომარეა, ფრაქცია „ძლიერი საქართველო-ქრისტიან-დემოკრატების“ თავმჯდომარის მოადგილედ არის მიჩნეული, ხოლო „ძლიერი საქართველოს“ თავმჯდომარე გია თორთლაძე, ფრაქცია — „ძლიერ საქართველო ქრისტიან“-ს წარმოადგენს.

მას შემდეგ, რაც ეს პროექტი შეასწორეს, საკონსტიტუციო ცვლილებასთან დაკავშირებით შექმნილი საყოველთაო-სახალხო განხილვის კომისიის შემადგენლობა ცნობილი გახდა. კომისია ცვლილებაზე ერთი თვის მანძილზე იმუშავებს და პარლამენტს დასკვნას წარუდგენს. ამის შემდეგ, საკონსტიტუციო ცვლილების განხილვის პროცედურა უკვე პარლამენტმა უნდა დაიწყოს.

კომისია პარლამენტის, აღმასრულებელი ხელისუფლებისა და სამეცნიერო საზოგადოების წევრებისგან დაკომპლექტდა.

საკონსტიტუციო ცვლილების სახალხო განხილვას გუშინ ორი ოპოზიციონერი დეპუტატი გაემიჯნა, დანარჩენებს კი უარი არ უთქვამთ. ცაგარეიშვილის მსგავსად, ფრაქცია „ძლიერი საქართველოს“ წევრმა დიმიტრი ლორთქიფანიძემ აღნიშნა, რომ მასთან კონსულტაცია არავის გაუვლია და კომისიის შემადგენლობაში მუშაობა არ სურს.

ლორთქიფანიძის თქმით, თავის დროზე მან მხარი არ დაუჭირა ახალ კონსტიტუციას და შესაბამისად, ვერც მასში ცვლილება იქნება მისთვის მისაღები.

— გთხოვთ, ამომიღოთ ამ კომისიის შემადგენლობიდან,— მიმართა ლორთქიფანიძემ უმრავლესობას, რაც მმართველმა ფრაქციამ გაიზიარა.

წინასწარი ინფორმაციით, ქუთაისში გადასვლის შემდეგ, რუსთაველზე მდებარე შენობის პრივატიზაციის საკითხი დადგება. საპარლამენტო უმრავლესობა პარლამენტის შენობის პრივატიზების წინააღმდეგი არ არის.

— პრინციპულად არ ვარ წინააღმდეგი თუ ინვესტორები დაათვალიერებენ და არა მარტო ამ შენობას, არამედ თბილისში უფრო მეტი ინვესტორი შემოვა და უფრო მეტი ახალი შენობა აშენდება და საწარმოები გაიხსნება,— უთხრა ჟურნალისტებს პეტრე ცისკარიშვილმა.

უმრავლესობის ლიდერის თქმით, ასევე კარგი იქნება, თუ დედაქალაქში ძველი, კომუნისტების დრონდელი, მიტოვებული შენობები პრივატიზებული იქნება და მოეწყობა ახალი კომერციული დაწესებულებები.

საპარლამენტო ოპოზიცია ამბობს, რომ ქუთაისში პარლამენტის გადატანის შემდეგ სახელმწიფო ბიუჯეტის სოლიდური ნაწილი თბილისსა და ქუთაისს შორის მოგზაურობას დასჭირდება.

ჟურნალისტებთან საუბარში ფრაქცია „ქრისტიან-დემოკრატების“ თავმჯდომარე გიორგი ახვლედიანმა განაცხადა, რომ პარლამენტის ახალი შენობის აშენება ათეული მილიონი ჯდება, რასაც პარლამენტის, აპარატის და მთავრობის წევრების საცხოვრებელი და მგზავრობის ხარჯებიც დაემატება.

— ეს ყველაფერი ხდება იმიტომ, რომ პრეზიდენტ სააკაშვილს ყელში ამოუვიდა საბურთალოელებისა და ვაკელების აქციები პარლამენტთან, — აღნიშნა ახვლედიანმა.

გიორგი ახვლედიანის თქმით, პარლამენტის გადატანა როდესაც „ქრისტიან-დემოკრატებმა“ გააპროტესტეს, რომ წარმოუდგენელია „გორგოლაჭებიანი“ პარლამენტის გაკეთება და თბილისსა და ქუთაისს შორის 150 ადამიანის სირბილი, მაშინ ხელისუფლება ამტკიცებდა, რომ ამას მოახერხებდა.

— ხელისუფლება ახლა უკვე იზიარებს, რომ ორ პარლამენტს შორის სიარული აბსურდულია და ამის გამო მიიღეს ეს გადაწყვეტილება. თუმცა, პრობლემად კვლავ რჩება მთავრობასთან კომუნიკაცია, რადგან ახალი კონსტიტუციით პარლამენტზე უფრო დამოკიდებული ხდება მთავრობა და მათ ყოველდღიურად მოუწევთ ორ ქალაქს შორის წინ და უკან სიარული, — აღნიშნა ახვლედიანმა.

ოპოზიციას პასუხი მმართველმა ფრაქციამ გასცა. პეტრე ცისკარიშვილმა აღნიშნა, რომ ქუთაისში პარლამენტის გადატანა ხელს შეუწყობს დასავლეთ საქართველოს რეგიონის ეკონომიკურ

გაგრძელება მე-5 გვერდზე

# ბურჯანაძე და ოქრუაშვილი ვერ შერიგდნენ

ნათია ხურცილავა

21 მაისამდე სამი დღით ადრე, ქართული პარტიის ერთ-ერთი ლიდერი ეროსი კიწმარიშვილი ნინო ბურჯანაძეს კონსულტაციების დაწყებას სთავაზობს. ნინო ბურჯანაძის და ირაკლი ოქრუაშვილის ინტერესები დიდი ხნის წინ გადაიკვეთა.

ბურჯანაძე-ოქრუაშვილის დაპირისპირების საკითხი არცთუ ახალი ამბავია, მაგრამ მთავარი ის არის, რომ ორივეს რევოლუციის ლიდერობა სურს. რევოლუციის შემდეგ კი, არც მეტი, არც ნაკლები, პრეზიდენტობა.



ოქრუაშვილსაც და ბურჯანაძესაც სააკაშვილობა უნდათ. არ არის გამორიცხული, რომ ორივე ფიქრობდეს, თუ სააკაშვილს გამოუვიდა, ჩვენ რატომ არ გამოგვივაო და ამ „ლოგიკით“ რევოლუციის აღმართს მიუყვებიან.

ოქრუაშვილის პარტიამ მართალია „სახალხო კრებას“ აქციების გამოცხადება და ჩატარებაც დაასწრო, მაგრამ არცთუ ისე გათვლილად და შედეგზე ორიენტირებულად.

ამერიკის საელჩოსთან აქციის დაანონსებამ სრული შოკი გამოიწვია ოპოზიციაში. ალბათ საზოგადოების უმრავლესობაშიც, რადგან ამერიკის საელჩოსთან გამართულ აქციას ბევრი მოქალაქე არ შეერთება. განცხადებების შემდეგ „ქართული პარტიის“ პროტესტიც მალევე დასრულდა.

გადაკეთა თუ არა ამ აქციამ დიდი ონკანი, ძნელი სათქმელია, მაგრამ ფაქტია, რომ ამერიკის შეერთებული შტატების ელჩი საქართველოში ჯონ ბასი ღიად აკეთებს განცხადებებს თავისი წინა მორბედებისგან განსხვავებით საქართველოში დემოკრატიის ხარისხთან დაკავშირებით.

ჯონ ბასი იყო პირველი დიპლომატი, რომელმაც ღიად დააფიქსირა თავისი პოზიცია გმირთა მოედანზე ვეტერანი მეომრების აქციის დარბევის ფაქტთან დაკავშირებით. ამერიკის ელჩის ამ განცხადებას არაერთი მისი კრიტიკული განცხადება მოჰყვა ისევ დემოკრატიის განვითარების კუთხით.

ამდენად, შეიძლება ამომრჩეველმა ჩათვალა, რომ ამერიკის საელჩოსთან აქციის გამართვა და პროტესტის გამოხატვა სრულიად უადგილო იყო.

რაც შეეხება კახეთში გამართულ აქციას, ამ შემთხვევაში, შეიძლება ითქვას, რომ აქცია შედგა და ხალხმა თავისი პროტესტი დააფიქსირა. აქციის ლიდერებმაც კონკრეტული მოთხოვნები დააფიქსირეს და ადგილობრივ ხელისუფლებას მისი მოგვარება მოსთხოვეს. თუმცა, იყო ფაქტი, როდესაც ჯაბა ჯიშკარიანს და მის მომხრეებს, შეიძლება ვთქვათ, გამოცდილ „პროტესტანტებს“ იუსტიციის მინისტრის ზურაბ ადეიშვილის სახლი ყვარელში შეეშალათ, რაც პროტესტის შეყოვნების მიზეზი გახდა.

„ქართულმა პარტიამ“ დამოუკიდებლად რამდენიმე აქცია უკვე გამართა, მაგრამ ყოველგვარი რევოლუციური რყევების გარეშე. რას იზამს ნინო ბურჯანაძე, ეს მალე გახდება ცნობილი.

„ქართული პარტიის“ პოლიტიკური მდივანი ეროსი კიწმარიშვილი ნინო ბურჯანაძეს კონსულტაციებს სთავაზობს.

დიდი დაპირისპირების შემდეგ მოლაპარაკებები შედგება თუ არა, რთული სათქმელია, რადგან ბურჯანაძემ კიწმარიშვილის შეთავაზებას ფუჭი საუბარი უწოდა.

კიწმარიშვილმა „დემოკრატიულ მოძრაობასა“ და „სახალხო კრებასთან“ 21 მაისის გეგმის ფარგლებში თანამშრომლობის სურვილი უკვე გამოთქვა.

მისი თქმით, შექმნილი რეალობიდან და საზოგადოებაში არსებული მოლოდინებიდან გამომდინარე, „ქართული პარტია მზად არის, „სახალხო კრებასა“ და ნინო ბურჯანაძესთან კონსულტაციები დაიწყოს.

— მზად ვართ დღეიდანვე დავიწყოთ ღია კონსულტაციები 21 მაისის გადაწყვეტილების ფარგლებში, იმ წარმონაქმნთან, რასაც „სახალხო კრება“ ჰქვია. ეს ჩვენი პოლიტიკური გადაწყვეტილებაა. ჩვენ ყველაფერი გავაკეთეთ იმისთვის, რომ პროცესი დაწყებულიყო, — განაცხადა კიწმარიშვილმა და დასძინა, რომ „ქართული პარტია“ მზად არის იმ ძალასთან კონსულტაციებისთვის, რომელიც ხელისუფლებასთან დიალოგის რეჟიმში არ არის ჩართული. ეს განცხადება „ქართული პარტიის“ პოლიტიკურმა მდივანმა „მაესტროს“ ეთერში გააკეთა.

ნინო ბურჯანაძე გამოეხმაურა ეროსი კიწმარიშვილს და ურჩია, რომ ვისაც გადარჩენა რეალურად სურს, 21 მაისის გვერდით უნდა დადგეს.

— ფუჭი ლაპარაკის დრო არ არის, ვისაც გადარჩენა რეალურად სურს, 21 მაისის გვერდით უნდა დადგეს, — აცხადებს ბურჯანაძე.

„სახალხო კრების“ მოქმედების გეგმა ისევ გასაიდუმლოებულია. მხოლოდ ის არის ცნობილი, რომ აქცია 21 მაისს თავისუფლების მოედანთან გაიმართება. თუმცა, ეს იქნება მხოლოდ რამდენიმესაათიანი პროტესტი თუ პერმანენტული, ჯერ უცნობია.

არ არის გამორიცხული, რომ ანალოგიური აქციები გაიმართოს რეგიონებშიც, მაგრამ ამის შესახებ ინფორმაციას არ ავრცელებს „სახალხო კრება“.

— ერთი რამ შემიძლია გითხრათ, ყველა იმ მოქალაქეს, ვისაც ამ



ქვეყნის გადარჩენის სურვილი აქვს და ეს მართლაც გულით უნდა, შეუძლია მოვიდეს 21 მაისს აქციაზე. არათუ შეუძლია, უნდა მოვიდეს კიდეც და საკუთარი ხალხის გვერდით დადგეს, — ამბობს „დემოკრატიული მოძრაობის“ ლიდერი.

როგორ შეიძლება მოვლენები განვითარდეს, ეს 21 მაისს გამოჩნდება, მაგრამ ფაქტია, რომ უკვე დაანონსებული საბოლოო ბრძოლის საავტორო უფლებები მხოლოდ ნინო ბურჯანაძეზე და „სახალხო კრებაზე“ გავრცელდება.

# სააკაშვილს ქუჩის აქციების კი არა, ჩვენი გეგმის ეშინია

შორენა კოწოწაშვილი

ექსპერტი სამხედრო საკითხებში ნოდარ ეფრემიძე უმძიმესად აფასებს ქვეყანაში შექმნილ მდგომარეობას და გამოსავალს სააკაშვილის ხელისუფლების შეცვლაში ხედავს. პოლიტიკურ ფლანგზე შექმნილი რეალობიდან გამომდინარე ეფრემიძე მხარს პოლიტიკური რვიანის მიერ არჩეულ გზას — ანუ საარჩევნო გარემოს გაუმჯობესების გზით ხელისუფლების ცვლილებას უჭერს. თუმცა არც იმას მალავს, რომ უკვე ის დრო დადგა მოლაპარაკების პროცესში, რომ რვიანი ქუჩაში გამოვიდეს.

ნოდარ ეფრემიძე უერთდება არასამთავრობო ორგანიზაციების მიმართვას, სადაც უფლებადამცველები აფიქსირებენ, რომ შექმნილ ვითარებაში გამოსავალი იქნება ხელისუფლების გადაცემა დემოკრატიული არჩევნების გზით, რასაც წინ უნდა უძღოდეს საარჩევნო გარემოს შეცვლა.

— მოლაპარაკებათა პრო-



ცესის გაჭიანურებამ და დიალოგის რესურსის ამოწურვამ ქვეყანაში არსებული უკიდურესად დამძიმებული სოციალური ფონის პირობებში შესაძლებელია გამოიწვიოს ისეთი პროცესები, რომლებიც რეალური საფრთხის ქვეშ დააყენებს ქვეყნის სახელმწიფოებრიობას. უპრეცედენტო საერთაშორისო მხარდაჭერის პირობებში ყველა ოპოზიციურმა ძალამ, საზოგადოებამ კონსტიტუციით მინიჭებული ყველა უფლების გამოყენებით მხარი უნდა დაუჭიროს სამართლიანი საარჩევნო გარემოს შექმნის მოთხოვნას. სამართლიანი საარჩევნო გარემოს შექმნა ხელისუფლების ვალდებულებაა და ეს საკითხი უნდა განისაზღვრებოდეს სახელმწიფოებრიობის განვითარების აუცილებლობით და საზოგადოების ინტერესების გათვალისწინებით, — აცხადებს ნოდარ ეფრემიძე.რა შანსები აქვთ ბურჯანაძეს და ოქრუაშვილ-კიწმარიშვილს 21 მაისის აქციებიდან და რაზეა წამსვლელი პრეზიდენტი სააკაშვილი, რომლის ნაბიჯებიც, როგორც ზოგიერთი მიანიშნებს, შეშინებული ლიდერის ქებას ჰგავს? — ამ საკითხების ირგვლივ გთავაზობთ ინტერვიუს სამხედრო ექსპერტ ნოდარ ეფრემიძესთან.

***— ბატონო ნოდარ, თქვენ ყოველთვის საპროტესტოდ განწყობილი ძალების გვერდით იდექით. რამ განაპირობა თქვენი მხრიდან ოპოზიციური რვიანის მხარდაჭერა?***

— მე ვფიქრობ, დღეს ყველაზე მნიშვნელოვანია საარჩევნო გარემოსთან დაკავშირებით მოხდეს პოლიტიკური პარტიების კონსოლიდაცია. ეს არის შანსი, ეს არის საშუალება იმისთვის, რომ სააკაშვილის რეჟიმი მართლა შეიცვალოს. იმიტომ, რომ საარჩევნო გარემოს ცვლილებებს თანამიმდევრულად თუ მივყვებით, იმდენად სუსტი წერტილები აქვს კანონს, რომ ფაქტობრივად რევოლუციური გადატრიალება მოხდება. ანუ, ჩვენ თუ მოვახერხებთ იმას, რომ სააკაშვილს ფრთებს მოვამტვრევთ იმ ნაწილში, სადაც პოლიცია ერევა არჩევნებში, საბიუჯეტო სახსრებს გავუკონტროლებთ, მედია გათავისუფლდება — ეს რევოლუცია არ არის?!

***— კი მაგრამ, ამას ოპოზიციური რვიანი და მისი მხარდამჭერი სამოქალაქო სექტორის წარმომადგენლები შეძლებთ?***

— ამიტომ ვამბობთ, რომ ჩვენ ეს აუცილებლად უნდა მოვახერხოთ. ყველაფერი იქეთ მიდის, რომ მიხეილ სააკაშვილი ამას თავისი ნებით არ დათმობს. საერთაშორისო ორგანიზაციები პირდაპირ იქნებიან ჩართული და მხარდაჭერაც გვექნება. რაც შეეხება რევოლუციას, რევოლუციაზე ვინც მიდის, რევოლუციის ანატომია ვინც იცის, რევოლუციები ცოტა სხვანაირად კეთდება. საარჩევნო გარემოს ცვლილება პოლიტიკურად არის სწორი და გამართლებული. ეს კარგი შანსია იმისთვის, რომ სააკაშვილის რეჟიმი დავასრულოთ.

***— ბატონო ნოდარ, თქვენც მიუთითებთ, თუ მოვახერხებთო. ფაქტია, ამაში ეჭვი რადიკალურ ოპოზიციას სერიოზულად ეპარება და მიაჩნია, რომ მხოლოდ საპროტესტო აქციების ზეწოლით არის შესაძლებელი ამის მიღწევა. თანაც ვიცით, ხელისუფლებას არ გაუჭირდება ოპოზიციური რვიანის ლიდერების შავი პიარით დისკრედიტაცია.***

— რა არის იცით? სააკაშვილს ქუჩის აქციების არ ეშინია. სააკაშვილს ეშინია ზუსტად იმ სქემის, რა სქემითაც ჩვენ მივდივართ, ანუ საარჩევნო გარემოს ცვლილებით. გარდა იმისა, რომ ამ ცვლილებებს დასავლეთმა ღიად დაუჭირა მხარი, აქ საარჩევნო კანონმდებლობაში იმდენი ღია წერტილები არის, რომ ჩვენ სწორედ ამ მტკივნეულ ღია წერტილებში დავარტყამთ და სააკაშვილს ძალიან ეტკინება. ამ კუთხით შეიძლება სააკაშვილის შერყევა. ამის რეალური შანსი არსებობს, მაგრამ ამისათვის საჭიროა პოლიტიკური სპექტრის და საზოგადოების კონსოლიდაცია. მე პირადად არა მგონია, რომ სააკაშვილს ქუჩის აქციების შეეშინდეს.

გაგრძელება მე-6 გვერდზე

თქვენი ზარით შეეწიეთ
ბებნისის დედათა მონასტრის
მშენებლობას
მაგთის, ჯეოსელის, ბილაინის აბონენტებმა დარეკეთ ნომერზე 700 605
ღმერთმა შეგიწიროთ!
ზარის ღირებულებაა 1 ლარი

# ივანიშვილის პოლიტიკაში გასვლას თავი დაანებეთ

ნანა მიშელაშვილი

ბიძინა ივანიშვილის გვარი გუშინ პარლამენტის სხდომაზეც გაისმა. „ქართული დასის" ლიდერი დეპუტატი ჯონდი ბალათურია ხელისუფლებას ურჩევს, ბიზნესმენ ბიძინა ივანიშვილს თავი დაანებონ და პოლიტიკაში ნუ „ჩაითრევენ".

ჯონდი ბალათურიას თქმით, ბიძინა ივანიშვილი საქართველოში ერთადერთი ადამიანია, რომელიც ხალხს უანგაროდ ეხმარება. მისივე თქმით, ივანიშვილი არც კეთილი საქმეების პოლიტიზებას ახდენს.

— დაანებეთ თავი ივანიშვილის პოლიტიკაში გასვლას, — განაცხადა ბალათურიამ და ხელისუფლებას სთხოვა, „დატოვონ ერთი კაცი", რომელიც საკუთარ საქმეს ისევ ისე გააგრძელებს.

— პოლიტიკაში ნუ ითრევთ ამ კაცს, — მიმართა საპარლამენტო უმრავლესობის წევრებს ჯონდი ბალათურიამ.

ბიძინა ივანიშვილმა ლეიბორისტების ლიდერს უპასუხა, თუმცა, მისი ადრესატი სხვებიც აღმოჩნდნენ. ოპოზიციის ერთი ნაწილი ბიძინა ივანიშვილის პოლიტიკაში ჩართვაზე ალაპარაკდა. თავად ბიზნესმენს მსგავსი განცხადება არ გაუკეთებია.

„ქართული დასის" ლიდერის განცხადებისთვის საპარლამენტო მიკროფონიდან პასუხი არავის გაუცია. უმრავლესობის ნაწილი ბალათურიას გამოსვლის დროს საკმაოდ ხმაურობდა.

სამაგიეროდ, უმრავლესობის წევრებმა სხვა საკითხებზე გასცეს ოპოზიციას პასუხი. ეს არის: ომბუდსმენის ანგარიშის განხილვა, ქართველი არალეგალების საკითხი და საარჩევნო პრობლემები.

სახალხო დამცველის ანგარიშის განხილვას ოპოზიცია დაჟინებით მოითხოვს, რის გამოც უმრავლესობა და პარლამენტის თავმჯდომარე აღშფოთდა. ქრისტიან-დემოკრატები მოითხოვენ, რომ სახალხო დამცველის, გიორგი ტუღუშის ანგარიშის განხილვა 23 მაისის იქით არ გადაიდოს. გიორგი ახვლედიანმა უმრავლესობა ანგარიშის მოსმენის გაჭიანურების გამო მკაცრად გააკრიტიკა.

გიორგი ახვლედიანის თქმით, მმართველმა გუნდმა ომბუდსმენის ანგარიშის მოსმენის თარიღების ცვლილებით კომიკური სიტუაცია შექმნა. მისივე განცხადებით, არავინ იცის ადამიანის უფლებათა დაცვის კომიტეტი ანგარიშს 23 მაისს მოისმენს თუ არა, რადგან კომიტეტის დღის წესრიგში ეს საკითხი ჩანიშნული არ არის.

საპარლამენტო უმრავლესობა ოპოზიციას სახალხო დამცველის ანგარიშთან დაკავშირებით, „თავის მოგიჟიანებას" საყვედურობს.

„თავის მოგიჟიანებაში" ადამიანის უფლებათა დაცვის კომიტეტის თავმჯდომარე ლაშა თორდიამ „ქრისტიან-დემოკრატები" დაადანაშაულა.

ლაშა თორდიას განცხადებით, ხელისუფლებამ ცხრაჯერ დაასახელა სახალხო დამცველის ანგარიშის განხილვის თარილიც და მისი გადადების მიზეზიც, თუმცა, ოპოზიცია მაინც „თავს იგიჟიანებს". მისი თქმით, თუ ოპოზიცია ასე გააგრძელებს, საპარლამენტო უმრავლესობა მათ უკვე აღარ უპასუხებს.

გიორგი ახვლედიანს პარლამენტის თავმჯდომარე დავით ბაქრაძეც გამოეხმაურა. მისი თქმით, პოზიციამ კარგად იცის, რომ სახალხო დამცველი საქართველოში არ იმყოფება და სწორედ ამ მიზნით გადაწყდა მისი 23 მაისს მოსმენა.

— ისევ ღია კარს ამტვრევთ. თუ გსურთ, დღესვე განვიხილოთ, სახალხო დამცველის გარეშე. თუ სურვილი გექნებათ, მე მხარს დავუჭერ საკითხის დღევანდელ დღის წესრიგში ჩასმას, მაგრამ ვერ განვიხილავთ, რადგან სახალხო დამცველი საქართველოში არ არის, — მიმართა ქრისტიან-დემოკრატებს დავით ბაქრაძემ.



— მოგიწოდებთ, 23 მაისს თუ ჩაატარებთ საკომიტეტო მოსმენას, სახალხო დამცველის მოხსენების მოსმენას სესიაზე კიდევ ორი დღით ნუ გადაწევთ. თუ გინდათ ჩემს გამოსვლას საკითხის პოლიტიზება უწოდეთ, მაგრამ პოლიტიკური პარტია ვარ და აბა, როგორი განცხადება გავაკეთო? — მიმართა უმრავლესობას გიორგი ახვლედიანმა.

ფრაქციის თავმჯდომარემ კიდევ ერთხელ მოუწოდა პარლამენტს, რომ სახალხო დამცველის ანგარიში მხოლოდ ცნობად არ მიიღოს და მანკიერი ტრადიცია დაასრულოს.

## ვინ მოიგიჟიანა თავი?

— ანგარიშს მაშინ ნუ მოგვასმენინებთ, როცა 40 გრადუსი სიცხე იქნება და ხალხი დასასვენებლად ზღვაზე წავა, — განაცხადა ახვლედიანმა.

საარჩევნო თემაზე გააკეთა განცხადება „ქართული დასის" ლიდერმა ჯონდი ბალათურიამ. მან ხელისუფლებასა და ოპოზიციის ნაწილს სეპარატისტული მოლაპარაკებების შეწყვეტაზე და ღია ურთიერთობაზე გადასვლისკენ მოუწოდა.

ჯონდი ბალათურიამ განაცხადა, ხელისუფლებამ ქვეყნის ძალიან მტკივნეული შეცდომა დაუშვა და საარჩევნო გარემოს გაუმჯობესებაზე მოლაპარაკებები კრახით დაასრულა.

— ძალიან სამარცხვინოა და ეს ჩემს კოლეგებსაც ეხებათ, რომელთაც რაღაც გაერთიანება აქვთ გაკეთებული და ინდივიდუალურ მოლაპარაკებებზე გადავიდნენ, — განაცხადა ჯონდი ბალათურიამ და დასძინა, რომ ეს ფორმატი ნიშნავს, „ცალ-ცალკე გადაგიბირებ და შეგითანხმებ" მეთოდს.

„ქართული დასის" ლიდერისთვის გაუგებარია, როგორ უნდა შედგეს ცალ-ცალკე მოლაპარაკებები და „თვალის პაჭუნით" ახალი საარჩევნო კოდექსის მიღება. მან ოპოზიციურ რვიანსა და ხელისუფლებას მოუწოდა, ერთობლივად დასხდნენ მოლაპარაკებათა მაგიდასთან, რათა ქვეყანაში თავისუფალი და სამართლიანი საარჩევნო გარემო შეიქმნას.

ბალათურიას საპარლამენტო უმრავლესობამ გასცა პასუხი. აკაკი მინაშვილის თქმით, ის, რომ „ქართული დასი" ტრადიციულად ვერ იგებს არჩევნებს, არ ნიშნავს, რომ არჩევნების მიმართ ნდობა არ არსებობს და არც იმას არ ნიშნავს, რომ საერთაშორისო საზოგადოება არ ენდობა და არ აღიარებს არჩევნების შედეგებს.

აკაკი მინაშვილმა ბალათურიას მოუწოდა, წაიკითხოს ყველა საერთაშორისო დასკვნა და ნახოს, რომ ეუთოც, რომელიც მთავარი დამკვირვებელია არჩევნებზე, საქართველოში ჩატარებულ ყველა არჩევნებს პროგრესულად და ქართველი ხალხის ნების გამომხატველად აფასებს.

— ნახეთ ჩვენი მოსახლეობის გამოკითხვები და კვლევები და იქაც ცალსახად დაინახავთ, რომ საქართველოს მოსახლეობის 90 პროცენტზე მეტი ენდობა ჩატარებულ არჩევნებს და საერთოდ არ თვლის არჩევნების საკითხს პრობლემად, — განაცხადა მინაშვილმა.

უმრავლესობის წევრმა პასუხი ოპოზიციას სხვა საკითხზეც გასცა. კერძოდ, ოპოზიციონერმა დეპუტატმა დიმიტრი ლორთქიფანიძემ საბერძნეთში დაკავებული საქართველოს 14 მოქალაქეზე გააკეთა განცხადება.

საქართველოს მოქალაქეები პოლიციამ მას შემდეგ დააკავა, როდესაც ისინი თურქეთ-საბერძნეთის საზღვრის გადალახვას ვიზის გარეშე ცდილობდნენ. გავრცელებული ინფორმაციით, სამგზავრო ავტობუსის საბარგო განყოფილებაში რკინის კონტეინერი იყო მოთავსებული, სადაც 14 ქართველი იმალებოდა.

ლორთქიფანიძის თქმით, ეს 14 ადამიანი ზღვაში წვეთია იმ არალეგალებთან შედარებით, რომლებიც ევროპის ქვეყნებში იმყოფებიან და თუ მათ დროულად და ზუსტად არ აუხსნეს რეადმისიის შეთანხმების შესახებ, ბევრი მათგანი მძიმე მდგომარეობაში აღმოჩნდება.

— ჩვენ კიდევ ერთხელ უნდა ავუხსნათ თანამოქალაქეებს, რომ 2011 წლის 17 მარტიდან ძალაში შევიდ საქართველოსა და ევროკავშირს შორის რეადმისიის შეთანხმება, რომელმაც განსაკუთრებული ახალი სტიმული მისცა ევროკავშირის ქვეყნებში მოქმედ პოლიციას და საემიგრაციო სამსახურებს, რომ გამოავლინონ არალეგალები და გადასცენ საკონსულოებს. საკონსულოები კი ვალდებულნი არიან საკუთარი ბიუჯეტით უზრუნველყონ მათი სამშობლოში დაბრუნება, — განაცხადა ლორთიფანიძემ.

დეპუტატის თქმით, მხოლოდ ქალაქ ათენში, 135 ათასი საქართველოს მოქალაქე არალეგალურად ცხოვრობს და მათ დღითიდღე ემატება იმ ადამიანების რიცხვი, რომლებიც ყველა საშუალებით და გზით ცდილობენ დატოვონ საქართველო.

დიმიტრი ლორთქიფანიძე რეადმისიის საკითხთან დაკავშირებით მოქალაქეებისთვის მეტ ინფორმაციის მიწოდების საკითხსაც სვამს. ლორთქიფანიძეს საპარლამენტო უმრავლესობის წევრი აკაკი მინაშვილი გამოეხმაურა და რეადმისიის შეთანხმების თაობაზე მოსახლეობის ინფორმირების მოთხოვნა, დოკუმენტის კრიტიკად აღიქვა.

აკაკი მინაშვილის განცხადებით, რეადმისიის ხელშეკრულების შედეგად საქართველოს მოქალაქეებს საშუალება აქვთ გამარტივებული წესით მოხვდნენ ევროკავშირის ქვეყნებში, რაც ხელს უწყობს როგორც განათლების, ისე ბიზნესის და ტურიზმის განვითარებას და ხელს შეუწყობს საქართველოსა და ევროკავშირის შემდგომ ინტეგრაციას.

— ეს არის ფუნდამეტური რეფორმა და ბიძგს მისცემს საქართველოში ყველა დადებით რეფორმას. ამიტომ, ამ შეთახმების ნეგატიურ ჭრილში განხილვა შეუძლებელია, — განაცხადა მინაშვილმა. მანვე აღნიშნა, რომ ევროკავშირის ქვეყნებში რეადმისიის შეთანხმების გაფორმებამდეც იგივე მიდგომა ჰქონდათ არალეგალებისადმი, როგორც ახლა.

საპარლამენტო ურმავლესობის წევრი ასევე დარწმუნებულია, რომ უკანასკნელ წლებში ემიგრაციიდან მოქალაქეების დაბრუნების მაღალი ინტესივობაა.

აკაკი მინაშვილის განცხადებით, ბოლო წლების განმავლობაში საქართველოს მოქალაქეების დაბრუნების და მათი საქართველოში დასაქმების მაღალი ინტესივობა შეინიშნება.

— მოქალაქეები ბრუნდებიან, რადგან აქვთ შანსი და უნარი საკუთარი თავის ამ ქვეყანაში რეალიზებისა, — აღნიშნა მინაშვილმა.

# პოლიციამ ადვოკატების აქცია დაშალა

შორენა გონგლაძე

პარლამენტის წინ ადვოკატებმა შიმშილობის აქცია დაიწყეს, ამ ეტაპზე ოცამდე ადვოკატი შიმშილობს. ადვოკატები სამართლიანი სასამართლოს აღდგენას, პოლიტპატიმრების საქმეთა გადახედვას და გაუხსნელი საქმეების გამოძიებას მოითხოვენ. მართალია აქცია მცირედი ინციდენტით დაიწყო, მაგრამ სიტუაცია არ გამწვავებულა, აქცია წესიერად არც იყო დაწყებული, რომ საპატრულო პოლიციამ მოშიმშილეების ლეიბები და მცირე ტექნიკა წაიღეს. მიუხედავად ამისა, ადვოკატები დაშლას არ აპირებენ. ადვოკატთა აქცია საეჭვოდ ემთხვევა 21 მაისს დაგეგმილ აქციას. კითხვაზე, ხომ არ არის ეს ყველაფერი წინმსწრები მოვლენები, ადვოკატ შალვა ხაჭაპურიძე ამბობს, რომ ადვოკატების აქციას არანაირი კავშირი არ აქვს 21 მაისის აქციასთან, თუმცა, მოხდება თუ არა ამ ორი აქციის გაერთიანება, ხაჭაპურიძის თქმით, ამაზე ადვოკატები ინდივიდალურად მიიღებენ გადაწყვეტილებას.



***— იქნებ უფრო კონკრეტულად გვითხრათ, რა მოთხოვნებს აყენებთ და რატომ გადაწყვიტეთ შიმშილობის დაწყება?***

— ჩვენ მოვითხოვთ, უკანონო პატიმრებთან დაკავშირებით შეიქმნეს საპარლამენტო, საზოგადოებრივი და სახალხო დამცველთან არსებული კომისია, რომელიც განიხილავს ყველა განცხადებას უკანონო პატიმრობასთან დაკავშირებით, შესაბამისად, ეს მასალები ხელახლა განსახილველად გადაეცემა სასამართლოებს, მოვითხოვთ, გამოძიებულ იქნეს ქუჩაში ჩაცხრილული ბიჭების საქმეები, გამოძიებულ იქნეს ზურაბ ჟვანიას, გურამ შარაძის, გიორგი სანაიას მკვლელობის საქმეები, ვითხოვთ, სისხლის სამართლის კოდექსში აღდგეს 50 და 51-ე მუხლები, რომელიც ითვალისწინებს მო-

გაგრძელება მე-6 გვერდზე

# ცაგარეიშვილმა და ლორთქიფანიძემ კომისია დატოვეს

დასაწყისი მე-3 გვერდზე

განვითარებას, შესაბამისად, გაწეული ხარჯებიც გამართლებულია.

— ქუთაისში პარლამენტის ახალი შენობის აშენება ხარჯებთან არის დაკავშირებული, მაგრამ იმ პოლიტიკურ, სახელმწიფოებრივ კონსოლიდაციასთან, რაც საქართველოში მოხდება, ამის შემდეგ ხარჯებიც გამართლებულია, იმიტომ, რომ პარლამენტი ერთი და ორი წლით არ გადადის და ეს იქნება საქართველოს პარლამენტის ახალი მისამართი შემდგომი ათწლეულების განმავლობაში, — აღნიშნა ცისკარიშვილმა.

უმრავლესობის ლიდერის თქმით, პარლამენტის გადატანა მნიშვნელოვანი რეფორმაა, რომელიც ხელს შეუწყობს ეკონომიკურ და საინვესტიციო განვითარებას არა მხოლოდ ქუთაისში და იმერეთის რეგიონში, ასევე მთელ დასავლეთ საქართველოში.

— ასე რომ, საპარლამენტო უმრავლესობის აზრით ხარჯები გამართლებულია, — აღნიშნა ცისკარიშვილმა.

კიდევ ერთი, უმრავლესობის ლიდერის თქმით, თანამედროვე ტექნოლოგიების — ჩართვებისა და ტელეხიდების საშუალებით, წინ და უკან თბილისსა და ქუთაისს შორის სიარულის აუცილებლობა აღარ იარსებებს.

ასე რომ, მინისტრები თუ ქუთაისში არ აღმოჩნდებიან, პარლამენტის წევრები, ალბათ, მათათან ტელეხიდს მოაწყობენ და მინისტრების პოზიციას თანამედროვე ტექნიკის საშუალებით შეიტყობენ.

# რევოლუცია სააკაშვილზე უარეს მმართველს მოგვიყვანს

თეა მარხვაი ე



ქართულ ოპოზიციურ ბანაკში მაგარი გაუგებრობაა. რადიკალური და კონსტრუქციული ოპოზიცია ხელისუფლებას შეეშვა და ერთმანეთის ლანძღვაზე გადავიდა. კონსტრუქციულები საარჩევნო გარემოს გაუმჯობესების გზით გვპირდებიან ხელისუფლების შეცვლას, რადიკალურები კი რევოლუციას გეგმავენ. ორივე ბანაკი ამტკიცებს, რომ მათი ოპონენტები ხელისუფლების თამაშს თამაშობენ.

საარჩევნო გარემოს გაუმჯობესების სურვილით შეპყრობილმა 8 პარტიამ ხელისუფლებისგან განმარტებები წერილობითი ფორმით მოითხოვა. რატომ აღარ ენდობიან ხელისუფლებას სიტყვაზე, რატომ არ ვარგა რევოლუცია, როდის დარწმუნდნენ, რომ ხელისუფლება იტყუებოდა, ამ თემებზე ოპოზიციის ერთ-ერთი ლიდერი ალეკო შალამბერიძე „ახალ თაობას“ ესაუბრება.

**ალეკო შალამბერიძე:**

— ამ ხელისუფლებასთან მოლაპარაკებებს გასული წლის ნოემბრიდან ვაწარმოებთ. დეკემბრის ბოლოს ამ პროცეში მონაწილე ყველა ძალამ წარმოადგინა თავისი შეხედულებები. ხელისუფლებამ, როგორც იქნა, იკადრა და თავისი შეხედულებები წარმოადგინა. ეს შეხედულებები 2 გვერდზე იყო დაწერილი. ისინი არანაირ კავშირში არ არის იმ გადაწყვეტილებასთან, რომელიც პარლამენტის სპიკერთან გამართული შეხვედრის დროს მივიღეთ.

***— მოდით, მკითხველს უფრო ნათლად გავაგებინოთ, რა გადაწყვეტილება მიიღეთ პარლამენტის თავმჯდომარესთან შეხვედრის დროს?***

— შევთანხმდით, რომ ძირეულად შეცვლილიყო საარჩევნო გარემო, საარჩევნო კოდექსი. ჩვენ კარგა ხანი ველოდეთ ხელისუფლებისგან პასუხს. მერე მივხვდით, რომ ისინი არაფრის გაკეთებას არ აპირებდნენ.

***— როგორ მიხვდით, რომ არაფრის გაკეთებას არ აპირებდნენ?***

— არც ჰოს გვეუბნებოდნენ და არც არას. მარტის თვემდე ვაცალეთ და მერე გავაკეთეთ კრიტიკული განცხადება. მაშინ პირველად ვთქვით, რომ მოლაპარაკებების მაგიდას არ დავუბრუნდებით მანამ, ვიდრე ხელისუფლება ადეკვატურად არ იმოქმედებს. ახლა ჩვენ მათგან უკვე წერილობით ვითხოვთ პასუხის გაცემას. წერილობით დააფიქსიროს თავისი პოზიცია ჩვენ მიერ შეთავაზებულ ინიციატივებთან დაკავშირებით.

***— რა პასუხი მიიღეთ ხელისუფლებისგან?***

— იმათგან ჯერჯერობით არანაირი პასუხი არ არის.

***— წერილობით არ არის პასუხი თუ საერთოდ?***

— საერთოდ არაფერი ისმის ხელისუფლების ბანაკიდან.

***— ამის მიუხედავად, თქვენ მაინც აგრძელებთ მოლაპარაკებას?***

— ჩვენ საარჩევნო გარემოს გაუმჯობესებისთვის ვაგრძელებთ ბრძოლას. მიგვაჩნია, რომ ხელისუფლება მხოლოდ არჩევნების გზით უნდა შეიცვალოს. ჩვენს ქვეყანას და მოსახლეობას მხოლოდ ეს გზა მოუტანს სიკეთეს.

***— რა აზრი აქვს ასეთ ვითარებაში მოლაპარაკებებს. თავად ამბობთ, რომ ხელისუფლება არაფრის შეცვლას არ აპირებს.***

— დათმობას რომ არ აპირებს, ამიტომ უნდა მივაწვეთ.

***— რანაირად უპირებთ მიწოლას?***

— აქციებით.

***— აბა, აქციები არ მოგვწონსო?***

— აქციები საარჩევნო გარემოს გაუმჯობესების მიზნით მოეწყობა.

***— საპროტესტო აქციებს ცალკე დაიწყებთ თუ სახალხო კრებას ან ქართულ პარტიას შეუერთდებით?***

— ჩვენ აქციებს დავიწყებთ დამოუკიდებლად. ვისაც სურვილი ექნება, უპრობლემოდ შეუძლია შემოგვიერთდეს. წინასწარ ვამბობთ, რომ ლოზუნგი გადადგეს სააკაშვილი, არასწორად მიგვაჩნია. სააკაშვილი რომ უნდა წავიდეს, ეს ცხადია, მაგრამ დღეს ჩვენს წინაშე მარტო სააკაშვილის პრობლემა არ დგას. ახლა მთავარია ტირანიის, ერთპარტიული მმართველობის და ძალაუფლების გაყოფის პრობლემის გადაწყვეტა. მარტო სააკაშვილი რომ იყოს ჩვენი პრობლემა, რა გვიჭირდა. მთელი უბედურება ისაა, რომ ერთი კაცის ხელში ექცევა მთელი ძალაუფლება. რევოლუციური გზა არ მიგვაჩნია სწორ გზად. იმიტომ, რომ შესაძლოა ეს ძალაუფლება სხვა კაცის ან ქალის ხელში აღმოჩნდეს.

***— ქალმაც შეიძლება ჩაიგდოს ხელში ასეთი ძალაუფლება?***

— რატომაც არა. დიდმა შოთამ თქვა, ლეკვი ლომისა სწორია, ძუ იყოს თუნდა ხვადიაო. ამიტომ არ გვინდა რევოლუცია. დარწმუნებული ვარ, რევოლუცია არც მოსახლეობას სურს.

***— დარწმუნებული ხართ, რომ არ სურთ?***

— ადამიანებს დღეს უნდათ, რომ მათი მდგომარეობა გამოსწორდეს. რევოლუცია კი ამის საშუალებას არ იძლევა.

***— რატომ არ იძლევა?***

— რევოლუცია რევოლუციური გზით მოსულ ტირანს მეორე ტირანით შეცვლის. ადამიანების კეთილდღეობა დღეს ძალაუფლების გაყოფაზე გადის. ძალაუფლების განაწილება ჩვენ ახლა უნდა განვახორციელოთ. რევოლუციის შემთხვევაში კი ძალაუფლების გაყოფა არ მოხდება.

***— თქვენ რა გარანტია გაქვთ, რომ შეძლებთ ამ ძალაუფლების გაყოფას?***

— ჩვენ ვამბობთ, რომ ხელისუფლება არჩევნების გზით უნდა შეიცვალოს. ჩვენ საპარლამენტო არჩევნებზე უნდა მოვიპოვოთ წარმატება და ასე დავამარცხოთ სააკაშვილი. ამაში პოლიტოკოსების გაერთიანება არის მთავარი. გინდა რევოლუციური იყოს ეს გზა და გინდა საარჩევნო. არჩევნები იმიტომ არის კარგი, რომ მასში მონაწილეობის მიღება მთელ პოლიტიკურ სპექტრს შეუძლია.

***— რევოლუციაშიც ყველას შეუძლია მონაწილეობის მიღება.***

— განსხვავება მაინც დიდია. რევოლუციის შემთხვევაში ერთი ადგილის, პრეზიდენტის სკამისთვის მიდის ბრძოლა. ამიტომაც არის, რომ ერთი და იგივე მიმართულების ხალხი ორად არის გაყოფილი. არჩევნების შემთხვევაში კი 150 ადგილის განაწილება იქნება აქტუალური. ჩვენ ერთი სკამის გაყოფის საფრთხე არ გვემუქრება და ამიტომაც ვართ 8 პარტია გაერთიანებული. არადა, ჩვენ აბსოლუტურად განსხვავებული შეხედულებები გვაქვს. ერთად იმიტომაც ვართ, რომ პრეზიდენტის სკამის გაყოფას არ ვაპირებთ.

***— ასე მშვიდად იმიტომ ხომ არა ხართ, რომ ის 150 ადგილი 8 პოლიტიკურ პარტიაზე კარგად***

გაგრძელება მე-6 გვერდზე

GMP
ჯი-ემ-პი

# ფარმაცევტული საწარმო GMP-ის კიდევ ერთი გამარჯვება

**„მერკური 2011“-ის ეროვნულ ბიზნეს დაჯილდოებაზე GMP-მ, ორგანიზატორის HSBC ბანკის განსაკუთრებული ჯილდო მოიპოვა, როგორც „ყველაზე წარმატებული საექსპორტო პროდუქციის მწარმოებელმა“.**

11 მაისს, ახალი ტექნოლოგიების სახლში, პირველად საქართველოში ჩატარდა ეროვნული ბიზნეს დაჯილდოება „მერკური 2011“. ღონისძიების ორგანიზატორები იყვნენ საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო და საქართველოს ეროვნული საინვესტიციო სააგენტო. ღონისძიების გენერალური სპონსორი და მხარდამჭერი გახლდათ HSBC ბანკი საქართველო.

დაჯილდოებაზე წარმოდგენილები იყვნენ ბიზნეს კომპანიები, რომლებმაც თავად გამოთქვეს კონკურსში მონაწილეობის მიღების სურვილი, დარეგისტრირდნენ და შეავსეს სპეციალური აპლიკაციები. დაჯილდოებაში მონაწილეობის სურვილი 250-მა კომპანიამ გამოთქვა, რომელთაგან სპეციალურმა ექსპერტთა ჯგუფმა 45 საუკეთესო კომპანია შეარჩია. საუკეთესოთა შორის საუკეთესოების გამოსავლენად კომპანიები 15 ნომინაციაში იბრძოდნენ. დაჯილდოების ჟიური შედგებოდა 7 ექსპერტისაგან შემდგარი ოთხი ჯგუფისაგან. ორგანიზატორების განცხადებით შეფასების მთავარი კრიტერიუმები იყო კომპანიის ფინანსური წარმატება, ინოვაციური ხედვა და მისი წვლილი დარგის განვითარებაში. ბიზნესმენებს მინისტრები, სხვადასხვა უწყების ხელმძღვანელები და თავად პრეზიდენტი აჯილდოვებდა.

დაჯილდოების ცერემონიალს ესწრებოდა საქართველოს პრეზიდენტი მიხეილ სააკაშვილი, რომელმაც მიულოცა გამარჯვებულ კომპანიებს და განაცხადა რომ უმნიშვნელოვანესია რომ საქართველოს ეკონომიკა გახდეს ერთ-ერთი ყველაზე მზარდი მთელს ევროპაში. მისი თქმით საქართველოს უნდა ჰქონდეს ერთის მხრივ ევროპული სტილის პოლიტიკური სისტემა, დემოკრატია, პოლიტიკური სტაბილურობა და მეორეს მხრივ ლიბერალური ეკონომიკური მოდელი, ისეთივე როგორიც არის სინგაპურში.

ვერა ქობალია-საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრი: „ეს დაჯილდოება ძალიან მნიშვნელოვანია, რომელიც ქართული ბიზნესის წახალისებას, პოპულარიზაციას და ახალი ბიზნესების წარმოჩენას უწყობს ხელს. დაჯილდოებით გვინდა ვაჩვენოთ, რომ საქართველოში გვაქვს წარმატებული ბიზნესები, ახალი ბიზნესები და გვყავს წარმატებული მეწარმეები სხვადასხვა ბიზნეს სექტორებში“.



გიორგი ანთაძე

დაჯილდოების ერთ-ერთი გამარჯვებული გახდა პე-ეს-პე ჯგუფის ფარმაცევტული საწარმო GMP, რომელმაც ღონისძიების ორგანიზატორის HSBC ბანკის განსაკუთრებული ჯილდო მოიპოვა.

GMP დაარსდა 1999 წელს პე-ეს-პე ჯგუფის ინიციატივით. PSP-ში ადგილობრივი წარმოების შექმნის იდეა 1998 წელს დაიბადა და შედეგად დაარსდა საერთაშორისო სტანდარტის პირველი ქართული ფარმაცევტული საწარმო GM Pharmaceuticals (GMP), რომლის მისია დაარსების დღიდანვე იყო, ხელმისაწვდომი გამხდარიყო მოსახლეობისთვის თანამედროვე სამკურნალო საშუალებები. 2006 წლიდან ჯი-ემ-პი ფლობს GMP (Good Manufacturing Practice)-ის სერთიფიკატს, რაც 6-წლიანი მუშაობის, უამრავი აუდიტორის დადებითი დასკვნების საფუძველზე მიენიჭა ხანგრძლივი და დაუღალავი შრომის შედეგად.

ჯი-ემ-პი იყო და დღემდე რჩება ერთადერთ ფარმაცევტულ საწარმოდ საქართველოში, რომელშიც მიმდინარეობს საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისი სრული საწარმოო ციკლი (დაწყებული ნედლეულის მოძიებიდან, საბოლოო პროდუქტის წამლის წარმოებამდე), და რომელიც ფლობს GMP-ის სერთიფიკატს.

დღეს ჯი-ემ-პი 138 დასახელების მედიკამენტს აწარმოებს და საწარმოს წილი ადგილობრივ ფარამაცევტულ წარმოებაში 39% შეადგენს. მხოლოდ 2010 წლის მონაცემებით ჯი-ემ-პის მიერ წარმოებული 4,269,883 კოლოფი გაიყიდა, რაც საფუძველს გვაძლევს ვთქვათ, რომ ჯი-ემ-პიმ ქართველი მომხმარებლის ნდობა და აღიარება მოიპოვა და რომ ჯი-ემ-პის მედიკამენტებით მილიონობით პაციენტი მკურნალობს.

**გიორგი ანთაძე-ფარმაცევტული საწარმო GMP-ის გენერალური დირექტორი:** „ძალიან მნიშვნელოვანია, რომ საქართველოში ტარდება პირველი ეროვნული ბიზნეს დაჯილდოება, რაც პირველ რიგში ქართული ბიზნესის განვითარებას და უფრო მაღალ საფეხურზე ასვლას შეუწყობს ხელს. სასიხარულოა, რომ ჩვენი ფარმაცევტული საწარმო ფავორიტ კომპანიებს შორის მოხვდა და ღონისძიების ერთ-ერთმა ორგანიზატორმა და გენერალურმა სპონსორმა HSBC ბანკმა GMP-ს მიანიჭა განსაკუთრებული პრიზი, როგორც ყველაზე წარმატებული საექსპორტო პროდუქციის მწარმოებელს. ეს ჯილდო გვაძლევს მეტ მოტივაციას, რომ კიდევ უფრო მეტი მონდომებით განვავითაროთ ჩვენი ბიზნესი და შევიტანოთ ჩვენი წვლილი ქვეყნის ეკონომიკის განვითარებაში“.

გიორგი ანთაძის თქმით, კომპანიის თითოეული თანამშრომლისთვის საამაყოა ის, რომ პრეპარატების ეფექტურობის 11-წლიანი გამოცდილების შედეგად, GMP-ის მიერ წარმოებული მედიკამენტები ქართველი ექიმებისა და მოსახლეობის მიერ ფართოდ გამოიყენება. რაც ყველაზე მნიშვნელოვანია, ქართული ფარმაკოლოგიური პრეპარატების იმიჯი მსოფლიო ბაზარზე დღითიდღე იზრდება: ქართული წამალი მაღალ ხარისხთან ასოცირდება. დღეს GMP-ს ენდობიან მომხმარებლები და ექიმები არა მარტო საქართველოში, არამედ უკვე საზღვარგარეთაც. კომპანია ექსპორტს ახორციელებს მსოფლიოს 9 ქვეყანაში, მათ შორის არის უკრაინა, აზერბაიჯანი, სომხეთი, უზბეკეთი, ტაჯიკეთი, ლიბია, სიერა ლეონე და ა.შ.ასევე დაწყებულია რეგისტრაციის პროცესი ევროპის ქვეყნებში. როგორც GMP-ის გენერალური დირექტორი აცხადებს, კომპანიის შემოსავლების 40% ექსპორტზე მოდის, და უახლოეს 2 წელიწადში დაგეგმილია ამ ციფრის 60-70%-მდე გაზრდა. GMP-ის არსებობისა და განვითარების ისტორიაში მეორე ათწლეული დაიწყო და იგი ძირითადად ექსპორტზე არის მიმართული და გეგმავს ადგილობრივი კომპანიიდან გლობალურ კომპანიად გადაქცევას, რაც ქართულ ბრენდს საქართველოს საზღვრებს გარეთ გაიტანს და დაუმკვიდრებს ხარისხიანი და ეფექტური პროდუქციის სახელს.

დაჯილდოებაზე განსაკუთრებული პრიზი GMP-ს გენერალურ დირექტორს, ჯილდოს დაწესების ინიციატორი კომპანიის წარმომადგენელმა, HSBC ბანკი საქართველოს გენერალურმა დირექტორმა ბ-მა გაი ლუისმა თავად გადასცა. „მერკური 2011 ძალიან მნიშვნელოვანი პროექტია ქართული ბიზნესისთვის. გვჯერა, რომ ახლა არის სწორედ ის დრო, რომ ვიზეიმოთ და დავაჯილდოვოთ ქართული კომპანიების წარმატება და გამძლეობა და გავუზიაროთ ეს პოტენციურ მომხმარებელს და სხვა ბიზნესებს ევროპის მასშტაბით.“ გაი ლუისის განცხადებით, HSBC-მ საკუთარი განსაკუთრებული ჯილდოს დაწესება ქართული ფარმაცევტული საწარმო GMP-თვის გადაწყვიტა, ვინაიდან მათი აზრით GMP არის ინოვაციური და მაღალტექნოლოგიური ქართული ფარმაცევტული საწარმო, სადაც წარმოებული მედიკამენტები გამოირჩევა უმაღლესი ხარისხით და წარმატებით ინერგება საექსპორტო ბაზრებზე. GMP ბევრი ქართული კომპანიისთვის უნდა იყოს მაგალითი იმისა, თუ როგორ უნდა შექმნა და განავითარო ეროვნული წარმოება და უფრო მეტიც, მოიპოვო აღიარება ქვეყნის ფარგლებს გარეთ.

# სააკაშვილს ქუჩის აქციების კი არა, ჩვენი გეგმის ეშინია

დასაწყისი მე-4 გვერდზე

***— რატომ გეპარებათ ეჭვი? ზოგიერთი ფიქრობს, რომ სააკაშვილის ქცევა შეშინებული ლიდერის ქცევაა.***

— შიშს რაც შეეხება, სააკაშვილის ბუნებიდან გამომდინარე ეს გასაკვირიც არ არის. ყველამ ვიცით, რომ სააკაშვილი მშიშარაა და ეს აგვისტოს დღეებმაც დაგვანახა. ანუ თავისი ბუნებიდან გამომდინარე, სააკაშვილი შეიძლება შეშინდეს კიდეც და შეიძლება დისკომფორტიც იგრძნოს, მაგრამ ხომ გეუბნებით, არა მგონია, ამ კუთხით შედეგი დადგეს. მე პირადად ვთვლი, რომ არ იქნება ცუდი, თუ ქუჩიდანაც მოხდება სააკაშვილზე ზეწოლა. მშვენიერია, როდესაც საზოგადოება თავის პროტესტს გამოხატავს და ამით სააკაშვილი, როგორც მინიმუმ, დისკომფორტს იგრძნობს. საერთაშორისო ორგანიზაციებიც უკვე აქტიურად ჩაერთვებიან ამ პროცესში იმიტომ, რომ თვალნათლივ ჩანს, რომ საზოგადოების დიდი ნაწილი უკმაყოფილოა ამ რეჟიმით. უბრალოდ, აქ არის ლაპარაკი ორ ინსტრუმენტზე — რა გზით უნდა წავიდეს საზოგადოება. მე ვთვლი, რომ რვიანის გზა არის სწორი გზა და მეც საარჩევნო გარემოს ცვლილებების გზას ვადგავარ.

***— ბატონო ნოდარ, როგორ აფასებთ კიწმარიშვილ-ოქრუაშვილის განცხადებებს ამერიკის ხელისუფლებასთან მიმართებაში? არის თუ არა მართლაც ამერიკის საელჩო ბოროტების ონკანი, რომლის გადაკეტვაც დღეისათვის აუცილებელია?***

— მე ასე არ ვიტყოდი, რომ ამერიკის საელჩო არის ბოროტების ონკანი. მე იმ პოზიციაზე ვდგავარ, რაც სწორად მიმაჩნია, რაც თქვენ მკითხეთ, ის ქართული პარტიის პოზიციაა.

***— მართლა ისე იმატა ანტიამერიკულმა განწყობამ საზოგადოებაში, როგორც ოქრუაშვილი მიანიშნებს?***

— საქართველო პატარა ქვეყანაა უზარმაზარი პრობლემებით. ამიტომ არ ვფიქრობ, რომ ანგარიში არ უნდა გავუწიოთ ამერიკას, რუსეთს, თურქეთს ან აზერბაიჯანს. აქ იმაზე არ არის ლაპარაკი, რომ ჩვენ ვილაცის ყურმოჭრილი მონები ვიყოთ. მაგრამ მე, რეალობიდან გამომდინარე, რა თქმა უნდა, ვფიქრობ, რომ აუცილებლად უნდა გავითვალისწინოთ ამ სახელმწიფოების ინტერესები. მე პირადად არ ვფიქრობ, რომ ამერიკა ბოროტების სათავეა და სწორედ არ მიმაჩნია ამ სახელმწიფოს ამ კუთხით წარმოჩინება.

***— მსგავსი განცხადებების ფონზე შეიძლება საქართველომ სტრატეგიული პარტნიორი დაკარგოს ამერიკის სახით?***

— ქვეყანა პარტნიორს არ დაკარგავს იმიტომ, რომ ამერიკის შეერთებულ შტატებს ჩვენ ქვეყანაში ინტერესები აქვს. ამიტომ ის საქართველოსთან ურთიერთობას არ გაიფუჭებს. მე ვფიქრობ, რომ იმდენად ზუსტი და კარგი განცხადება გააკეთა ქალბატონმა კლინტონმა და ამერიკის ელჩმა, რომ ფაქტობრივად ეს საბაბი, რეალური მიზეზია იმისთვის, რომ სააკაშვილის რეჟიმი დასრულდეს. კლინტონმა და ამერიკის ელჩმა საქართველოში ჯონ ბასმა ფაქტობრივად ამ განცხადებებით თქვეს, რომ საქართველოში ისინი მხარს უჭერენ არა რეჟიმს, არა მთავრობას, არამედ ხალხს. ანუ მხარს ჩვენ გვიჭერენ და არა სააკაშვილს.

***— როგორ წარმოგიდგენიათ ორი, დროში თანხვედრილი, პროცესის წარმოება რადიკალურ ფლანგზე და რას იტყვით ოქრუაშვილ-ბურჯანაძის პოლიტიკური ძალების დაპირისპირებასთან დაკავშირებით?***

— მე გამიჭირდება რამე ვთქვა ამ ორი ორგანიზაციის დაპირისპირებასთან დაკავშირებით. ვფიქრობ, რომ საზოგადოება უნდა იყოს კონსოლიდირებული. იმიტომ, რომ დაქსაქსულობა, დაპირისპირება ალბათ სააკაშვილს გააძლიერებს.

***— მხარდამჭერებს გაუმრავლებს ქართულ პარტიას ოქრუაშვილის განცხადება: ვისაც გინდათ, ხალხის გვერდით დადექით, ვისაც გინდათ, სააკაშვილს პოლიტიკურ საფლავში ჩაყვეთ, პირობას გაძლევთ, არ დაგინდობთ.***

— მე მესმის იმ ადამიანების, ვინც თვლის, რომ ეს გზა არის მცდარი. მათ აქვთ საინტერესო არგუმენტაცია. ეს მათი ხედვაა. მე არ ვთვლი, რომ ვილაც უნდა გავაკრიტიკო იმის გამო, რომ მას მსგავსი პოზიცია აქვს.

***— ქართული პარტიის და ბურჯანაძის დემოკრატიულ მოძრაობაში რუსული ფული და რუსული ინტერესების შესრულება იკვეთება?***

— რა გითხრათ, მე ვიცი, რომ რევოლუციები სხვაგან იგეგმება და რევოლუციას აქვს თავისი სიმპტომები. პირადად ამ სიმპტომებს დღეს ვერ ვხედავ. რაც შეეხება რუსეთს და რუსულ ინტერესებს, ამ ქვეყანაში არამხოლოდ რუსეთს აქვს თავისი ინტერესები, არამედ თურქეთს, ირანს, სომხეთს, ევროპის ქვეყნებს აქვთ თავიანთი ინტერესები. რა თქმა უნდა, აქ არის უზარმაზარი ინტერესები.

***— ბატონო ნოდარ, თქვენი აზრით, რაზე აკეთებს ბურჯანაძე გათვლას, როცა აცხადებს, რომ 21 მაისს დაწყებულ პროცესს მალე დაამთავრებს?***

— ძალიან გამიჭირდება ქალბატონი ნინოს նაცვლად ამ კითხვაზე პასუხის გაცემა. თუმცა ვფიქრობ, ხალხის უკმაყოფილების ხარისხი იმდენად მაღალია, რომ 21 მაისისთვის ის ადამიანები გამოჩნდებიან, ვინც ბურჯანაძის პოზიციას და რევოლუციურ პროცესს უჭერენ მხარს.

# პოლიციამ ადვოკატების აქცია დაშალა

დასაწყისი მე-4 გვერდზე

სამართლეთა დამოუკიდებლობას, ასევე ვითხოვთ დაუყოვნებივ განთავისუფლდნენ პოლიტპატიმრები, მედია გათავისუფლდეს ხელისუფლების ზეწოლისაგან, ეს არის ჩვენი ძირითადი მოთხოვნები. ჩვენი ადგილი არის არა პარლამენტის შენობასთან საშიმშილოდ, არამედ ჩვენი ადგილი არის დარბაზებში, მაგრამ ხელისუფლებამ ეს უფება წაგვართვა იმ ქმედებებით, რასაც ისინი ახორციელებენ. სასამართლო არის აბსოლუტურად უზურპირებული პროკურატურის მხრიდან.

***— როგორ ფიქრობთ, რამდენად იქნება შედეგის მომტანი თქვენი პროტესტი?***

— მსგავსი რამ მსოფლიო ისტორიას არ ახსოვს, როდესაც ადვოკატები იწყებენ შიმშილობას. ჩვენ მივმართავთ მსოფლიოს, მივმართავთ ქართველ საზოგადოებას, ქართველ პოლიტიკოსებს, ჩვენ ვიბრძოლებთ მანამ, სანამ არ გავიმარჯვებთ, სანამ საქართველო არ დაბრუნდება სამართლებრივ სივრცეში, რომლიდანაც ის გავიდა 2003 წლის ვარდების რევოლუციის შემდეგ.

***— ადვოკატების საპროტესტო აქციები არაერთი ყოფილა, რომელიც კონკრეტული შედეგის გარეშე დამთავრებულა. ახლა რის იმედი გაქვთ?***

— დამისახელეთ თუნდაც ერთი ფაქტი...

***— თუნდაც ჯანგირაშვილის შიმშილობის ფაქტი, ადვოკატების აქცია საქალაქო სასამართლოსთან, როდესაც ადვოკატთა შავი სია გამოქვეყნდა და კიდევ სხვა ბევრი აქცია, რომელიც კონკრეტული შედეგის გარეშე დამთავრდა...***

— ერთადერთი იყო მალხაზ ჯანგირაშვილი, რომელიც შიმშილობდა პოლიტიკური მოთხოვნით. ადვოკატთა აქციები ამგვარი მოთხოვნებით არ გამართულა.

***— თქვენ ამბობთ, რომ ეს აქცია პოლიტიკურ ჭრილში არ გადავა?***

— არა, ეს არის მხოლოდ და მხოლოდ სამართლებრივი მოთხოვნები რისი მოთხოვნის უფლებაც გააჩნია ნებისმიერ მოქალაქეს. ჩვენ ვითხოვთ კანონს და სამართლიანობას, მე არ მაინტერესებს სააკაშვილის გადადგომა, ჩემი ინტერესი არის, ქვეყანაში აღდგეს სამართალი და კანონიერება.

***— როდესაც სისხლის სამართალში ამდენი ცვლილება შედიოდა, მაშინ გამოგეთქვათ ასეთი ფორმით პროტესტი?***

— მაშინაც გავაპროტესტეთ, მივმართეთ პარლამენტს, საელჩოებს. ჩვენ ორი დღის წინაც გვქონდა საფრანგეთის ელჩთან შეხვედრა, ამ მოთხოვნებით სტრასბურგში გაგზავნილია არაერთი საქმე. ადვოკატები იძულებული გავხდით, მივმართავთ უკიდურეს ფორმებს.

***— ეს 21 მაისის წინმსწრები აქცია ხომ არ არის?***

— ამ აქციის ჩატარება გადავწყვიტეთ რამდენიმე დღის წინ, როდესაც გაიმართა ცოტნე გამსახურდიას პროცესი, მისი ადვოკატები არ ვიყავით გაფრთხილებული თუ პროცესი ტარდებოდა და როდესაც დარბაზში შევედი, როგორც მისი ადვოკატი, დავინახე, რომ საქმეს იხილავს მოსამართლე გიორგი ჩემია. ამ ცინიზმის ატანა უკვე ყოვლად წარმოუდგენელია. როდესაც დავაყენეთ ჩემი აცილების საკითხი, ამაზე მივიღეთ უარი. ამიტომ მივიღეთ გადაწყვეტილება, რომ ადვოკატებმა მივმართოთ უკიდურესი პროტესტის ფორმას, გაიზიარებს თუ არა ხელისუფლება ჩვენს მოთხოვნებს, ეს ხელისუფლების მოთხოვნაა, ჩვენი მოთხოვნა გამომდინარეობს ამერიკის შეერთებული შტატების სახელმწიფო დეპარტამენტის დასკვნიდან. ანუ ჩვენს მოთხოვნაში მხარს გვიჭერს მთელი მსოფლიოს ცივილიზებული სამყარო. რაც შეეხება აქციას, ეს არის თავად ადვოკატების გადასაწყვეტი, უნდათ — შეუერთდებიან 21 მაისი აქციას, უნდათ — არა.


# განცხადება

## მესამე საჯარო იძულებითი აუქციონის დანიშვნის შესახებ

სპეციალისტი ს.ს. ბანკი კონსტანტა აცხადებს მესამე იძულებით საჯარო აუქციონს მოვალე ოთარ ჟღენტის (პირადი ნომერი 01021006251 მცხ: თბილისი. სოფელი გლდანი, კვ №42, ნაკვეთი №043) სახელზე რიცხულ, იპოთეკით დატვირთულ უძრავ ქონებაზე, მდებარე თბილისი, სოფელი გლდანი, უძრავი ქონების საკადასტრო კოდი 72.13.42.043; ფართი: 350 კვ.მ.

აუქციონის დანიშვნის წინაპირობა ს.ს. ბანკი კონსტანტას გადაწყვეტილება №008; 19 ივლისი 2010 წ.

ქონების საწყისი ფასია 4800 (ოთხიათს რვაასი) ა.შ.შ. დოლარი

უძრავი ქონება არ არის დატვირთულია გარდამავალი იპოთეკის უფლებით:

პირველი იძულებითი საჯარო აუქციონი ჩატარდება 2011 წლის 24 მაისს, 12 საათზე

აუქციონს ჩაატარებს სპეციალისტის წარმომადგენელი ი. ჯიჯავაძე ტელ: 891 22 14 04

აუქციონის პირობები:

ა) აუქციონში მონაწილეობის ყველა მსურველმა უნდა წარმოადგინოს საბანკო გარანტია საწყისი ფასის ერთი მეათედის ოდენობით (გარანტიის მინიმალური ვადაა აუქციონის დღიდან 10 საბანკო დღე).

ბ) პირს, რომელიც ვერ წარმოადგენს საბანკო გარანტიას, ეკრძალება ამ აუქციონში შემდგომი მონაწილეობა.

გ) აუქციონში გამარჯვებულმა (ქონების შემძენმა) შესყიდვის ფასი სრულად უნდა შეიტანოს სპეცილისტის სადეპოზიტო ანგარიშზე აუქციონის ჩატარებიდან ერთი კვირის ვადაში, წინააღმდეგ შემთხვევაში შემძენი კარგავს მის მიერ საბანკო გარანტიის სახით წარმოდგენილ თანხას და აუქციონის შედეგები გაუქმდება.

დ) ყველა სხვა პირი, რომელსაც აქვს უფლებები ამ ქონებაზე, ვალდებულია ამ უფლებათა დამადასტურებელი მტკიცებულებანი წარმოადგინოს აუქციონის დაწყებამდე.

ე) ყველა სხვა პირმა, რომლებსაც უფლებები გააჩნიათ უძრავ ნივთზე, ვალდებულნი არიან ამ უფლების დამადასტურებელი მტკიცებულებები წარადგინონ აუქციონის დაწყებამდე.

წარმომადგენელი (აუქციონატორი)
ი. ჯიჯავაძე


# რევოლუცია სააკაშვილზე უარეს მმართველს მოგვიყვანს

დასაწყისი მე-5 გვერდზე

***არის განაწილებული?***

— ჩვენ არაფერი არ გაგვინაწილებია. პარლამენტში 150 ადგილია. შესაბამისად ყველას აქვს შანსი, რომ იქ მოხვდეს. ოღონდ თუ საარჩევნო გარემო იქნება ჯანსაღი.

***— მთელი უბედურებაც ისაა, რომ არ უმჯობესდება.***

— გაუმჯობესდება.

***— კოსმეტიკური ცვლილებებით გაუმჯობესდება საარჩევნო გარემო?***

— ამას ჩვენი ოპონენტები ამბობენ. ჩვენ კოსმეტიკურ ცვლილებებზე არ ვთანხმდებით. ჩვენ ვაპირებთ სერიოზული ცვლილებების შეტანას. ეს არის ამომრჩეველთა ზუსტი სიის დადგენა. ისეთი საარჩევნო სისტემის შემოღება, რომელიც სააკაშვილს არ მისცემს საშუალებას, ხმების 25-30 პროცენტი ჰაერზე მოიპოვოს. ჩვენთვის ეს 2 საკითხია უმთავრესი. როცა ამ საკითხებს გადავწყვეტთ, მერე სხვა საკითხებზეც ვისაუბრებთ. მგონი ამის წინააღმდეგი არც რევოლუციის მომხრე პარტიები არიან.

***— ხელისუფლებას ვადა როდემდე აქვს მიცემული? როდემდე აპირებთ მათ ლოდინს?***

— ეს შეთანხმება მაისის ბოლომდე უნდა მოხდეს. ჩვენ ვიბრძოლებთ იმისთვის, რომ ქვეყანაში საარჩევნო გარემო გაუმჯობესდეს. უკვე დროა საქართველოშიც ჩატარდეს ნორმალური არჩევნები. მე მჯერა, რომ მოსახლეობასაც რევოლუციას არჩევნები ურჩევნია. ხალხმა უკვე კარგად გააცნობიერა, რომ რევოლუცია კარგს არაფერს მოიტანს. ერთ ტირანს მეორე შეცვლის. არჩევნების შემთხვევაში პარლამენტში რამდენიმე პოლიტიკური პარტია შევა. მოხდება ძალაუფლების გაყოფა. ამით ხალხი ნამდვილად ნახავს ხეირს.

***— მაისის ბოლომდე ხელისუფლებამ თუ არ მოგცათ პასუხი, 1 ივნისიდან დაიწყებთ აქციებს?***

— თუ ხელისუფლება დანაპირებს არ შეასრულებს, აქციები იქნება. ოღონდ არა სააკაშვილის გადადგომის მოთხოვნით, გუშინ, მაგალითად, ჩვენ რუსთავშიც გავმართეთ აქცია.

***— ქართული პარტიის მსგავსად, თქვენც შიდა ტურიზმის განვითარებას ხომ არ მიჰყავით ხელი?***

— რა თქმა უნდა. ოღონდ ჩვენი მარშუტი გვაქვს. მე კარგად ვიცი, რა მძიმე დღეშია დღეს მოსახლეობა. მათ ძალიან სწრაფად უნდათ ცვლილებები. სწრაფი ცვლილებებით რომ ვიარეთ, იმიტომაც ვართ ამ დღეში. სულ რევოლუციებს ვაწყობთ. არაფერი კარგი ამ რევოლუციებმა საქართველოს არ მოუტანა. ჩვენ პიროვნებებში კი არ უნდა ვეძებოთ ბოროტება, არამედ — სისტემაში. ერთ ადამიანს არ უნდა მივცეთ იმდენი ძალაუფლება, რომელიც მას გარყვნის. ჩვენ რატომღაც გვავიწყდება პოლიტიკის ისტორიის უდიდესი მკვლევარის ლორდ ჯონ ექტონის სიტყვები. ის ამბობს: ძალაუფლება რყვნის ადამიანს, აბსოლუტური ძალაუფლება აბსოლუტურად რყვნის მას. დღეს ხშირად ვსაუბრობთ სააკაშვილის არაადეკვატურობაზე, მის ფსიქოლოგიურ გადახრებზე, ეს, რა თქმა უნდა, არსებობს. ოღონდ არ ვითვალისწინებთ, რომ ამ ყველაფრის გამოვლინებას ძალაუფლება განაპირობებს. ამიტომაც უნდა შევძლოთ ძალაუფლების დანაწილება და მისი დაბალანსება. მხოლოდ ასეთ შემთხვევაში იცხოვრებენ ნორმალურად ამ ქვეყანაში ადამიანები. რევოლუციით კი ქვეყნის სათავეში შეიძლება სააკაშვილზე უარესი ხელისუფლება მოვიდეს.

***— აბა, რომ ამბობთ ხოლმე, რომ სააკაშვილზე უარესი არ იქნებაო....***

— ეს მე არ მითქვამს.

***— პირადად არ გითქვამთ, მაგრამ ოპოზიციის დიდი ნაწილი ხომ ამას ამტკიცებს.***

— ამას ამბობენ რევოლუციის მომხრე ძალები. ჩვენ თავის დროზე გვეგონა, რომ შევარდნაძეზე უარესი არ იქნებოდა. მის წინააღმდეგ რევოლუციაში მეც ვღებულობდი მონაწილეობას. მიმაჩნია, რომ ეს ჩემი, როგორც პოლიტიკოსის შეცდომაა. იმ რევოლუციის გამო ვართ ამ დღეში. რევოლუციის გზით სააკაშვილის გაშვების შემთხვევაში არაფერი არ იქნება კარგად. მოვა ვინმე ახალი ტირანი და 5 წლის შემდეგ ხალხი ისევ „გადადექის“ ძახილში იქნება. რადიკალური ოპოზიციის აქციები ჩვენ მოგვეხმარება სააკაშვილთან საარჩევნო გარემოს გაუმჯობესებაზე საუბარში. თუ მოხდა რევოლუცია, მაშინ რევოლუციონერებთან დავიწყებთ საარჩევნო გარემოს გაუმჯობესებაზე მოლაპარაკებებს და ძალიან მაინტერესებს, ეს რევოლუციონერები რას გვიპასუხებენ.

***— მანამდე რევოლუცია უნდა მოხდეს...***

— ვნახოთ. იცოდნენ რევოლუციონერებმა, რომ ამ საქმეს არ შევეშვებით.

# უკვე დროა, საქართველოს ხელისუფლება ქართველმა ხალხმა აირჩიოს




შორენა გონგლაძე

### ინტერვიუ ყოფილ პოლიტპატიმარ ზაზა დავითაიასთან

— ***ზაზა, როგორც ვიცით, 21 მაისიდან აქციები იწყება და როგორც აქციის ორგანიზატორები გვპირდებიან, ეს აქციები იქნება ხელისუფლებისთვის გადამწყვეტი, როგორ ფიქრობთ, რეალურად, რამდენად იქნება ეს აქციები ორიენტირებული შედეგზე, მასში ეჭვის შეტანის სრული საფუძველი აქვს საზოგადოებას?***

— ორიენტირებული შედეგზე იქნება იმდენად, რამდენადაც ლიდერები თავიანთ პასუხისმგებლობას მაქსიმალურად დააყენებენ წინა პლანზე და მაქსიმალურად შეასრულებენ თავიანთ მოვალეობას, ხალხის წინაშე ისე წარმოაჩენენ თავს, რომ ხალხი კვლავ არ დარჩეს მოტყუებული. ანუ, რასაც ხალხს ჰპირდებიან, ხალხი რეალურად ასრულებს თავის ფუნქციას, ხალხი გამოხატავს თავის პოზიციას და შემდეგ რჩება მოტყუებული იმიტომ, რომ ლიდერები არ არიან თავიანთ სიმაღლეზე. იმდენად შეასრულებს ეს ახალი აქციები თავიანთ ფუნქციას, რამდენადაც იქნებიან თავიანთ სიმაღლეზე ლიდერები.

— ***ოპოზიციაში არსებული დაპირისპირება რამდენად იმოქმედებს აქციების საბოლოო შედეგზე?***

— ეს არის ის ბარიერი, რაც ხალხის მობილიზაციას უშლის ხელს. რა თქმა უნდა, ოპოზიციაში რომ იყოს თანხმობა, თუნდაც იმ ერთიანი მიზნისთვის, რასაც ჰქვია ამ ხელისუფლების შეცვლა, მაშინ ხალხი უფრო მეტი ენთუზიაზმით და დიდი რაოდენობით გამოვიდოდა ამ აქციაზე. დაველოდოთ 21 მაისს და ჩვენ დავინახავთ, რამდენად მაღალია საზოგადოების მღელვარების ნიშნული. ხალხში უკმაყოფილების მუხტი არის საკმაოდ დიდი, მაგრამ რამდენად დიდი არის ნდობა იმ ლიდერებისადმი, რომლებიც ამ ხალხის გაძღოლას აპირებენ, ამას 21 მაისი დაგვანახებს. თუნდაც არ გამოვიდეს ხალხი საკმარისი რაოდენობით, რაც საჭიროა ხელისუფლების შესაცვლელად, ხალხში უკმაყოფილობის მუხტი მაინც ძალიან მაღალია. შესაძლოა ხალხი არ გამოვიდეს იმიტომ კი არა, რომ მუხტი არ არის, არამედ იმიტომ, რომ ხალხი ლიდერებს არ ენდობა.

— ***როგორ ფიქრობთ, რამდენად მაღალია საზოგადოების სანდოობა ლიდერებისადმი, მათი წარსულის გათვალისწინებით?***

— მე ვფიქრობ, რომ დღეს პოლიტიკურ ასპარეზზე გამოდიან ახალი სახეები, თუნდაც კარგად დავიწყებული ძველები, თუნდაც ის ადამიანები, რომლებმაც გააცნობიერეს ის შეცდომები, რაც დაუშვეს ამ ხელისუფლებაში ყოფნისას და გადაწყვიტეს თავიანთი დანაშაულის გამოსწორება. თუმცა სახალხო კრების ძირითადი ბირთვი, ითქმის, რომ არის ახალი სახეებით შემდგარი და მივცეთ მათ იმის საშუალება, რომ თავიანთი თავის რეალიზაცია ოპოზიციის ამპლუაში გამოავლინონ და რაც დააშავეს ამ ხელისუფლების გვერდით დგომით, ის გამოისყიდონ ხალხის გვერდით დგომით; მაგრამ იმავე სახალხო კრებაში არიან ჩემთვის ფრიად პატივსაცემო ადამიანები, რომლებიც არიან გაუსვრელები და რომელთაც ხალხის წინაშე დგომის უფრო მეტი რესურსი და პერსპექტივა გააჩნიათ, ეს ადამიანები ხალხის მხრიდან დიდი სიყვარულით სარგებლობენ, ისინი არიან ხალხის ნაწილი და მათ ხალხის იმედები არასდროს გაუმტყუნებიათ.

— ***ოპოზიციის რეიტინგს საზოგადოებაში მნიშვნელოვნად განსაზღვრავს დაფინანსების წყარო, ამ შემთხვევაში რამდენად მისაღები იქნება საზოგადოებისთვის ის წყარო, საიდანაც ოპოზიცია ფინანსება?***

— ისეთი საკითხი, როგორიც არის ფინანსები, რა თქმა უნდა, ძალიან მნიშვნელოვანია და ძალიან დიდი მნიშვნელობა ენიჭება ფულის წარმომავლობის საკითხს. ნათქვამია, ვინც ფულს იხდის, მუსიკასაც ის უკვეთავს, მაგრამ ჩვენ ამაზე არ უნდა გავამახვილოთ ყურადღება. თუ ჩვენი მთავარი ამოცანა არის ის, რომ საქართველოს მართავს ხელისუფლება, რომელსაც საქართველო დაღუპვისკენ მიჰყავს, მთავარია სასწრაფოდ შეიცვალოს ხელისუფლება, რათა ქვეყანა გადაურჩეს ამ კატასტროფას. თუ რომელიმე პოლიტიკოსი უცხოურ სპეცსამსახურებთან არის დაკავშირებული, ეს მისი პრობლემაა და ამას ხალხი შეაფასებს, მაგრამ ჩვენი ნომერ პირველი ამოცანა არის ის, რა მიზნითაც ხალხი უნდა გამოვიდეს გარეთ. ამიტომ, ჯერ ერთი საკითხი მოგვარდეს და როდესაც ეს ხელისუფლება წავა, მერე ნუ მივცემთ სხვა ქვეყნის სპეცსამსახურებს იმის საშუალებას, რომ ამ ხელისუფლების წასვლით მათ ისარგებლონ. საერთოდ, ყველაფერს წყვეტს ხალხის ნება და თუ ხალხი იქნება შეკრული, თავად ხალხი არ მისცემს საშუალებას უცხო ქვეყნის სპეცსამსახურებს და არც მათ რეზიდენტებს საქართველოში, რომ უცხო ქვეყნის ინტერესები აღსრულდეს.

— ***რატომ? ამის ნათელი მაგალითი წინ გვიდევს — 2003 წლის ვარდების რევოლუცია, ასე არ არის?***

— მაგალითი, რა თქმა უნდა, წინ გვიდევს, მაგრამ ჩვენი მიზანი უნდა იყვეს ვისწავლოთ შეცდომებზე და აღარ წამოვკრათ ფეხი იგივე ქვას, რასაც რამდენჯერმე უკვე წამოვკარით.

— ***დავუშვათ, წავიდა სააკაშვილი, ამ ხელისუფლების ალტერნატივად ვინ გესახებათ?***

— მე მგონი, უკვე დადგა დრო, რომ საქართველოში მოხდეს ქართველი ხალხის ნების ჭეშმარიტი გამოხატულება და არჩეული იქნას ხელისუფლება, რომელიც იქნება, უპირველეს ყოვლისა, ეროვნული და მართლმადიდებლური მრწამსის გამომხატველი. მე ამ შემთხვევაში ვგულისხმობ ტოლერანტულ მიდგომას ყველა სხვა რელიგიისადმი, ვგულისხმობ ზნეობრივ ხელისუფლებას, რომელიც პირველ რიგში ორიენტირებული იქნება ქვეყნის აღმშენებლობასა და თავისი ხალხის კეთილდღეობაზე ფიქრით იქნება დაკავებული და არა სხვა ქვეყნის ინტერესების აღსრულებაზე ორიენტირებული. თუ ხალხი იქნება ერთიანი, ჩვენ გვაქვს იმდენი სიბრძნე, რომ აღარ დავუშვათ ახალი შეცდომები. დროა უკვე ხალხმა გააკეთოს არჩევანი, როგორც ჩანს, ხალხმა ჯერ უნდა იბრძოლოს იმისთვის, რომ არჩევანის საშუალება მიეცეს და შემდეგ გამოხატოს არჩევნებზე თავისი ნება და სწორედ ეს პროცესები მიმდინარეობს. ხალხმა ეს ხელისუფლება უნდა მოიცილოს კონსტიტუციური, დემოკრატიული და საერთაშორისო თანამეგობრობის მიერ აღიარებული ცივილური მეთოდებითა და ხერხებით.

— ***აქციებით ხელისუფლების გადაყენება ცივილური და დემოკრატიული მეთოდებია?***

— აქცია ეს არის სრულიად ცივილური მეთოდი, იმიტომ, რომ როდესაც ხალხი ვერ გამოხატავს თავის ნებას არჩევნების საშუალებით, შემდეგ ხალხი გამოდის ქუჩაში და ქუჩიდან ითხოვს ხელისუფლების წასვლას. თუ ხელისუფლება ხალხს უპირისპირებს ძალას, ხალხს აქვს უფლება, ამ ძალას ადეკვატური პასუხი გასცეს, თუმცა ეს არის ის საშუალება, რომელიც ნაკლებ მისასალმებელია, მაგრამ თუკი ქვეყნისა და სახელმწიფოს ინტერესები მოითხოვს, რომ თუნდაც მსხვერპლზე გადიოდეს ქვეყნის აღმშენებლობის გზა, ნებისმიერი ქართველი ბედნიერი უნდა იყოს, თუკი ის აღმოჩნდება მსხვერპლი, რადგან სამშობლოსთვის სიკვდილი არის უდიდესი ბედნიერება.

— ***თქვენ თუ აპირებ ამ აქციებს შეუერთდეთ?***

— მე იმის მიუხედავად, რომ ვარ ეროვნული მოძრაობის აქტიური მონაწილე, ამ ეტაპზე მე გახლავართ გაზეთ „ასავალ-დასავალის“ ჟურნალისტი და ჟურნალისტურ ამპლუაში შევუერთდები ამ აქცია და ვიქნები ხალხის გვერდით, ოღონდ ვიქნები ჩემი მოვალეობის აღმასრულებელი, იმ სიტუაციის ობიექტურად ამსახველი, რასაც ადგილი ექნება ამ სახალხო გამოსვლების დროს, მაგრამ რაც შეეხება ჩემს მონაწილეობას აქციაში, ამას არ ვაპირებ. მე ვიქნები ხალხის გვერდით, ოღონდ ჟურნალისტის ამპლუაში.

# აზერბაიჯანის ხელისუფლება ინგილოების უფლებებს ზღუდავს

გულიკო ბალაძე

**გავრცელდა ინფორმაცია, რომ საქართველოს ირ ველ კუთხეში, საინგილოში, კერ ოდ კი, სოფელ ალიბეგლოში და ასევე ქართველებით დასახლებულ სხვა სოფლებში ადგილი აქვს ქართველების უფლებების შელახვის ფაქტებს.**

ახლახან საინგილოს სოფელ ალიბეგლოდან მოსახლეობამ წერილი გამოუგზავნა ქართველ საზოგადოებას. წერილში ისინი დახმარებას სთხოვენ როგორც ქართველ საზოგადოებას, ასევე საქართველოს ხელისუფლებასა და ადამიანის უფლებათა დამცველებს, რომ აღიმაღლონ ხმა თანამემამულეების უფლებების დასაცავად.

საინგილოში ქართველთა უფლებების შელახვის ფაქტებს გამოეხმაურა ადამიანის უფლებათა დამცველი გიორგი თევზაძე. მან ამ საკითხს პრესკონფერენცია მიუძღვნა და განაცხადა, რომ საინგილოში მოქმედებს დისკრიმინაციული კანონები, რაც ლახავს საქართველოს ამ ძირძველ მიწაზე მცხოვრები ქართველების უფლებებს.

— როგორც ცნობილი გახდა, საქართველოს ძირძველ მიწაზე, საინგილოში, ადგილი აქვს ქართველების მიზანმიმართულ დისკრიმინაციას. კერძოდ, საინგილოს ქართველები ქართველ საზოგადოებას, ხელისუფლებასა და ჩვენ, ადამიანის უფლებათა დამცველებს მოგვმართავენ, დავიცვათ მათი უფლებები.

საინგილოდან ქართველების მიერ გამოგზავნილ წერილში ნათქვამია: „ამა წლის 18 აპრილს ჩვენს სოფელში, კერძოდ, დაბა ალიაბადში საქართველოს ელჩი აზერბაიჯანში, თეიმურაზ შარაშენიძე და მისი მოადგილე გელა გიორგაძე ჩამობრძანდნენ. აქაურ მოსახლეობას უამრავი პრობლემა გვაქვს და ელჩის ჩამოსვლას მოუთმენლად ველოდით.

წლებია, რაც ვითხოვთ სოფელში ქართული ბაღისა და სკოლის



გახსნას. იმის უფლებაც არ გვაქვს, ბავშვებს ქართული სახელები დავარქვათ. ქართული სახელების დარქმევა ბავშვებისათვის 1996 წლიდან აგვიკრძალეს. აღარაფერს ვამბობთ გვარზე, რომელიც მე-20 საუკუნის დასაწყისში იძულებით შეგვიცვალეს. თუკი აზერბაიჯანელები საქართველოში მეჩეთს მეჩეთზე აშენებენ, ჩვენთვის ერთი ეკლესიის აშენებაც პრობლემაა“.

როგორც წერილიდან ჩანს, საინგილოს ქართველები დღემდე შოკირებული არიან ელჩის სტუმრობით, რადგან მათთან მყოფი ელჩი, დირექტორის კაბინეტში შევიდა და მხოლოდ ოთხი კაცი მიიღო შეხვედრაზე, სხვები კი არ შეუშვეს.

საინგილოდან ქართველები წერენ, რომ „იმ ოთხ კაცს შორის ერთ-ერთი მშობელი იყო, რომლის შვილს ქართული სახელის გამო დაბადების მოწმობას არ აძლევენ. ჩვენმა ელჩმა გვკითხა, რა გვარის ხარო? მან დაუსახელა ძირძველი ქართული გვარი და ახლანდელი ძალად მინიჭებული აზერბაიჯანული გვარი, ელჩმა ძალიან აღმაშფოთებელი პასუხი გასცა: „რა მოხდა მერე, დაარქვი შენც აზერბაიჯანული სახელი და ამით პრობლემა ამოიწურება“.

როგორც ჩანს, ელჩი დიდად არ აუღელვებია საინგილოს ქართველების გულისტკივილს და ძალიან მარტივი და სამარცხვინო პასუხით გამოისტუმრა ისინი: „აზერბაიჯანში კანონი კრძალავს ბავშვებისათვის უცხოური სახელის დარქმევას და ჩვენ კანონის წინააღმდეგ ვერ წავალთ.“

ასეთი სახის კანონი არის დისკრიმინაციული, ლახავს ადამიანის უფლებებს და ის უნდა შეიცვალოს, — განაცხადა გიორგი თევზაძემ.

გიორგი თევზაძე აღნიშნავს, რომ საქართველოში უამრავი აზერბაიჯანელია, რომელთა უფლებებიც ზედმიწევნით დაცულია. საინგილოში მცხოვრებ ქართველებს კი არ აქვთ ქართულად განათლების მიღების უფლება. სოფელ ალიბეგლოს მცხოვრებლები აცხადებენ, რომ თუ მათ სახლში ბიბლიას უპოვიან, გარანტირებული აქვთ პატიმრობა, ან ადმინისტრაციული სასჯელი. სასჯელი მათ იმის გამოც ემუქრებათ თუ ქართული დროშა აღმოაჩნდებათ სახლში.

— ***ბატონო გიორგი, როგორც უფლებადამცველმა და ადამიანის უფლებების საერთაშორისო ორგანიზაციის ხელმძღვანელმა თუ მიმართეთ საერთაშორისო ორგანიზაციებს ან აზერბაიჯანის საელჩოს?***

— ჩვენ ვამზადებთ წერილს და აზერბაიჯანის საელჩოს მეშვეობით აზერბაიჯანის ხელისუფლებას მივმართავთ. მასში დავაფიქსირებთ ჩვენს უარყოფით პოზიციას საინგილოში ქართველი მოსახლეობის უფლებების შელახვის თაობაზე, რადგან მოსახლეობის მიმართ ასეთი დამოკიდებულება მიუღებელია. ფაქტია, რომ საინგილოში ადგილი აქვს ჩვენი თანამემამულეების უფლებების დარღვევის ფაქტებს, ქართულ სკოლებს დახურვა ემუქრება, ვინაიდან ადგილობრივი ჩინოვნიკები მშობლებზე ზეწოლას ახდენენ. მათ ეუბნებიან, შვილები ქართულ სკოლაში არ შეიყვანოთ, თორემ პრობლემები შეგექმნებათო. მშობლებს ეუბნებიან, თუ თქვენი შვილები ქართულ სკოლას დაამთავრებენ, სამსახურს ვერ იშოვიან, ხოლო თუ სამსახურში ქართული განათლებით იქნებიან, მაშინ სამსახურიდან დაითხოვენ.

— ***როგორც ჩანს, საინგილოში ქართველების მიმართ რელიგიური აღმსარებლობა იზღუდება...***

— როგორც წერილშია აღნიშნული, საინგილოში ქართველებს რელიგიურ წიგნებს უკრძალავენ. იხურება ეკლესიაც. ამ დროს საქართველოში უამრავი მეჩეთია აშენებული, რისი წინააღმდეგიც არავინაა. აზერბაიჯანელებს არც არავინ უშლის ხელს ემსახურონ თავიანთ რწმენას. პირიქით, საქართველოში აზერბაიჯანული სკოლები, თეატრი და სხვა კულტურული დაწესებულებები ფუნქციონირებს, ამასთან ერთად გარკვეული შეღავათები აქვთ უმაღლეს სასწავლებლებში ჩარიცხვისას და ა.შ. ამ დროს აზერბაიჯანში თუ ბიბლია გიპოვეს, ციხე გარანტირებული გაქვს. აზერბაიჯანელი ჩინოვნიკები ამბობენ, კანონი მე ვარო. თავს უფლებას აძლევენ, რაც უნდათ, ის გააკეთონ. როდესაც აზერბაიჯანის პრეზიდენტი ჩამოდის საქართველოში, ათასობით აზერბაიჯანელი ხვდება აზერბაიჯანული დროშებით ხელში. იქ კი ქართული დროშა რომ უპოვონ, ადმინისტრაციულ სასჯელს დააკისრებენ.

— ***აზერბაიჯანის სახელმწიფოს რა უნდა მოსთხოვო, როცა იქ საქართველოს სახელმწიფოს წარგზავნილი ოფიციალური პირი თავისი სტატუსის შეუფერებლად იქცევა. ნორმალური ქვეყნის ხელისუფლება ასეთ ელჩს დაუყოვნებლივ უკან გამოიწვევდა.***

— აზერბაიჯანში საქართველოს ელჩის თეიმურაზ შარაშენიძის საინგილოში სტუმრობისას რა მოხდა, ვერ გეტყვით. ის წარმოადგენს თავისი ქვეყნის დესპანს და, უპირველესად, სამართლიანი უნდა იყოს და ჩვენი თანამემამულეების უფლებები დაიცვას. გასაგებია, რომ აზერბაიჯანი ჩვენი მეგობარი ქვეყანაა, რომელთანაც მეგობრული დამოკიდებულება გვაქვს, მაგრამ მეგობრობა ორმხრივი ვიცი.

— ***როგორ ფიქრობთ, საინგილოს ქართველების წერილს საქართველოს ხელისუფლების მხრიდან რაიმე რეაგირება მოჰყვება?***

— ალბათ, საქართველოს ხელისუფლება კვლავ წაყრუების პოლიტიკას გააგრძელებს, რითაც ჩვენი თანამემამულეები საინგილოში უფრო დაუცველ მდგომარეობაში აღმოჩნდებიან. საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროს ხელმძღვანელობამაც გარკვეული ახსნა-განმარტებები უნდა მოსთხოვოს საქართველოს ელჩს აზერბაიჯანში.ვიმედოვნებთ, რომ ისტორიული ჰერეთის მკვიდრი ქართველების პრობლემა, რომელიც რეალურად არსებობს, უნდა გადაწყდეს საქართველოს ხელისუფლების უშუალო ჩარევით. სწორედ მათ ხელეწიფებათ სახელმწიფოებრივი ურთიერთობების დონეზე ამ საკითხის გადაწყვეტა.

როგორც ადამიანის უფლებათა დაცვის საერთაშორისო ორგანიზაცია, წერილობით მივმართავთ აზერბაიჯანის ხელისუფლებას, რათა საინგილოში მცხოვრები ქართველების შევიწროებას წერტილი დაესვას და დაცულ იქნას საერთაშორისო ნორმებით გარანტირებული და აღიარებული უფლებები. მოვუწოდებ აზერბაიჯანის ხელისუფლებას, დაიცვას ადამიანის უფლებები.

# მარჯანიშვილის თეატრი გასტროლებზე მიდის

ეკა ირემაშვილი

**კოტე მარჯანიშვილის სახელობის სახელმწიფო დრამატული თეატრი გასტროლზე ბაქოში მიდის. მარჯანიშვილის თეატრსა და ბაქოს ნაციონალურ აკადემიურ დრამატულ თეატრს შორის გაფორმდა შეთანხმება, რაც ითვალისწინებს გრძელვადიან თანამშრომლობას — სპექტაკლების გაცვლას საერთო პროექტების განხორციელებას, ტრეინინგებისა და ვორქშოფების ჩატარებას.**

ამ შეთანხმების საფუძველზე 2011 წლის 18 მაისს კოტე მარჯანიშვილის სახელობის სახელმწიფო დრამატული თეატრი მიემგზავრება აზერბაიჯანის დედაქალაქ ბაქოში. 19 და 20 მაისს ბაქოს სახელმწიფო ნაციონალურ აკადემიურ დრამატულ თეატრში გაიმართება თეატრის სამხატვრო ხელმძღვანელის, რეჟისორ ლევან წულაძის ორი სპექტაკლი — 19 მაისს კოკი მიტანის მიხედვით დადგმული „ჟოლო" გათამაშდება, რომელშიც მონაწილეობენ ნატა მურვანიძე და ნიკა კუჭავა. 20 მაისს კი აზერბაიჯანელი მაყურებელი აკა მორჩილაძისა და ლევან წულაძის „პიგმალიონს" ნახავს. სპექტაკლში დაკავებული არიან აკაკი ხიდაშელი, გივი ჩუგუაშვილი, გივი ბერიკაშვილი, მანანა კოზაკოვა, ნინო დუმბაძე, თეონა ქოქრაშვილი, ონისე ონიანი, ლიკა ქობულაძე, ქეთევან გეგეშიძე, მაია კაციტაძე, ბესო ბარათაშვილი, თენგიზ პაპიძე, ბექა გოდერძიშვილი, თამარ სხირტლაძე და თეატრალური უნივერსიტეტის კურსდამთავრებულები.

მარჯანიშვილის თეატრმა უკანასკნელად 1977 წელს ბაქოში წარადგინა სოფოკლეს „ოიდიპოს მეფე" გიგა ლორთქიფანიძის რეჟისორობით. 34 წლიანი პაუზის შემდეგ მარჯანიშვილის თეატრის დასი ბაქოში ბრუნდება.

30 და 31 მაისს უკვე მარჯანიშვილის თეატრი უმასპინძლებს ბაქოს სახელმწიფო ნაციონალურ აკადემიურ დრამატულ თეატრს. ცნობილია, რომ სექტემბერში ბაქოს ნაციონალურ თეატრში ლევან წულაძე დადგამს მაქს ფრიშის „დონ ჟუანი, ანუ სიყვარული გეომეტრიისადმი".

ბაქოში დაგეგმილი გასტროლის პარალელურად, მარჯანიშვილის თეატრი არც საქართველოს რეგიონებს ივიწყებს. 7 მაისს თეატრი რაჭაში ჩავიდა, სადაც ამბროლაურის კულტურის სახლში რეჟისორ თემურ ჩხეიძის მიერ დადგმული სპექტაკლი „არტ ხელოვნება" წარადგინა. სპექტაკლში მხოლოდ სამი მსახიობი — ზურაბ ყიფშიძე, მიხეილ გომიაშვილი და ალეკო მახარობლიშვილი არიან დაკავებული.

მარჯანიშვილის თეატრში სტუდენტური ნამუშევრების ჩვენებაც მიმდინარეობს. ეს თეატრი უკვე 3 წელია თანამშრომლობს შოთა რუსთაველის სახელობის თეატრისა და კინოს სახელმწიფო უნივერსიტეტთან. ამ თანამშრომლობის საფუძველზე 2011 წლის სეზონის ბოლომდე თეატრი „სხვენს" უთმობს თეატრისა და კინოს სახელმწიფო უნივერსიტეტის მე-3 კურსის სარეჟისორო ფაკულტეტის სტუდენტების მიერ დადგმულ სპექტაკლებს — მათ შორის არის 6 რეჟისორი ლევან წულაძის ჯგუფიდან.

როგორც მარჯანიშვილის თეატრის მიერ გავრცელებულ განცხადებაშია ნათქვამი, „მარჯანიშვილის თეატრმა სტუდენტებს მაქსიმალურად კომფორტული გარემო შეუქმნა — დაუთმო სარეპეტიციო სივრცე და საშუალება მისცა ემუშავათ თეატრის მსახიობებთან. ყოველივე ეს, ვფიქრობთ, ხელს შეუწყობს მათი პროფესიული დონის ამაღლებასა და განვითარებას. სამხატვრო ხელმძღვანელის ლევან წულაძის ხელშეწყობით ივნისის ბოლომდე განხორციელდება 6 პრემიერა. იდეა ეკუთვნის მარჯანიშვილის თეატრის სამხატვრო ხელმძღვანელს, ბატონ ლევან წულაძეს, ამ ექსპერიმენტის მონაწილეები მისივე სტუდენტები არიან."

დაგეგმილ პრემიერებზე შოთა რუსთაველს თეატრისა და კინოს სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტებისათვის დასწრება უფასოა. 30 აპრილს უკვე შედგა პრემიერა აზიზ ნესის პიესის მიხედვით დადგმული სპექტაკლისა „კონტროლიორი", რომლის რეჟისორიც დავით ჩხარტიშვილია. სპექტაკლში მონაწილეობენ ონისე ონიანი, თამარ ბუხნიკაშვილი და ნინო გაჩეჩილაძე.

სტუდენტების მიერ ასევე დასრულდა კიდევ ერთ სპექტაკლზე მუშაობა — ნოელ ქაუარდის პიესის მიხედვით რეჟისორმა მიხეილ ჩარკვიანმა დადგა სპექტაკლი „სული გამოძახებით". მასში დაკავებული არიან ბექა გოდერძიშვილი, ვალერი კორშია, ლიკა ქობულაძე, ანა გულიაშვილი, გვანცა კორშია, სოფო სებისკვერაძე, თამარ ტყემალაძე.

სტუდენტური ჩვენებების ეგიდით დაგეგმილია პრემიერები — ბერნარდ შოუ „როგორ ატყუებდა ის მის ქმარს" რეჟისორი ნიკა ლუარსაბიშვილი, ფედერიკო გარსია ლორკა — „მეწაღის ცოლის ამბავი", რეჟისორი ირაკლი ძნელაძე, ალექსანდრე პუშკინი — „დონჟუანი", რეჟისორი თათა პოპიაშვილი, ჟან ბატისტ მოლიერი — „სასაცილო პრესიოზები", რეჟისორი ჯაბა პაპუაშვილი.

# ეროვნული მუზეუმის რეაბილიტაციის პირველი ეტაპი დასრულებულია

ეკა ირემაშვილი

სიმონ ჯანაშიას სახელობის საქართველოს მუზეუმისა და ეროვნული გალერეის რეაბილიტაციის პირველი ეტაპი დასრულებულია. 2011 წელს სიმონ ჯანაშიას სახელობის საქართველოს მუზეუმის და ეროვნული გალერეის ახალი საგამოფენო დარბაზები კვლავ გაუღებს კარს დამთვალიერებლებს. ეროვნული მუზეუმის აუდიტორიაში ამ საკითხთან დაკავშირებით მედიის წარმომადგენლებთან შეხვედრა გაიმართა. საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის მინისტრმა ნიკოლოზ რურუამ და ეროვნული მუზეუმის გენერალურმა დირექტორმა დავით ლორთქიფანიძემ ჟურნალისტებს საქართველოს ეროვნული მუზეუმის მიღწევებისა და ახალი გეგმების პრეზენტაცია მოუწყეს. დავით ლორთქიფანიძემ მასმედიის წარმომადგენლებს და შეკრებილ საზოგადოებას ეროვნული მუზეუმის მიღწევები წარუდგინა და სამომავლო გეგმებიც გააცნო.

პრესკონფერენციის შემდეგ მედიის წარმომადგენლებს პირველად მიეცათ საშუალება სიმონ ჯანაშიას სახელობის საქართველოს მუზეუმის განახლებული სივრცეები დაეთვალიერებინათ. 1929 წელს აგებული სიმონ ჯანაშიას სახელობის საქართველოს ეროვნული მუზეუმის შენობის სრული რეაბილიტაცია „ქართუ ჯგუფის" დახმარებით სამი წლის განმავლობაში მიმდინარეობდა. მუზეუმის სივრცეში შეიქმნა ახალი, თანამედროვე ტიპის საგამოფენო დარბაზები, საზოგადოებრივი სივრცეები, თანამედროვე სტანდარტების მიხედვით განახლდა მუზეუმის ეზო და საცავები.

მუზეუმის კვირეული საქართველოში 25 მაისამდე აღინიშნება, 26 მაისს კი საქართველოს დამოუკიდებლობის დღეს ეროვნულ მუზეუმში არქეოლოგიური საგანძურის საგამოფენო დარბაზიც გაიხსნება.

**დავით ლორთქიფანიძე, ეროვნული მუზეუმის ხელმძღვანელი:**

— ეროვნული მუზეუმის რეაბილიტაცია სამი წლის განმავლობაში მიმდინარეობდა. ჩვენთვის ძალიან დიდი პატივია, რომ უკვე შეგვიძლია კარი გავუღოთ ჩვენს დამთვალიერებელს და ეროვნულ მუზეუმში დაცული უნიკალური საგანძური დავათვალიერებინოთ. თავადაც ნახეთ, როგორი განახლებული და გალამაზებულია აქაურობა.

***— თქვენს მოედანზე შემოსვლა ფასიანი იქნება?***

— ჩვენს მოედანზე შემოსვლა უფასო იქნება ყველა მსურველისთვის. ჩვენ ამით რუსთაველის გამზირს მუზეუმების ქუჩასთან, გუდიაშვილის ქუჩასთან დავაკავშირებთ.

***— 18 მაისი მუზეუმების საერთაშორისო დღეა. როგორ აღნიშნავთ ამ თარიღს?***

— ჩვენ ტრადიციას არც წელს დავარღვევთ და 18 მაისს მუზეუმების საერთაშორისო დღეს საქართველოს ეროვნული მუზეუმის გაერთიანებაში შემავალ მუზეუმებში შესვლა უფასო იქნება. ეს მუზეუმები დამთვალიერებელს 11-დან 17 საათამდე მოემსახურება.

**ნიკოლოზ რურუა, კულტურის მინისტრი:**

— საქართველოს ეროვნული მუზეუმი უდიდესი საგანძურია მთელი საქართველოსთვის. ძალიან მნიშვნელოვანია, რომ ასეთი დიდი ისტორიის მქონე მუზეუმში ახალი და თანამედროვე ტიპის საგამოფენო დარბაზები გაიხსნა, სადაც კარგად იქნება შესაძლებელი საქართველოს ისტორიისა და კულტურის კიდევ უფრო ახლოს გაცნობა.



# ნიკოლოზ ბარათაშვილის სახლ-მუზეუმში საუკეთესოებს დააჯილდოვებენ

ეკა ირემაშვილი

უკვე ტრადიციად იქცა, რომ ნიკოლოზ ბარათაშვილის სახლ-მუზეუმში ლიტერატურული კონკურსის „მცირე პროზა" გამარჯვებულები დააჯილდოვონ. დედაქალაქის მერიის ხელშეწყობით კონკურსი სტუდენტებისთვის იმართება. წლევანდელი დაჯილდოების საზეიმო ცერემონიალი 18 მაისს მუზეუმების საერთაშორისო დღეს მოეწყობა. ლიტერატურული კონკურსის მხარდამჭერები თბილისის მერია, სოციალური მომსახურებისა და კულტურის საქალაქო სამსახური, განათლების სამინისტრო, პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკა და ქალაქის მთავარი ბიბლიოთეკა არიან.

პროექტის მიზანია დამწყები პროზაიკოსების გამოვლენა და წახალისება. როგორც „ახალ თაობას" ნიკოლოზ ბარათაშვილის სახელობის სახლ-მუზეუმში განუცხადეს, პროექტი გამოვიდა ძალზე წარმატებული, ახალგაზრდების აქტიურობისა და ჩართულობის თვალსაზრისით.

გამარჯვებულები, როგორც ყოველთვის, დაჯილდოვდებიან ფულადი პრემიით, სიგელებით, სამახსოვრო საჩუქრებით. გამარჯვებული და საუკეთესო ნაწარმოებები დაიბეჭდება ლიტერატურულ ჟურნალებში — „ლიტერატურული პალიტრა" და „ჩვენი მწერლობა".

# ფოთისა და ხობის მიტროპოლიტ გრიგოლის კურთხევით 2009 წლის ივლისიდან მიმდინარეობს ხობის მონასტრის უძველესი ტაძრის სარესტავრაციო-აღდგენითი სამუშაოები

პროექტის ფარგლებში შესაძლებელი გახდა ტაძრის შიგნით და ეზოში ჩაგვეტარებინა არქეოლოგიური გათხრები. ახალმა აღმოჩენებმა შეცვალა ტაძრის ისტორია. ის, რაც ისტორიულად ცნობილი იყო, დღეს ფაქტითაც დასტურდება — აღმოჩენილ იქნა პირველი ტაძრის საძირკველი და წმიდა ცოტნე აღმსარებლის საოჯახო საძვალე. არქიტექტორების, ხელოვნებათმცოდნეებისა და ისტორიკოსების ჯგუფი მუშაობს ამ საკითხების შესწავლაზე. პარალელურად ბატონ ზუბა კუდავას (ხელნაწერთა ეროვნული ცენტრის დირექტორი) ხელმძღვანელობით გამოსაცემად მზადდება წიგნი „ხობის მონასტერი".

ტაძარში დამონტაჟდა ახალი კანკელი, იწერება ახალი ხატები, გამოიცვალა სარკმლები, დასრულდა იატაკის ფილების დაგება; მიმდინარეობს საპატრიარქო რეზიდენციის მშენებლობა. ტაძარსა და რეზიდენციაში დამონტაჟდა გათბობის სისტემა.

მზადდება პროექტი წმიდა ცოტნე აღმსარებლისა და მისი ოჯახის წევრების საძვალის მოსაწყობად.

დასამზადებელია საეკლესიო ავეჯი; შესაცვლელია განათების სისტემა, ტაძრის ძირითადი კარები.

იმისათვის, რომ შევძლოთ დაწყებული სამუშაოების დასრულება, გვჭირდება თანადგომა.

გახდით მონასტრის მეგობარი.

გვჯერა, თქვენი თანადგომით შევძლებთ გავუფრთხილდეთ წინაპართა დანატოვარს და თავად გავხდეთ ღირსეული წინაპარი.




იცხოვრეთ მომავალისთვის.

უფალი გფარავდეთ ყველგან და ყოველთვის.

**საბანკო რეკვიზიტები:**

ფოთისა და ხობის ეპარქია, ს/ნ 215 090 425
ხობი, სოფ.ნოჯიხევი
ღვთისმშობლის ხარების დედათა მონასტერი.
ს.ს. „ლიბერთი ბანკის" ხობის ფილიალი
ბ/კ: 220 101 465
ანგ. N 36 010 892 GEL;
136 180 892 USD;
236 180 892 EUR



თანხის ჩასარიცხად შეგიძლიათ გამოიყენოთ სწრაფი გადახდის აპარატები: იხილეთ მენიუში — სხვადასხვა — საქველმოქმედო — ხობის მონასტერი.
ან დარეკოთ: მაგთი, ჯეოსელი, ბილაინი — 700 607; ახალი ქსელები — 700 608; სილქნეტი — 608 608 (ზარის ღირებულებაა 1 ლარი).

ხობის ღვთისმშობლის ხარების დედათა მონასტრის წინამძღვარი
იღუმენია ანა (მუსელიანი)

## განცხადებები

● სწრაფად, უსაფრთხოდ, უმტკივნეულოდ, უოპერაციოდ, ასაკის მიუხედავად, გარანტიით განვკურნავ მნიშვნელოვნად დაქვეითებულ სმენას (ნევრიტს), ოსტეოქონდროზს, სახსრების ანთებას, პროსტატიტს, ხშირ შარდვას ღამით და დღისით, წვას, ტკივილს, პოტენციის დაქვეითებას, კუჭ-ნაწლავის დაავადებებს, წყლულებს, შეუხორცებელ ჩირქოვან ჭრილობებს, კიდურებში სიცივესა და დაბუჟებას, რადიკულიტს, ოტიტს, ფარინგიტს, ცისტიტს, ლარინგიტს, თავის ტკივილს, დაჟეჟილობას, მასტიტს, ოოფორიტსა და სხვა ანთებებს. ყოველ პროცედურაზე გადასახადის ოდენობა განისაზღვრება თითოეული პაციენტისთვის ინდივიდუალურად. მისამართი: დავით ტატიშვილის სამედიცინო ცენტრი. დამიკავშირდით წინასწარ. ტელ: 899 97 85 46 რეაბილიტოლოგი ლევან სეხნიაშვილი.

● ალკოჰოლიზმისა და ნარკომანიისაგან სწრაფი გათავისუფლება, დამოკიდებულების მოხსნა, ნერვული სისტემის მოწესრიგება, ნევროზი, აგრესია, შიშები, ღვიძლისა და თირკმლის ფუნქციის აღდგენა, მკურნალობა მცენარეული საშუალებებით უკუჩვენების გარეშე, იმუნიტეტის გაძლიერება 100% შედეგებით (ანონიმურობა დაცულია). ტელ: 858-96-89-15 ან 34-02-38 ექიმი მეგი.

● მამაკაცებისათვის: იმპოტენცია, პროსტატიტი, ადენომა, ხშირი შარდვა, შარდის შეკავება-შეუკავებლობა, უნებლიე შარდვა, ტკივილი შარდვისას, ორგანიზმის გაწმენდა დაინფიცირებისგან, მკურნალობა მცენარეული საშუალებებით 100%-იანი შედეგებით. ტელ: 34-02-38; 858-968-915 ექიმი ქ-ნი მეგი.

● ვაკეთებ ეპილაციას ლაზერის აპარატით. მიღება ჩაწერით. მისამართი: ჩიტაიას 19 (ყოფილი საბჭოს ქუჩა). ტელ: 96-67-03; 895-35-64-13 ექიმი გულიკო ჩიკვილაძე.

● გახდომა-გასუქება სწრაფად და ეფექტურად 5-დან 20 კგ-მდე თვეში, შიმშილისა და ვარჯიშის გარეშე, ჯანმრთელობისთვის უვნებლად მხოლოდ მცენარეული საშუალებებით, ინდივიდუალურად შედგენილი უახლესი პროგრამებით, სტაბილური წონის შენარჩუნებით. შედეგი გარანტირებულია 100%-ით, უკუჩვენების გარეშე. მის: დიდუბე, სამთო-ქიმია, I სართული, ოთახი №6. ტელ: 893-44-58-65; 34-02-38 ექიმი ქ-ნი დეა.

● იმპოტენციის, პროსტატიტის, ადენომის, შარდვის პრობლემების (გახშირებული, შეკავება-შეუკავებლობა, წვა, ქავილი ენურიზი ბავშვებში და მოზრდილებში) მკურნალობა უნიკალური მცენარეული პრეპარატებით, 100%-იანი შედეგით. ტელ: 899-25-44-14 ან 34-02-38 ექიმი ქ-ნი მზია.

● ქირავდება საბურთალოზე ოროთახიანი კეთილმოწყობილი, მაღალჭერიანი ნათელი ბინა, ავეჯით, მაცივრით, სარეცხი მანქანით, გარაჟით. თვეში 400 აშშ დოლარი. ტელ: 874-48-50-55 შორენა ფიფია; 879-89-00-01 გოგა ფიფია.

● ცხადდება მიღება მასაჟისა და კოსმეტოლოგიის სწრაფშემსწავლელ კურსებზე, დამთავრების შემდეგ გაიცემა „სერთიფიკატი". ხელმძღვანელი ექიმი გულიკო ჩიკვილაძე. ტელ: 96-67-03; 895-35-64-13.

● იყიდება მცხეთის რაიონის სოფ. ვაზიანში, თბილისიდან 30 კმ-ში 2000 კვ.მ ხეხილიანი საკარმიდამო მიწის ნაკვეთი (შეიძლება გაყოფაც 1000-1000 კვ.მ-ად), სასმელი და სარწყავი წყლით. ფასი 1 კვ.მ. 2 დოლარი. ტელ:. 53-15-87; 890-53-02-41.

● იყიდება გერმანული კაბინეტის როიალი „გერშტადტ". ფასი შეთანხმებით. ტელ: 899-97-37-72 ნარგიზა.

● მამაკაცებისთვის! იმპოტენციის, პროსტატიტის, ადენომის, შარდვის პრობლემების (გახშირებული, შეკავება-შეუკავებლობა, წვა, ქავილი) მოგვარება მცენარეული პროდუქციით. შედეგი 100%-იანია. ტელ: 34-02-38; 899-25-44-14; 890-25-44-14 ექიმი, ქ-ნი მზია.

● წონაში დაკლება 5-15 კგ, გასუქება 2-5 კგ. აგრეთვე ვმკურნალობ კუჭ-ნაწლავის პრობლემებს, გასტრიტს, კოლიტს, შეკრულობას, კუჭის წყლულს, უნებლიე შარდვას, პროსტატიტს, იმპოტენციას უკუჩვენების გარეშე, ამერიკული მცენარეული პროდუქციით, 100%-იანი გარანტიით. ტელ: 74-81-41, 871-33-01-61.

**ნათელმხილველი**
**მანანა**
**იგებს წარსულს, აწმყოს, მომავალს, აღგენს უიღბლობის მიზეზს, ათავისუფლებს ავი თვალისა და ჯადოსაგან, ამზადებს თილისმებს ბარაქაზე, ბედის გახსნაზე, წარმატებაზე, ჯადოსა და თვალისგან დამცველს, შეუძლია დანგრეული ოჯახების აღდგენა და ნევროზის განკურნება.**
**მიღება წინასწარი შეთანხმებით!**
**მის.: მეტრო „ავლაბართან", მახათის შესახვევი N6. ტელ: 897-29-27-50.**

# შერმადინს იტალიაში დააკვირდებიან, მარკოიშვილი იტალიაში რჩება

საქართველოს ეროვნული ნაკრების და ლიუბლიანას „ოლიმპიას“ ცენტრი გიორგი შერმადინი ევროპაში ერთ-ერთ ყველაზე ცნობილ და პრესტიჟულ „ადიდასის“ კემპში მიიღებს მონაწილეობას. ესაა ნაციონალური სკალათბურთო ასოციაციის ერთ-ერთი საწვრთნელი შეკრება, სადაც თავს დრაფტისთვის გამზადებული კალათბურთელები იყრიან და რომელსაც ნბა-ს არაერთი გუნდის წარმომადგენლები ესწრებიან.

შერმადინი წლევანდელ დრაფტში მონაწილეობას მიიღებს და სავარაუდოდ, მას რომელიმე კლუბი აირჩევს. 1989 წელს დაბადებული გიორგისთვის ეს არის ბოლო შანსი, რადგან 22 წლის შემდეგ დრაფტზე დადგომა აღარ შეიძლება. შერმადინმა სადრაფტო განაცხადი 2 წლის წინ გააკეთა, მაგრამ მაშინ საკუთარი სურვილით უარი განაცხადა მასში მონაწილეობაზე. ახლა კი, ის ავტომატურადაა დრაფტზე, რადგან ზღვრული ასაკი, 22 წელი შეუსრულდა.

„ადიდასის“ კემპი 11 ივნისს დაიწყება და მასში ძირითადად პერსპექტიული ევროპელი კალათბურთელები მიიღებენ მონაწილეობას, რომელთაგან რამდენიმეს წლევანდელ დრაფტში ნბა-ს გუნდები აიყვანენ. რაც შეეხება დრაფტს, იგი 23 ივნისს ტრადიციულად ნიუ იორკის „მედისონ სკვერ გარდენში“ გაიმართება.

იტალიურმა „ბენეტ კანტუმ“ კი გუნდის ერთ-ერთ ლიდერ მანუჩარ მარკოიშვილთან კონტრაქტი ორი წლით გააგრძელა. საქართველოს ნაკრების წევრმა სერია ა-ს მიმდინარე სეზონში 22 მატჩი ჩაატარა და საშუალოდ 10.8 ქულას, 2.0 მოხსნასა და 1.2 პასს აგროვებდა, კანტუელებმა კი 22 მოგებით მე-2 ადგილი დაიკავეს და ფლეი-ოფის პირველ რაუნდში „ვარეზესთან“ დაპირისპირება ელით.

აღსანიშნავია, რომ ამასწინათ კანტუელებმა ხელშეკრულება მთავარ მწვრთნელ ანდრეა ტრინჩიერისა და კალათბურთელებს — სერბ ვლადიმირ მიჩოვსა და ამერიკელ მაარტენ ლეუნენსაც გაუგრძელეს, რასაც კლუბის სპორტული დირექტორი ბრუნი არიგონი ასე გამოეხმაურა.

— მიჩოვისა და ლეუნენის გუნდში დატოვების შემდეგ, ჩვენი მთავარი მიზანი მარკოიშვილის შენარჩუნება გახლდათ. მანუ ხომ მაღალი კლასითა და შრომისმოყვარეობით, კლუბის ერთ-ერთი წამყვანი მოთამაშეა, — განაცხადა არიგონმა და ნათქვამი შეასრულა.

დასასრულ დავძენთ, რომ „კანტუსა“ და „ვარეზეს“ მეოთხედფინალური სერია დღეს დაიწყება და სამ მოგებამდე გაგრძელდება, მოედნის უპირატესობა კი ქართველის გუნდის მხარეს იქნება.

# მანჩესტერში ყველა ზეიმობს — იუნაიტედიც და სიტიც

თუ „იუნაიტედმა“ ჩემპიონობა მოიპოვა, „სიტი“ ასოციაციის თასის მფლობელი გახდა და მომავალ სეზონში ჩემპიონთა ლიგაში თამაშიც დაიბევა. გუნდის მწვრთნელი, რობერტო მანჩინი კლუბის პატრონებთან შეხვედრას და სატრანსფერო საქმეებზე დალაპარაკებას აპირებს. კერძოდ, მანჩინის დიდძალი ფულის დახარჯვა აქვს გადაწყვეტილი, კლუბის პატრონები კი, სანაცვლოდ, მთელი რიგი ფეხბურთელების გაშვებას სთავაზობენ.

მოგეხსენებათ, ისტლენდელებმა 35 წლიანი ლოდინის შემდეგ, როგორც იქნა, მოიგეს ჯილდო. იტალიელი მწვრთნელი ამბობს, რომ ეს წარმატება ძალიან მნიშვნელოვანი იყო, მაგრამ მას არ უნდა დაემსგავსოს „ტოტენჰემს“, რომელიც შარშან ამ დროს პრემიერლიგის მეოთხე ადგილზე გავიდა, შემდეგ ჩემპიონთა ლიგაშიც ეფექტურად გამოვიდა, მაგრამ ახლა კვლავ დიდი შეჯიბრების მიღმაა.

— ვფიქრობ „ტოტენჰემის“ მაგალითი ყველაზე ზუსტი იქნება. ეს გუნდი ჩემპიონთა ლიგის მეოთხედფინალში გავიდა, მაგრამ პრემიერლიგაში მეხუთეზე დარჩა. დღეს, „გრძელი სკამის“ გარეშე წარმატებით გამოსვლა შეუძლებელია. გუნდს უნდა შეეძლოს ყოველ შეხვედრაში 6-7 ფეხბურთელი შეცვალოს. ვერ დაგპირდებით, რომ მომავალ სეზონში ჩემპიონები გავხდებით, მაგრამ თუ საკლუბო მუშაობას სწორად წარვმართავთ, ერთ-ორ წელიწადში ამ მიზანს რეალურად დავისახავთ. ჩვენი გუნდი კარგია, რადგან ახალგაზრდულია. ჩვენ ვიყიდეთ მარიო ბალოტელი, ედინ ჯეკო... მხოლოდ იაია ტურეა შედარებით ასაკოვანი. ის 28 წლის არის. მოკლედ, ძირითადად ახალგაზრდები გვყავს და მათ დიდი პერსპექტივა აქვთ. სწორედ ამიტომ მწამს ჩვენი პროექტის, — აცხადებს მანჩინი.

და, როგორც ჩანს, ფეხბურთელებში განწყობაც საბრძოლოა. აი, რა თქვა ისტლენდელთა 24 წლის მეკარე ჯო ჰარტმა შაბათს, თასის მოგების დღეს:

— „ოლდ ტრაფორდზე“ ჩემპიონობას ზეიმობენო? რაც უნდათ ის უქნიათ. ამ გუნდის სახელის გამეორებაც კი მაღიზიანებს. დღეს თასი მოვიგეთ და მთავარი ზეიმი ჩვენია.

# შედეგები

## ფეხბურთი

**ინგლისი. ჩემპიონლიგა**

**პლეი-ოფი**

სუონსი-ნოტინგემი ... 3:1

**იტალია. სერია ბ**

ალბინოლეფე-ატალანტა ... 2:3

**ესპანეთი. სეგუნდა დივიზიონი**

ელჩე-ვილიარეალი ბ ... 0:0

**საფრანგეთი. 1 ლიგა**

ბრესტი-ლიონი ... 1:1

**სატურნირო ცხრილი:**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1.ლილი | 35 | 19 | 12 | 4 | 62:32 | 69 |
| 2.მარსელი | 36 | 18 | 12 | 6 | 58:35 | 66 |
| 3.ლიონი | 36 | 16 | 12 | 8 | 59:40 | 60 |
| 4.პსჟ | 35 | 15 | 13 | 7 | 53:37 | 58 |
| 5.რენი | 36 | 15 | 11 | 10 | 36:30 | 56 |
| 6.სოშო | 35 | 15 | 7 | 13 | 55:40 | 52 |
| 7.ლორიანი | 36 | 12 | 13 | 11 | 45:44 | 49 |
| 8.სტ.ეტიენი | 36 | 12 | 12 | 12 | 44:44 | 48 |
| 9.მონპელიე | 36 | 12 | 11 | 13 | 32:40 | 47 |
| 10.ოსერი | 36 | 9 | 19 | 8 | 43:39 | 46 |
| 11.ბორდო | 35 | 10 | 15 | 10 | 40:40 | 45 |
| 12.ვალანსიენი | 36 | 9 | 17 | 10 | 41:38 | 44 |
| 13.ტულუზა | 36 | 12 | 8 | 16 | 34:36 | 44 |
| 14.კაენი | 36 | 11 | 11 | 14 | 44:49 | 44 |
| 15.ბრესტი | 36 | 10 | 13 | 13 | 35:41 | 43 |
| 16.ნიცა | 36 | 10 | 13 | 13 | 30:46 | 43 |
| 17.ნანსი | 36 | 11 | 9 | 16 | 37:48 | 42 |
| 18.მონაკო | 36 | 8 | 17 | 11 | 35:38 | 41 |
| 19.ლანსი | 36 | 7 | 14 | 15 | 35:53 | 35 |
| 20.არლე | 36 | 2 | 11 | 23 | 19:67 | 17 |

**საფრანგეთი. მე-2 ლიგა**

ლე მანი-ლავალი ... 4:0
დიჟონი-გრენობლი ... 2:1

**ბელგია. პროლიგა**

**პლეი-ოფი**

ბრიუგე-ვესტერლო ... 2:2

**თურქეთი. სუპერლიგა**

ბეშიქთაში-ერჩიესი ... 3:1

**ჩეხეთი. გამბრინუსლიგა**

ბრნო-ბუდეოვიცე ... 1:1
სლავია-პრჟიბრჟამი ... 3:2

**დანია. სასლიგა**

ჰორსენსი-კოპენჰაგენი ... 1:1

**შვედეთი. ალსვენსკა**

აიკი-ჰელსინბორგი ... 2:1
ტრელებორგი-ელფსბორგი ... 3:0

**ნორვეგია. ტიპელიგა**

ბრანი-სტარტი ... 2:1
ვიკინგი-ოდ გრენლანდი ... 1:1
ლილესტრიომი-მიოლდე ... 0:3
ალესუნდი-სტრომგოდსეტი ... 2:1
რუსენბორგი-ჰაუგესუნდი ... 0:1
სტაბეკი-სონგდალი ... 0:1
ტრომსო-სარპსბორგი ... 2:2
ფრედრიკსტადი-ვალერენგა ... 3:1

**ფინეთი. ვეიკაუსლიგა**

ინტერი-მიუპა ... 1:1
მარიეჰამნი-ტპს ... 0:1
ჯჯკ-ჰაკა ... 4:2

## ჩოგბურთი

**როლან გაროსი. კაცები**

დეკუ-კრავჩუკი ... 7:6;6:2
მინარი-შუკინი ... 4:6;6:2;6:1
რეინოლდსი-ფაუ ... 3:6;2:6
სალამანკა-ნავარო ... 6:3;3:6;6:3
დე ვოესტი-კლეცი ... 6:3;7:6
კოროლიოვი-მარჩენკო ... 6:7;1:6
რობერი-სტადლერი ... 6:3;6:3
ფარახი-მინა ... 6:4;6:2
კნიტელი-სიუსლინგი ... 6:3;6:4

**მოამზადა მიხეილ ქორქოლიანმა**

# სლავენ ბილიჩი: „დღესდღეობით იმაზე ვფიქრობ, თუ როგორ დავამარცხო საქართველო“

**ხორვატიის ეროვნული გუნდის მთავარმა მწვრთნელმა სლავენ ბილიჩმა, უკრაინულ მედიასთან ისაუბრა და ჯერ კიდევ კლავს საქართველოს ნაკრების დამარცხების სურვილი. როგორც აღნიშნა, თბილისში საშინლად ჩატარებული მატჩის შემდეგ, 3 ივნისს ევრო-2012-ის შესარჩევში, სპლიტში, საქართველოს ნაკრებთან რევანშს ელის.**




***— ევრო-2008-ზე ხორვატიის ნაკრების წარმატებული გამოსვლის შემდეგ, გავრცელდა ჭორები, თითქოს ერთ-ერთ ინგლისურ გუნდს ჩაიბარებდით. ასახელებდნენ „ვესტ ჰემს“, „ბლექბერნს“... ნაკრებში რატომ დარჩით?***

— დღესდღეობით მხოლოდ ხორვატიის ნაკრებზე და იმის შესახებ ვფიქრობ, თუ როგორ დავამარცხო ევრო-2012-ის შესარჩევ ციკლში საქართველო. ქართველებთან სტუმრად საშინლად ვითამაშეთ და 0:1 წავაგეთ. რევანშს ველით. რაც შეეხება ვერო-2008-ის მერე წინადადებებს, მართლაც მიწვევდნენ. არ დავმალავ და გეტყვით, რომ სულით საკლუბო მწვრთნელი ვარ. მინდა გუნდთან ერთად ყოველდღე ვიყო, რაც ნაკრებში შეუძლებელია. ამიტომ, ევრო-2012-ის შემდეგ, ალბათ, სათავეში რომელიმე კლუბს ჩავუდგები.

***— პრიორიტეტი ინგლისის პრემიერლიგაა?***

— აუცილებელი არაა. ჩემთვის მთავარი კლუბია და არა ქვეყანა. კლუბი დიდი მიზნებით.

***— ჩემპიონთა ლიგის ფინალში ფავორიტად ვის მიიჩნევთ?***

— დღესდღეობით □„ბარსელონა“□ ნებისმიერ შეხვედრაში ფავორიტია. ჯერ არავის და არასოდეს უთამაშია ფეხბურთი ისე, როგორც ამას პეპ გვარდიოლას გუნდი აკეთებს. „მანჩესტერ იუნაიტედი“ თუ მასზე სუსტად ჩაითვლება, მაშინ ძალიან უმნიშვნელოდ. მსოფლიოს საუკეთესო ფეხბურთელი ლიონელ მესი „ბარსელონაში“ თამაშობს. თუმცა, „მანჩესტერ იუნაიტედს“ თანამედროვეობის საუკეთესო მწვრთნელი ავარჯიშებს. მსურს, ჩემს გუნდში ისეთივე ტოტალური ფეხბურთი დავნერგო, როგორსაც მანჩესტერელები აჩვენებენ. არსებობს 5-6 მწვრთნელი, რომელთაც აღტაცებაში მოვყავარ, მაგრამ სამუშაო რომელიც ალექს ფერგიუსონმა გასწია და დღემდე აკეთებს, უბრალოდ დაუჯერებელია.

***— ახალგაზრდა ხორვატ ფეხბურთელთაგან ევროპული დონის ვარსკვლავად ჩამოყალიბების შანსი ვის აქვს?***

— ისინი ჩემთვის შვილებივით არიან. ჩვენთან ბევრი კარგი ფეხბურთელია. ხორვატიაში წელიწადში 2-3 ისეთი მოთამაშე გამოჩნდება ხოლმე, რომელთაც ეროვნულ ნაკრებში იწვევენ. რა თქმა უნდა, ძნელია ყოველ წელს ისეთი ფეხბურთელი გაზარდო, როგორიც ლუკა მოდრიჩი და დარიო სრნა არიან, მაგრამ ახალგაზრდობის პროგრესით კმაყოფილი ვარ. ახლა ჩემს გუნდში 4-5 ფეხბურთელია, ვისი ასაკიც 21 წელს არ აღემატება და რომელთაც ვარსკვლავებად ქცევის შანსი აქვთ.

***— დარიო სრნას და ოგნენ ვუკოევიჩს თავთავიანთ პოზიციებზე უკრაინაში საუკეთესოებად თვლიან.***

— სრნა და ვუკოევიჩი ნაკრებისთვის ძალიან მნიშვნელოვანი ფეხბურთელები არიან. „ოგი“ ჩემთან ახალგაზრდულ ნაკრებში თამაშობდა და ევროპული საზომით ძლიერ საყრდენ ნახევარმცველად ჩამოყალიბდა. სრნა ნამდვილი კაპიტანი და ხორვატიის ნაკრების ლიდერია. ჩემთვის დარიო თავის პოზიციაზე არამხოლოდ უკრაინაში, არამედ მსოფლიოში საუკეთესოა.

***— გამოითქვა ის აზრიც, რომ სრნა რომელიმე ევროპულ ტოპ-კლუბში გადასვლის შემთხვევაში უფრო მეტს მიაღწევდა.***

— ამჟამად „შახტარი“ ის გუნდი არაა, რომელშიც თავის დროზე სრნა გადავიდა. რინატ ახმეტოვმა დიდი სამუშაო გასწია. მთელი მსოფლიო შემომივლია და შემიძლია გითხრათ, რომ „შახტარი“ ძალიან სოლიდური გუნდია. დღეს ამ გუნდში თამაში ბევრ ფეხბურთელს სურს და მისი გაწვრთნა ბევრ სპეციალისტს უნდა. რეალურად, ეს ძალიან დიდი გუნდია, რომელთან შეხვედრა ევროთასებზე პრაქტიკულად არც ერთ კლუბს არ სიამოვნებს — თვით „ბარსელონასა“ და „მანჩესტერ იუნაიტედსაც“ კი. ამ ვითარებაში დარიოს გუნდის შეცვლა რაში სჭირდება? დამიჯერეთ, არცთუ ბევრი კლუბია „შახტარზე“ მაღალი დონის.

***— ეროვნული ნაკრების ფეხბურთელებთან რამდენად ხშირად ურთიერთობთ?***

— ყოველ კვირას. მე მუდმივი კონტაქტი მჭირდება, მიუხედავად იმისა, თუ სად თამაშობენ ისინი. თუ ფეხბურთელებთან ჩასვლას და სასაუბროდ პირადად შეხვედრას ვერ ვახერხებ, მაშინ საფეხბურთო მატჩებს ტელევიზორით ვუყურებ, რის შემდეგაც მათ ვურეკავ.

***— ერთ-ერთ ინტერვიუში აღნიშნეთ, რომ თავისუფლად შეგიძლიათ ფეხბურთელს ჩაუწვეთ ლოგინში და მას რაიმე თემაზე ესაუბროთ.***

— არა, არა! ხატოვნად ვთქვი, რომ გუნდის წარმატებისთვის მზად ვარ, ფეხბურთელებს მათსავე ლოგინში ვესაუბრო. ჩემთვის მოთამაშეებთან სრული კონტაქტია აუცილებელი. მსურს ვიცოდე, როგორ გრძნობენ ისინი თავს, რაზე ფიქრობენ, დაიღალნენ თუ არა. მე მათთვის სრულიად გახსნილი ვარ.

***— რამდენიმე წლის წინ ეროვნულ ნაკრებს სრნა, ოლიჩი და ბალაბანი ჩამოაშორეთ.***

— ეს ინციდენტი ევრო-2008-ის საკვალიფიკაციო ეტაპის სადებიუტო შეხვედრის წინ მოხდა. მათ შეცდომა დაუშვეს — დისციპლინა დაარღვიეს. ამიტომ, რუსებთან მატჩში განაცხადში არც ერთი არ შევიყვანე. თუმცა, მოგვიანებით მათ ბოდიში მოიხადეს, როგორც ჩემს, ასევე მთელი ხორვატიის წინაშე. ისინი ახალგაზრდები იყვნენ და შეცდომა ყველას მოსდის. ამის შემდეგ, ყოველთვის ძალიან პროფესიონალურად იქცეოდნენ.

***— ძალიან ემოციური ადამიანი ხართ. ეს მუშაობაში ხელს არ გიშლით?***

— ალბათ, რომ მოვინდომო, ხასიათს მაინც ვერ შევიცვლი. არცთუ ემოციური ვარ. მიყვარს ჩემი სამუშაო, ჩემი ფეხბურთელები და საქმეში ბოლომდე ვიხარჯები.

***— როკ-ჯგუფ რეიბაუში უკრავთ. ფეხბურთისა და მუსიკის შესათავსებლად დრო გყოფნით?***

— ამ ჯგუფში უკვე ხუთი წელია გამოვდივარ. როდესაც არ ვმუშაობდი, რეიბაუში გიტარაზე ვუკრავდი. დისკის გამოშვებაც მოვასწარით, ხოლო სპლიტსა და ზაგრებში კონცერტები ჩავატარეთ. თუმცა, ახლა მხოლოდ საკუთარი სიამოვნებისთვის ვუკრავ, რადგან ბევრი სამუშაო მაქვს და ჯგუფში გამოსვლა შევწყვიტე.

***— ფეხბურთისა და მუსიკის გარდა, კიდევ რით ხართ გატაცებული?***

— ძაღლები მიყვარს. იაპონური აკიტა მყავს.

***— რამდენიმე ენას ფლობთ.***

— დღეს ეს ძალიან მნიშვნელოვანია. განსაკუთრებით უნივერსალური ინგლისური ენაა. მალე დადგება დრო, როდესაც მთელი მსოფლიო ინგლისურად ისაუბრებს. მსოფლიო სულ უფრო გახსნილი ხდება. ენების ცოდნა არა მხოლოდ სამუშაოდაა საჭირო, როდესაც სხვა ქვეყანაში დასასვენებლად მიდიხარ, მაშინაც გამოგადგება.

***— თქვენი გარეგნობა კინოსთვის გამოდგება — საყურე, სვირინგები, პირში სიგარეტი.***

— საყურე უვე მოვიხსენი. რაც უნდა იყოს, უკვე 42 წლის ვარ. მოდით, ჩემს გარეგნობაზე აქცენტს ნუღარ გავაკეთებთ.

***— ორი შვილი გყავთ — ბიჭი და გოგო. ბიჭი ფეხბურთელობას აპირებს?***

— ის ძალიან პატარაა, მაგრამ ფეხბურთის სიყვარული უკვე ეტყობა. თუ მოინდომებს, პრობლემა არ არის. მსოფლიოში ფეხბურთელობაზე უკეთესი პროფესია არ არსებობს.

# გაბელიამ ჯერ მხოლოდ ლეგიონერები გაამხილა

საქართველოს 21-წლამდელთა ნაკრების თავკაცი ოთარ გაბელია საქართველოს ჩემპიონატის უახლოესი ტურის დასრულების შემდეგ გამოაცხადებს იმ ოცდაოთხ ფეხბურთელს, რომლებსაც 3 ივნისს, ხორვატიასთან მატჩისთვის მოამზადებს. ევრო-2013-ის შესარჩევი ჯგუფის პირველი ტურის მატჩი ქალაქ პულაში გაიმართება და უკვე ცნობილია იმ 8 ლეგიონერის სია, რომლებიც გამოძახებულნი არიან: მეკარე გიორგი მაკარიძე (ლე მანი, საფრანგეთი), მცველი საბა კვირკველია (რუბინი“, რუსეთი), ნახევარმცველები — ნიკა ძალამიძე (ვიძევი, პოლონეთი), თორნიკე ოქრიაშვილი (ილიჩევეცი, უკრაინა), ზაქარია ბეგლარიშვილი (ფლორა, ესტონეთი) და თავდამსხმელები — ლევან მჭედლიძე,



ირაკლი შეყილაძე (ორივე ემპოლი, იტალია), გიორგი ჭანტურია (ვიტესი, ჰოლანდია).

გაბელიას თქმით, თუ რაიმე გაუთვალისწინებელი არ მოხდა, მხოლოდ ეს 8 ლეგიონერი მოემზადება პულას მატჩისთვის. დანარჩენები კი (ანუ, 16 ფეხბურთელი) საქართველოს ჩემპიონატიდან იქნებიან.

— შეკრებას 24 ფეხბურთელით დავიწყებთ, ხოლო ხორვატიაში 18 კაცით წავალთ. ძალამიძე გვიან შემოგვიერთდება, რადგან პოლონეთის ჩემპიონატი 29 მაისს სრულდება. შესაძლოა, გვიან შემოგვიერთდეს მჭედლიძეც, თუ მისი “ემპოლი“ სერია ბ-ს ფლეი-ოფში მოხვდა. დანარჩენები კი, უფრო ადრე, 23 მაისს დაიწყებენ მზადებას — „ტორპედოსა“ და „გაგრას“ ფეხბურთელების გარდა, რომელთაც ოცდაექვს მაისს, თასის ფინალი აქვთ სათამაშო, — განაცხადა გაბელიამ.

# რუსეთის პატრიარქი აფხაზ სასულიერო პირებს აკრიტიკებს

გერა მამულაშვილი



აფხაზეთში საეკლესიო კრების გადაწყვეტილებებს მოსკოვსა და თბილისში გამოეხმაურნენ. რუსეთის პატრიარქმა აფხაზი სასულიერო პირები ღიად გააკრიტიკა. მოსკოვში საეკლესიო კანონების უხეში დარღვევით მიღებულ დადგენილებებზე ამახვილებენ ყურადღებას. თბილისში კი აფხაზებს მოუწოდებენ, გარედან პროვოცირებულ ნაბიჯებზე მაღლა დადგნენ და ქართული მართლმადიდებლური ეკლესიის კანონიკური ერთობა აღადგინონ. ექსპერტების შეფასებით, რუსეთის საპატრიარქო ქართული მხარის რეაქციას ერიდება, თორემ აფხაზურ ეკლესიას აქამდეც „აღიარებდა“.

რუსეთის მართლმადიდებლურმა ეკლესიამ ის აფხაზი სასულიერო პირები გააკრიტიკა, რომელთაც საქართველოს ეკლესიისგან გამოყოფა სურთ. „გაზეტა.რუ“-ს ინფორმაციით, მოსკოვისა და სრულიად რუსეთის პატრიარქმა კირილმა განაცხადა, რომ აფხაზეთის ახალი მიტროპოლიის შექმნა კიდევ უფრო გაართულებს აფხაზეთის საეკლესიო საკითხის გადაწყვეტას.

— ეკლესიის კანონები არ ითვალისწინებენ ახალი მიტროპოლიის და მით უმეტეს, ავტოკეფალური ეკლესიის ჩამოყალიბებას საეკლესიო-სახალხო შეკრების საფუძველზე, ხოლო სახალხო კრების მიერ ეპისკოპოსთა კანდიდატების დასახელება პირდაპირ არის აკრძალული, — ეს განცხადება „ინტერფაქს-რელიგიასთან“ საუბარში რუსეთის საპატრიარქოს საეკლესიო საგარეო საქმეთა განყოფილების უფროსის მოადგილემ ნიკოლა ბალაშოვმა გააკეთა.

15 მაისს ახალი ათონის მონასტერში საეკლესიო-სახალხო შეკრების მონაწილეებმა ახალი მიტროპოლიის შექმნის შესახებ განაცხადეს. მათივე აზრით, მიტროპოლია დროთა განმავლობაში აფხაზეთის დამოუკიდებელ ეკლესიად უნდა ჩამოყალიბდეს.

გარდა ამისა, შეკრების წარმომადგენლებმა სეპარატისტული ხელისუფლების იუსტიციის სამინისტროსთვის საეკლესიო ინსტიტუტის დაკანონების თხოვნით მიმართვის გადაწყვეტილება მიიღეს.

კრებაში, რომელიც წმინდა სვიმონ კანანელის სახელობის ტაძარში არქიმანდრიტ დოროთეს ორგანიზებით ჩატარდა, 2 000-ზე მეტმა ადამიანმა მიიღო მონაწილეობა. საეკლესიო კრებაში აფხაზეთის ეკლესიის ე.წ. მეთაურს, მამა ბესარიონ აპლიას მონაწილეობა არ მიუღია. იგი აღნიშნულ საეკლესიო კრებას უკანონოდ მიიჩნევს.

— გაგებით ვეკიდებით აფხაზი ხალხის მისწრაფებას, ქვეყანაში მართლმადიდებლობას სათანადო ადგილი დაუმკვიდროს. თუმცა ეკლესიურ ცხოვრებაში პოლიტიკური ვნებების ჩართვა, მორწმუნეებს შორის განხეთქილების გაჩენა — ეს მხოლოდ და მხოლოდ ართულებს აფხაზეთის ეკლესიის საკითხის ლეგიტიმურ გადაწყვეტას, — განაცხადა რუსეთის მართლმადიდებლური ეკლესიის საპატრიარქოს წარმომადგენელმა.

ახალი ათონის მონასტერში გამართულ სახალხო საეკლესიო კრებას რუსული მედიაც აქტიურად აშუქებს. რუსული კომერსანტი წერს, რომ შეკრებას აფხაზეთის ეკლესიის დამოუკიდებლობის აღიარების და აფხაზეთის ტერიტორიაზე ახალი საეკლესიო ინსტიტუტის შექმნის გრანდიოზული ამოცანა ჰქონდა.

როგორც გამოცემა წერს, ამ ღონისძიებამ აფხაზეთსა და რუსეთს შორის ურთიერთობის ახალი პრობლემა წარმოაჩინა. მოსკოვმა, როგორც ცნობილია, აღიარა აფხაზეთის დამოუკიდებლობა, რუსეთის მართლმადიდებელმა ეკლესიამ კი ვერ შეძლო აფხაზეთის ეკლესიის დამოუკიდებლობის ცნობა. აფხაზეთის სასულიერო წრეების აზრით, ახალ ათონში გამართული კრება აფხაზეთის ეკლესიის გახლეჩას ემსახურება და შესაძლოა ამან რუსეთის და სხვა მართლმადიდებელ ეკლესიებთან ურთიერთობა დაძაბოს.

— რამდენიმე კვირის განმავლობაში აფხაზური ტელევიზიით ისმოდა ბიჭვინთა სოხუმის ეპარქიის მმართველის ბესარიონ აპლიას განცხადებები, რომელიც ახალი ათონის ბერების წინააღმდეგ გამოვიდა.

ამის მიუხედავად, მონასტერში 1,5 ათასამდე ადამიანი შეიკრიბა. არქიმანდრიტმა დოროფეი დბარმა, რომელმაც განათლება საბერძნეთში მიიღო, განაცხადა, რომ აფხაზეთის სასულიერო პირების ნაწილი აფხაზური ეკლესიისთვის ერთ გზას ხედავს, ნაწილი კი — მეორეს. ამიტომ მან მოუწოდა შეკრებილებს, სწორედ მათ გადაეწყვიტათ, რა გზით უნდა იაროს ეკლესიამ.

აფხაზეთის ეკლესიის მსახურთა შორის დაძაბულობა აპრილში დაიწყო, როდესაც ახალი ათონის მონასტერში რუსეთიდან მამა ეფრემი ჩავიდა. მას არ მოეწონა, რომ ეკლესიაში მსახურება აფხაზურ ენაზე მიმდინარეობდა. ამან ბერების პროტესტი გამოიწვია, რომლებიც მონასტრის ძველ წინამძღვარს უჭერდნენ მხარს. მალე კი საბერძნეთიდან ორი მღვდელი დოროფეი დბარი და დავიდ სარსანია ჩავიდნენ. მათ თავიანთი საგანგებო ჩამოსვლა აფხაზური ეკლესიის გადარჩენის მცდელობით ახსნეს. ახალგაზრდა მღვდლებმა გადაწყვიტეს, რომ აღარ შეიძლება იმის ლოდინი, როდის ჩამოაყალიბებს საკუთარ პოზიციას რუსეთის ეკლესია. მათი აზრით, აფხაზეთის ეკლესიას დამოუკიდებლობა სჭირდება, რომლის მოპოვებაც მან ვერ შეძლო, რადგან მოსკოვის პატრიარქი აფხაზეთს საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის ტერიტორიად მიიჩნევს. ამიტომ მათ აფხაზეთის ეკლესიის ავტოკეფალიის აღიარება მოითხოვეს.

ახალგაზრდა ბერების აზრით, რუსეთის ეკლესიას არ შეუძლია აფხაზეთში ახალი ეპისკოპოსის მოწვევა, რადგან არ სურს საქართველოს ეკლესიასთან ურთიერთობების გაფუჭება.

მათივე განცხადებით, რუსეთის ეკლესიის პოლიტიკა აფხაზეთს ისლამისკენ უბიძგებს.

საეკლესიო‑სახალხო კრებამ თითქმის ერთხმად დაუჭირა მხარი აფხაზეთის ეკლესიის დამოუკიდებლობას. მათ ასევე ხმა მისცეს დოროფეი დბარის ეპისკოპოსობას.

აფხაზი სპეციალისტები ამბობენ, რომ ასეთ რთულ სიტუაციაში კონსტანტინოპოლმა შესაძლოა აფხაზეთს მისცეს ავტოკეფალია. არგუმენტად კი სსრკ-ს დაშლას ასახელებენ, როდესაც რუსეთის ეკლესიამ ესტონეთის მართლმადიდებლები საკუთარი მფარველობის ქვეშ აიყვანა.

შეკრების შემდეგ აფხაზეთში ე.წ. აფხაზური მიტროპოლია გაჩნდა ცენტრით ახალ ათონში. კრების მონაწილეთა მტკიცებით, მიტროპოლია თანდათანობით აფხაზეთის მართლმადიდებელ ეკლესიად გადაიქცევა, — წერს რუსული კომერსანტი.

თავის მხრივ, ზემოთ ხსენებული დავიდ სარსანია აცხადებს, რომ აფხაზეთში უკანონოდ მყოფ რუსეთის ეკლესიის წარმომადგენლებს ჩვენთვის ჭკუის სწავლების უფლება არ აქვთ.

— რუსეთის მართლმადიდებლური ეკლესიის წარმომადგენლებს, რომლებიც ამა თუ იმ მიზეზის გამო აფხაზეთში უკანონოდ, ასე ვთქვათ, სტუმრად იმყოფებიან, არ აქვთ უფლება მიგვითითონ, რომ ჩვენ არასწორად ვიქცევით, — აცხადებს რუსეთის მართლმადიდებლური ეკლესიის წიაღში მრავალი წლის განმავლობაში მოღვაწე აფხაზი ღვთისმსახური იეროდიაკონი დავიდ სარსანია „ეხო კავკაზის“ ჟურნალისტთან საუბარში.

როგორც უკვე აღვნიშნეთ, სარსანია ახალ ათონში ორი დღის წინ ჩატარებულ საერო და სასულიერო კრებაში მონაწილეობდა. როგორც აღმოჩნდა, იგი მხარს უჭერს აფხაზეთის სასულიერო პირების ე.წ. ახალგაზრდა ფრთას.

— საეკლესიო-საერო დიდი შეკრების მოწყობის აუცილებლობა აფხაზეთში უკვე დიდი ხანია არსებობდა. თავად საეკლესიო კანონიკურ სიტუაციას აფხაზეთში არასტაბილური ხასიათი აქვს. 18 წლის განმავლობაში, მას შემდეგ, რაც 1993 წელს აფხაზური ეკლესია იერარქის პირდაპირი დაპურების გარეშე დარჩა, ფაქტობრივად, იგი მიტოვებული აღმოჩნდა, იმიტომ, რომ ქართულმა სულიერება, რომლის კანონიკურ ტერიტორიადაც ითვლება აფხაზეთი ვერ ახორციელებს სასულიერო და სამწყსო მოღვაწეობას აფხაზეთის ტერიტორიაზე და მრევლის დაპურებას, — აცხადებს სარსანია.

მისივე თქმით, განსაკუთრებით, 1992-1993 წწ კონფლიქტის შემდეგ, აფხაზი მორწმუნეების დაპურება ქართული სულიერების მხრიდან ფაქტობრივად შეუძლებელი გახდა და ამიტომაც ეს საქმე, მისივე განმარტებით ბესარიონ აპლიამ ითავა.

— არადა, სამწყსო საქმიანობა მაინც განსახორციელებელი იყო აფხაზეთში და იგი ამ 18 წლის მანძილზე საუკეთესო ნამდვილად არ იყო. მხოლოდ ერთ სასულიერო პირს ჰქონდა უფლება აფხაზი მორწმუნეები დაეპურებინა და მან ეს გააკეთა, საკუთარი თავი სოხუმისა და აფხაზეთის ეპარქიის მმართველად გამოაცხადა. დღეს ამ ეპარქიას სოხუმისა და ბიჭვინთის ეპარქია ეწოდება, — აცხადებს სარსანია.

სასულიერო პირი ასევე ამბობს, რომ ამჟამად აფხაზეთში მოქმედებს ღვთისმსახურთა დაჯგუფება, ძირითადად ეს რუსეთის მართლმადიდებლური ეკლესიის მღვდლები არიან, რომლებიც აფხაზეთის ტერიტორიაზე ისეთი ყოველგვარი საბუთის გარეშე იმყოფებიან, რომლებიც საეკლესიო კანონების მიხედვით, მათ აქ საქმიანობისა და ღვთისმსახურების განხორციელების ნებას რთავს.

— ერთი მხრივ, ეს არიან ღვთისმსახურები, რომლებიც არ არიან თავიანთი ეპარქიების შტატიანი ღვთისმსახურები, მეორე მხრიდან ესენი არიან ისეთი სასულიერო პირები, რომლებიც რაღაც იდეური მოსაზრებებიდან გამომდინარე საჭიროდ არ მიიჩნევენ თავის ყოფნას რუსული მართლმადიდებლური ეკლესიის ფარგლებში, — აცხადებს სარსანია და ამ ღვთისმსახურების მფარველობაში კვლავ ბესარიონ აპლიას ადანაშაულებს.

— ამიტომაც ისინი აქ ჩამოდიან, აფხაზეთში და მფარველს იმ ადამიანში პოულობენ, რომელზეც მე ვისაუბრე და თავიანთ საღვთისმსახურო საქმიანობას აქ აწარმოებენ. მაგრამ სინამდვილეში ამას საღვთისმსახურო საქმიანობას ვერ უწოდებ. აუცილებელია შექმნა ისეთი საეკლესიო ორგანიზაცია, რომელიც მართლმადიდებლური ეკლესიის ყველა კანონსა და სტანდარტს პასუხობს. სწორედ ამიტომაც შევიკრიბეთ ჩვენ ახალ ათონში და აფხაზეთის წმინდა მიტროპოლია შევქმენით, რომლის ცენტრიც ანაკოფიაში, ახალ ათონში მდებარეობს, — აცხადებს დავიდ სარსანია. **გაგრძელება მე-11 გვერდზე**

## რამდენად მიზანმიმართული ხართ




**ტესტის პასუხებს დადებითი ან უარყოფითი პასუხები გაეცით**

1. ყოველთვის ვიცი, რას მოვიმოქმედებ, თუ ბედმა მიმტყუნა.
2. დარწმუნებული ვარ, რომ თუ საქმე პირველი ცდით არ გამოვა, მეორით აუცილებლად გამოვა.
3. აზარტში შესულიც კი თავს გინების უფლებას არ ვაძლევ.
4. წარუმატებლობის შემდეგ კიდევ უფრო მობილიზებული ვხდები.
5. ყოველთვის დეტალურად მაქვს წარმოდგენილი, როგორ უნდა ვიმოქმედო, რომ არ დავმარცხდე.
6. არ მომწონს უგრძნობელი ადამიანები, რომლებსაც არ აღელვებთ სხვისი მარცხი.
7. როდესაც მიჭირს, საკუთარ თავს ვეუბნები: „მადლობა თქვი, უარესი რომ არ დაგემართა!“
8. გამარჯვება მიხარია.
9. მიმაჩნია, რომ მოგება ბანქოში შემთხვევის საქმეა.

### პასუხები

**დადებითი პასუხების რაოდენობის მიხედვით:**

**0-3 ქულა:** აქტიურად ეძებთ პრობლემებს ან თავად იქმნით მათ. საკუთარი ძალების გარდა, ყველაფრის იმედი გაქვთ, მთავრობით დაწყებული, ზებუნებრივი ძალებით დამთავრებული.

**4-6 ქულა:** იმ ადამიანების კატეგორიას განეკუთვნებით, რომლებიც ნებისმიერი საზოგადოების დასარყდენს შეადგენენ. შესანიშნავი მუშაკი ხართ, ხელმძღვანელობისადმი ლოიალურად განწყობილი. როგორც წესი, არ ისახავთ მიზნებს, რომლის მიღწევაც არ შეგიძლიათ.

**7-9 ქულა:** რეალურ მიზნებს ისახავთ და ყოველთვის უფრო მეტს აღწევთ. ახერხებთ წარუმატებლობისგანაც კი სარგებლობის მიღებას. ახერხებთ გამარჯვებისაკენ მიმავალი მოკლე გზის მოძებნას. **გ. თ.**

## იუმორი



— გამაუპატიურა, მაგრამ შური ვიძიე.

— როგორ?

— ცოლად გავყევი...

***

ვზივარ მეტროში, მატარებელს ველოდები. მოვიდა ვიღაც გაურკვეველი ტიპი, მობილური გამომიწოდა და მეუბნება:

— აჰა, ელაპარაკე.

— ვერ გამიგია, ვის და რატომ უნდა ველაპარაკო, მაგრამ ყურმილი მაინც გამოვართვი:

— ალო?

— თუ ძმა ხარ, მაგ იდიოტს აუხსენი, ნაძალადევში როგორ მოხვდეს...

***

მშობელი მოსწავლის დღიურში ჩანაწერს კითხულობს:

„თითქმის მთელი ჩვენი პედკოლექტივი გიბარებთ დირექტორთან. მისი დაკრძალვა დანიშნულია შაბათს, 15:00 საათზე. სამგლოვიარო ცერემონიალი სკოლის ნანგრევებზე გაიმართება.“

***

— ფულს სუნი არ აქვს.

— ბევრ ფულს განსაკუთრებით...

***

— ნეტავი, თვითმფრინავის სამყოფი ფული მქონდეს.

— თვითმფრინავი რად გინდა?

— არც მინდა, მე თვითმფრინავის სამყოფი ფული მინდა... **გ. თ.**

## კროსვორდი ბ



**შვეულად:** 2. უკრაინული ლუდი; 3. წარწერა საფლავის ქვაზე; 4. ორგანიზმის შეგუება გარემო პირობებთან; 5. ირლანდიელი მწერალი, რომან „ულისე“-ს ავტორი; 6. აშშ-ს კინოაკადემიის პრიზი; 8. ტყვია-თუთიის საბადო სამაჩაბლოში; 11. ბანქოს სათამაშო მაგიდა; 14. ცხოველის გარეგნული შესახედაობა, აგებულება; 16. ქართული გაზეთი; 15. ქართველი მგოსანი; 17. თავისსავე ქონში ჩახრაკული ცხვრის გულ-ღვიძლისგან მომზადებული კერძი; 19. საყვარლის კმაყოფაზე მცხოვრები მამაკაცი; 21. ველორიქშა ინდოეთში; 22. თანამედროვე ბრიტანელი თეატრალური რეჟისორი.

**თარაზულად:** 1. ენის ბგერითი შედგენილობის შემსწავლელი ენათმეცნიერების ნაწილი; 5. ქართული სპორტული რადიო; 7. მტვირთავი მუშა ნავსადგურში; 9. საგნის, მექანიზმის სახეცვლილება; 10. თავფეხიანთა კლასის ზღვის მოლუსკი, ძვირფასი საკვები პროდუქტი; 12. „სამი მუშკეტერის“ პერსონაჟი; 13. შინაური კურდღელი; 16. უნიკალური, ძალზე იშვიათი ნივთი; 17. არომატული, მატონიზირებელი სასმელი; 18. ქართული მონასტერი კუნძულ კვიპროსზე; 20. ინგლისის ფეხბურთელთა გუნდი; 22. ხელოვნების მუზეუმი მილანში; 23. შრი-ლანკას დედაქალაქი; 24. ქართული ხალხური შრომის სიმღერა; 25. ბაღჩეული მცენარე.

*შეადგინა თ. გოგინაშვილმა*

### წინა ნომერში გამოქვეყნებული კროსვორდისა და სკანვორდის პასუხები:

**კროსვორდი ა**

**შვეულად:** 1. ობლიგო; 2. მაცნე; 3. „მაინცი“; 4. ბოლიდი; 6. გოდერძი; 9. ჩაუქი; 11. ახალუხი; 15. რეგისტანი; 16. პოეზია; 17. მარტვილი; 19. ალუმინი; 21. მაქმანი; 22. ბრინჯი.

**თარაზულად:** 5. აბაკელია; 7. ორაგული; 8. ელიოტი; 10. ვარიეტე; 12. დურდო; 13. ბახში; 14. ზაქარიაძე; 18. კალია; 20. თოხანი; 23. პრუსია; 24. ქუჯი; 25. ალიევი; 26. ჯინი; 27. უნგრეთი.

**კროსვორდი ბ**

**შვეულად:** 2. მხევალი; 3. ნიველისი; 4. აკვალანგი; 5. წალკა; 6. იარუსი; 8. რაუნდი; 11. კეტჩერი; 14. იმპიჩმენტი; 15. ჟანგბადი; 16. კორონაცია; 17. „პანედა“; 19. ლივადია; 21. გაუდი; 22. ლახტი.

**თარაზულად:** 1. ამუნიცია; 5. წავი; 7. ბერდია; 9. ფეტვიაშვილი; 10. რეკრუტი; 12. ესტრადა; 13. ბენზინი; 16. კავარაჯო; 17. კაბი; 18. ალუჩა; 20. ანჩელოტი; 22. ლუარა; 23. კათედრა; 24. ცაცხვი; 25. დიეტა.

# მსოფლიო სავალუტო ფონდის ხელმძღვანელს მომხიბვლელი ქალი საფრანგეთშიც გამოუჩნდა

დასაწყისი მე-12 გვერდზე

ტრისტან ბანონის დედა ამ დროს სოციალისტური პარტიის რეგიონული საბჭოს დეპუტატი იყო და ქალიშვილი დაეთანხმა, მათი ოჯახის მეგობარი პოლიტიკოსის წინააღმდეგ ხმაური არ აეტეხა.

ერთ-ერთი ფრანგული ტელეარხის ინტერვიუში ბანონმა განაცხადა, რომ ახლა ნანობს, დედას რომ დაუჯერა.

დომინიკ სტროს-კანი საფრანგეთის პრეზიდენტის პოსტზე სოციალისტური პარტიის ძლიერ კანდიდატად ითვლებოდა. არჩევნები 2012 წლისათვის არის დაგეგმილი.

აღსანიშნავია, რომ ფრანგი მწერალი ქალი მსოფლიოს სავალუტო ფონდის ხელმძღვანელის სახელთან დაკავშირებული სექსუალური სკანდალის ერთადერთი ფიგურანტი არ არის. გასულ შაბათს დომინიკ სტროს-კანი ნიუ იორკის კენედის აეროპორტში სასტუმროს მოახლის გაუპატიურების და თავისუფლების შეზღუდვის ბრალდებებით დააკავეს.

62 წლის ფრანგი პოლიტიკოსი კვირას უნდა წარმდგარიყო სასამართლოს წინაშე, სადაც მისი თავდებით გათავისუფლების საკითხი უნდა განეხილათ, მაგრამ სხდომა გაურკვეველიდროით გადაიდო, რადგან მსოფლიო სავალუტო ფონდის ხელმძღვანელი ამ საქმესთან დაკავშირებით სამედიცინო დამოწმების პროცედურას დათანხმდა.

ნიუ იორკის პოლიციის განცხადებით, 32 წლის მოახლემ, რომელიც სტროს-კანის ძალადობის მსხვერპლი გახდა, ამოცნობის პროცედურეს დროს სტროს-კანს ხელი დაადო.

ქალმა განაცხადა, რომ მან სტროს-კანის ნომრიდან გაქცევა მოახერხა.

საერთაშორისო სავალუტო ფონდის ხელმძღვანელს აშშ-ში გაუპატიურების მცდელობის, სექსუალური ხელყოფის, თავისუფლების უკანონო შეზღუდვის ოფიციალური ბრალდებები წაუყენეს.

სტროს კანის ადვოკატის, უილიამ ტეილორის თქმით, მისი კლიენტი სამედიცინო-სასამართლო და სამეცნიერო შემოწმებას საკუთარი ნებით დათანხმდა.

მისმა მეორე ადვოკატმა ბენჯამინ ბრაფმანმა განაცხადა, რომ სტროს-კანს „თავის ენერგიულად დაცვა" აქვს გადაწყვეტილი.

დომინიკ სტროს-კანის მეუღლემ, ანა სინკლერმა განაცხადა, რომ იგი დარწმუნებულია ქმრის უდანაშაულობაში.

ნიუ იორკში დაკავების გამო დომინიკ სტროს კანი ბრიუსელში, ევროკავშირის წევრი ქვეყნების ფინანსთა მინისტრების შეხვედრაზე ვერ მოხდა, სადაც საბერძნეთის და პორტუგალიის საკითხი უნდა განეხილატ.

საერთაშორისო სავალუტო ფონდის ოფიციალურ განცხადებაში, რომელიც საერთაშორისო სავალუტო ფონდის ვებსაიტზე გამოქვეყნდა, ნათქვამია, რომ ფონდის ხელმძღვანელობა ჯერჯერობით ვითარების კომენტირებისათვის მზად არ არის. როგორც საიტზე არის ნათქვამი, სავალუტო ფონდი ჩვეულებრივ რეჟიმში აგრძელებს მუშაობას და სტროს-კანის მოვალეობებს დროებით მისი მოადგილე ჯონ ლიპსკი ასრულებს.

გ.თ.

# კადაფის დაჭერას ითხოვენ



ჰააგაში, სისხლის სამართლის საერთაშორისო სასამართლოს პროკურორმა ლიბიის ლიდერის, მუამარ კადაფის, მისი ვაჟის საიფ ალ-ისლამის, აგრეთვე დაზვერვის ხელმძღვანელის აბდულა სანუსის დაპატიმრების ორდერის გაცემის ნებართვა ითხოვა.

ლუის ორენო-ოკამპომ განაცხადა, რომ არსებული მტკიცებულებების თანახმად, ლიბიის შეიარაღებული ძალები მშვიდობიან მოსახლეობაზე სისტემატიურ და ფართო მასშტაბის თავდასხმებში არიან დამნაშავე.

ლიბიის მთავრობამ უკვე გამოაცხადა, რომ მისი აზრით, საერთაშორისო სასამართლოს საქმიანობა დიდ ეჭვს იწვევს.

ლიბიის საგარეო საქმეთა მინისტრმა ხალიდ ქაიმმა განაცხადა, რომ ეს სასამართლო ევროკავშირის პირმშოა, რომელიც აფრიკელი ლიდერებისა და პოლიტიკოსების წინააღმდეგ არის მიმართული.

ლიბია, ისევე როგორც აფრიკის ქვეყნების უმეტესობა, სისხლის სამართლის საერთაშორისო სასამართლოს იურისდიქციას არ აღიარებს. და ლიბიის მოხელეების თქმით, ჰააგის რაიმე განცხადებას ყურადღებას არ მიაქცევს.

ლუის ორენო-ოკამპოს წარმომადგენლების თქმით, პროკურორი პირადად შეხვდა 50-მდე თვითმხილველს, გარდა ამისა, ლიბიის კონფლიქტთან დაკავშირებული 12 ათასამდე დოკუმენტი შეისწავლა. ორშაბათს მან სასამართლოს საქმის წინასწარი წარმოების პალატას მიმართა სამი მაღალი რანგის ლიბიელის დაპატიმრების ორდერის გაცემასთან დაკავშირებით.

ლიბიის ლიდერებისათვის წაყენებული ბრალდებები 15 თებერვალს დაწყებულ, ანტისამთავრობო მასობრივ დემონსტრაციებთან არის დაკავშირებული.

პროკურორის წარმომადგენლების განცხადებაში ნათქვამია, რომ ჩვენებების თანახმად ლიბიის უშიშროების ძალები სამოქალაქო პირებს სისტემატიურად ესხმოდნენ თავს და ეს თავდასხმები ფართო მასშტაბებს ატარებდა.

ჩვენებების გარდა ამისა, მიანიშნებს იმ პირებზე, ვისაც ამ თავდასხმების მთავარი პასუხისმგებლობა უნდა დაეკისროთ. ლუის მორენო-ოკამპოს თქმით, იგი გაეროს უშიშროების საბჭოს 1970 წლის რეზოლუციის მიხედვით მოქმედებს, რომლის თანახმადაც სისხლის სამართლის საერთაშორისო სსამართლომ ლიბიაში არსებული ვითარება უნდა განიხილოდ.

ჰააგის სასამართლოს წინასწარი საქმის წარმოების პალატამ პროკურორის თხოვნა შეიძლება გაიზიაროს, უარყოს ან დამატებითი ინფორმაცია მიოთხოვოს.

გ.თ.

# რუსეთის პატრიარქი აფხაზ სასულიერო პირებს აკრიტიკებს

დასაწყისი მე-10 გვერდზე

მისივე თქმით, ეს მიტროპოლია დროებითია და იმოქმედებს იქამდე, ვიდრე მსოფლიოს მართლმადიდებლური ეკლესიები აფხაზეთის მართლმადიდებლური ეკლესიის წინადადებას არ განილავენ.

— აქვე გვინდა აღვნიშნოთ, რომ ჩვენ ეპისკოპოსის თანამდებობაზე ჩვენი კანდიდატი არქიმანდრიტი დოროფეი დბარი გვყავს. მართლმადიდებლური ეკლესიები აფხაზეთის ტერიტორიას ქართული მართლმადიდებლური ეკლესიის ნაწილად აღიარებენ, მაგრამ საეკლესიო საკითხის გადაწყვეტა ხომ ისევე არ შეიძლება, როგორც პოლიტიკურის. ამიტომაც ჩვენ ვაცნობიერებთ რა თუ რამდენად რთულ გზაზე ვდგავართ, ვთხოვთ მართლმადიდებლურ ეკლესიებს, დაგვეხმარონ ჩვენ ამ პრობლემის მოგვარებაში. ცალმხრივად ამას ვერც ერთი ეკლესია ვერ გადაწყვეტს და ჩვენ ეს გვესმის. მზად ვართ ვიცადოთ.

ამჟამად კი აფხაზეთის სასულიერო პირთა შორის, რომლებმაც არ მიიღეეს საეკლესიო-საერო კრების მიერ მიღებული გადაწყვეტილება, არის ელემენტი, რომელიც თავისთავად არაკანონიკურია. ეს რუსეთის მართლმადიდებლური ეკლესიის ღვთისმსახურები არიან, რომლებიც ან თავიანთ საკუთარ ეპარქიებში იმყოფებიან აკრძალვაში ან თავიანთი არქიდიაკვნებისგან არ აქვთ შესაბამისი სიგელები, რომელთა მიხედვითაც მათ აფხაზეთის ტერიტორიაზე ღვთისმსახურების ჩატარების უფლება ექნებოდათ.

საეკლესიო კანონების მიხედვით, მათ არ აქვთ უფლება, მიგვითითონ ჩვენ, ადამიანებს, რომლებიც აქ ვცხოვრობთ და პირდაპირი ურთიერთობა გვაქვს აფხაზეთთან იმაზე, რომ ჩვენ რაღაც არასწორ ქმედებებს ჩავდივათ. ამიტომაც იმ ღვთისმსახურების პოზიცია, რომლებიც აქ, მაპატიეთ და სტუმრად იმყოფებიან, ეს შესაძლოა მხოლოდ მათი პირადი არ იყოს. ჩვენი გზა უფრო მართალია და უფრო კანონიკურია, ვიდრე უბრალოდ აიღო და ავტოკეფალია გამოაცხადო, როგორც ეს უკვე იქნა გაკეთებული 2009 წელს, საეკლესიო კანონების თვალსაზრისით სრულიად უსაფუძვლოდ, — აცხადებს დავიდ სარსანია.

აქვე ცნობისთვის: რუსეთის სასულიერო აკადემიის აღსაზრდელი დავიდ სარსანია 1978 წელს აფხაზეთში, ქალაქ გუდაუთაში დაიბადა. ეროვნებით აფხაზია. 2000 წელს იგი იეროდიაკონად თავად სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქმა, ილია მეორემ აკურთხა. ადრე არაერთხელ გავრცელებულა ინფორმაცია იმის შესახებ, რომ რუსეთის მართლმადიდებლური ეკლესია სეპარატისტული აფხაზეთის ე.წ. პატრიარქად სწორედ დავით სარსანიას ამზადებს.

რუსეთის საპატრიარქოს „კარზე" მოღვაწე სარსანია ხმამაღალი განცხადებებით არასოდეს გამოირჩეოდა. იგი უხმაუროდ, საკმაოდ დიდი ხნის განმავლობაში „მოღვაწეობდა" რუსეთის საპატრიარქოში და ქართული მართლმადიდებლური ეკლესიის წინააღმდეგ მიზანმიმართულ პროპაგანდას ეწეოდა.

დავით სარსანია მოსკოვისა და სრულიად რუსეთის აწ განსვენებულ პატრიარქთან ალექსი II-თან დაახლოებული პირი იყო. იგი თან ახლავდა რუსეთის საპატრიარქოს დელეგეციებს მნიშვნელოვანი ვიზიტების დროს. შეხვედრებს იგი „აფხაზეთის ეპარქიის" წარმომადგენელის სტატუსით ესწრებოდა.

მას რუსეთში მოღვაწეობის მანძილზე სარსანიას სულ რამდენიმე ინტერვიუ აქვს მიცემული ჟურნალისტებისათვის, რომლებშიც იგი ძირითადად ე.წ. აფხაზეთის ეპარქიის საქართველოს ეკლესიისგან გამოყოფას მოითხოვდა.

— უკვე დროა, აფხაზეთის ეროვნული ეპარქია ჩამოყალიბდეს. ეს საშუალებას მოგვცემს, მთელ სამყაროს განვუცხადოთ, რომ მართლმადიდებელი აფხაზი ხალხი ქართული ეკლესიის წიაღში ვერ იარსებებს, — აცხადებდა თავის ინტერვიუებში სარსანია.

მისი აზრით, ქართულმა მართლმადიდებელმა ეკლესიამ დალოცა აფხაზების წინააღმდეგ მებრძოლი ქართველი ჯარი და „ამაყი ხალხის" გენოციდისკენ მოუწოდა. აღსანიშნავია ისიც, რომ დავით სარსანიას საკამოდ სოლიდურ ე.წ. პიარ-კამპანიას რუსეთის საპატრიარქოც უწევდა.

საინტერესოა ასევე დავით სარსანიას მიერ ციურიხიდან აფხაზი თანამემამულეებისადმი შობის მილოცვის ტექსტი. საზეიმო მილოცვაში იგი ქრისტეს დაბადების ირგვლივ მცირე ექსკურსს აკეთებს და მაცხოვრის შობას აფხაზი ხალხის მიერ დამოუკიდებლობისთვის დაწყებულ ბრძოლას ადარებს.

— არ უნდა დაგვავიწყდეს, რომ კაცობრიობის ადამისეული ცოდვიდან გათავისუფლების გზა სისხლით დაიწყო. ქრისტეს დაბადებას ჰეროდეს მიერ ათასობით უდანაშაულო ჩვილის დახოცვა მოჰყვა — ისინი ქრისტესთვის შეწირული პირველი მსხვერპლნი იყვნენ, — ამბობს აფხაზი სასულიერო პირი და აგრძელებს, — სწორედ ამგვარი გზაა აფხაზი ხალხის მიერ გავლილი. აფხაზეთის დამოუკიდებლობის გზის დასაწყისი ასევე ჩვენი ერის საუკეთესო შვილების სისხლითაა მორწყული. გავიხსენოთ 1992-93 წლები და ის, რომ მძიმედ დაჭრილი აფხაზი მეომრები მდინარე გუმისთის ნაპირებთან ოკუპანტების მიერ იყვნენ დახვრეტილნი. სწორედ მათი სისხლი დაედო საფუძვლად აფხაზეთის დამოუკიდებლობას, — ამბობდა დავიდ სარსანია.

მისივე თქმით, ისევე როგორც კაცობრიობა არასოდეს არ დაივიწყებს ქრისტეს მიერ ადამიანთათვის გაღებულ მსხვერპლს, ასევე აფხაზი ერი არასოდეს დაივიწყებს სამშობლოს თავისუფლების დასაბამად ქცეულ დაღვრილ სისხლს.

შეგახსნებთ, რომ რუსეთის მართლმადიდებლურ ეკლესიაში და რუსეთის საგარეო საქმეთა სამინისტროში აფხაზ სეპარატისტებს უკვე განუცხადეს — თუკი ისინი ახალ ათონში რუსი იღუმენის დანიშვნის გაპროტესტებას თავს არ დაანებებენ, ამას, შესაძლოა, სერიოზული შედეგები მოჰყვეს და „არა მხოლოდ საეკლესიო ურთიერთობებში".

კავკასიის საკითხებში ექსპერტ მამუკა არეშიძის განცხადებით, რუსეთის საპატრიარქო ქართული ეკლესიის საპასუხო რეაქციას ერიდება, თორემ ე.წ. აფხაზური ეკლესიის დამოუკიდებლობას უკვე დიდი ხნის წინ აღიარებდა.

როგორც არეშიძემ „მედიანიუსს" განუცხადა, რუსეთის საპატრიარქოს მიერ ე.წ. აფხაზური ეკლესიის აღიარების შემთხვევაში, ქართულ მართლმადიდებლურ ეკლესიას ანალოგიური ნაბიჯების გადადგმა უკრაინის არაღიარებული ეკლესიის მიმართაც შეეძლება, რაც რუსეთის ინტერესებში არ შედის. დღეს აფხაზეთის სასულიერო წრეებში ეკლესიის დამოუკიდებლობის საკითხთან დაკავშირებით სერიოზული განხეთქილება არსებობს, სადაც ე.წ. აფხაზური ეკლესიის ფაქტობრივი მმრთველი ბესარიონ აპლია და ახალ ათონში დაარსებული აფხაზეთის წმინდა მიტროპოლიის წარმომადგენლები ერთმანეთს უპირისპირდებიან.

# სამგლოვიარო განცხადებები



საქართველოს საერთაშორისო ურთიერთობათა უნივერსიტეტის აკადემიური, ადმინისტრაციული პერსონალი და სტუდენტები ღრმა მწუხარებით იუწყებიან, რომ გარდაიცვალა უნივერსიტეტის სამართალმცოდნეობის ფაკულტეტის პროფესორი, სამართლის დოქტორი

**გურამ ივანიშვილი**

და თანაგრძნობას უცხადებენ განსვენებულის ოჯახს და ახლობლებს.

---

მაგული ზანკალიანი ოჯახით, მაყვალა გუნცაძე, მანონი ჩხიკვაძე ღრმა მწუხარებითა და თანაგრძნობით სამძიმარს უცხადებენ ქ.თბილისის 67-ე საჯარო სკოლაში მოქმედი საქველმოქმედო ფონდი „განათლება 67"-ის დამფუძნებელსა და ნამოწაფარს გია როკეტლიშვილს მამის

**ანზორ (შალიკო) როკეტლიშვილის**

გარდაცვალების გამო.

---

ექვთიმე და ნანა ხეროდინაშვილები სამძიმარს უცხადებენ გია როკეტლიშვილს მამის

**ანზორ როკეტლიშვილის**

გარდაცვალების გამო.

---

მანანა ფხაკაძე, ნინო ბეჟიტაშვილი, ლია ჯანაშია, ლუიზა მაჭავარიანი, ლიკა ფაჩულია, ცისანა შარტავა ოჯახებით თანაგრძნობას უცხადებენ უახლოეს მეგობარს ნინო ხელაშვილს ძმის

**სიმონ (ცუგო) ხელაშვილის**

გარდაცვალების გამო.

სამგლოვიარო განცხადებები მიიღება ყოველდღე, კვირის გარდა, 12-დან 17 საათამდე.

## TV პროგრამა

**ოთხშაბათი 18 მაისი**

**06.30** მოამბე (აფხაზურ, ოსურ, სომხურ, აზერბაიჯანულ ენებზე) **07.30** ჩვენი დილა **11.00** სამოთხის ვაშლები **12.00, 16.00, 20.00** მოამბე **12.30** აუდიტორია **13.30** მეხსიერება **14.00** დიალოგი დ. პაიჭაძესთან **15.00** სერ. **"ხუთი და"** **17.00** ან. ფილმი "ჯუმანჯი" **18.00** ჩვენი სამართალი **18.30** სილამაზის ფორმულა **19.05** დოკ. ფილმი "საუდის არაბეთის სამეფო ოჯახი" **21.00** სერ. **"ხუთი და"** **22.00** ევროპული არჩევანი **23.30** მხ. ფილმი **"მოპარული ჰარვარდი"** (ჯ. ლი) **01.00** მოამბე **01.20** ევროპული არჩევანი **02.20** ჩვენი ეზო **03.20** მხ. ფილმი **"ერინ ბროკოვიჩი"**

**08.00, 00.00** მოამბე (აფხაზურ, ოსურ, სომხურ, აზერბაიჯანულ ენებზე) **09.00, 23.00** ბრიფინგის დროით **10.00, 22.00** თავისუფალი ტრიბუნა **11.00** პარლამენტის სხდომის ტრანსლაცია **19.00** დოკ. ფილმი "რომი: იმპერიის აღმავლობა და დაცემა" **20.00** მხ. ფილმი **"ფორემტერის პოვნა"** **01.00** მხ. ფილმი **"გადამჭრელი ზომები"**

**07.30** დილა მშვიდობისა **10.00** სერ. **"ცოდვილი"** **11.00** სერ. **"მიმწყვდეული"** **12.00, 15.00, 18.00, 21.00, 02.30** კურიერი **12.30** სხვა ამბები **13.00** ბიზნეს-კურიერი **13.30** შუა დღე (პირდ.) **15.40** კომედი შოუ **17.00** სერ. **"მორენას ვნება"** **18.45** სერ. **"დანიელა"** **19.45** სერ. **"ელენას მოჩვენება"** **22.00** იღბლიანი ბორბალი **00.00** მხ. ფილმი **"თაღლითები"** (სუბტ.) **02.00** პატრული

**07.30** მუსიკა **08.00** ანიმაცია "ბეტმენი" **09.00** სერ. **"ჩენტო ვეტრინე"** **10.00** გოგიჩას დილა **11.00** სერ. **"დაუნდობელი სამყარო"** **12.00** სერ.**"გაუხსნელი საქმე"** **13.00** "მზესუმზირა" (პირდ.) **14.30** სერ.**"ორნახევარი კაცი"** **15.30** მხ. ფილმი **19.00** სერ. **"ვნებათა მიწა"** **20.00** სერ. **"დაუნდობელი სამყარო"** **21.00** სერ.**"გაუხსნელი საქმე"** **22.00** მხ. ფილმი **00.00** მხ. ფილმი

**07.30** იმედის დილა **10.00** სერ. **"ლამაზი სიცოცხლე"** **11.00, 14.00, 17.00, 20.00** ქრონიკა **11.30** სერ.**"სიყვარულის ზღვა"** **12.30** დღის შოუ (პირ.) **13.45** ტვ-მარკეტი **14.40** ღამის შოუ (გან.) **16.00** სერ. **"მეტოქეები"** **17.40** სერ. **"სიყვარულის ზღვა"** **18.40** სერ. **"როცა სიყვარული მოდის"** **21.00** სერ. **"ქალბატონი"** **22.00** ყოფილი ცოლების კლუბი **23.00** თბილისი ლაივი **23.45** შეგირდი **00.15** პოკერ რინგი **01.25** მხ. ფილმი **"საქორწინო წვეულება"** (მ. დუგლასი) (სუბტ.) **03.15** მხ. ფ.**"კერკეტი კაკალი 3"** (ბ. უილისი) (სუბტ.) **06.30** სერ. **"ბოშები"**

**08.30, 11.30, 14.30, 17.30, 20.30, 22.30, 01.30** "დრო" **09.00** მუსიკა **09.30, 23.00** სერ. **"პეტერბურგის საიდუმლოებანი"** **10.30** დოკ. ფილმი "გამორჩენილი ადამიანები" **11.50, 21.00** სერ. **"ჩემი მიწა"** **12.50, 19.30** სერ. **"სალომეა"** **15.00, 18.00** დოკ. ფილმი **16.30** სერ. **"სკოლის მეგობრები"** **22.00** სცენა **00.00** მხ. ფილმი

**ერთსულოვნება**

**08.30** დილის პროგრამა "განთიადი" **10.05, 19.00, 22.00, 00.05** სიახლენი **10.20** საღვთისმეტყველო საუბრები **11.00** მგზავრები წუთისოფლისა **11.25** დროის ჩანაწერები **11.55, 14.55, 17.55, 20.55, 23.55** შვიდგზის ლოცვა **12.00, 15.00, 18.00** საეკლესიო კალენდარი **12.15** მხ. ფილმი **"ჩიორა"** **13.35** კონცერტი – სესილია ბარტოლი **15.05** ახალი აღთქმის განმარტებანი **15.30** მხ. ფილმი **"ვინ შეკაზმავს ცხენს"** **16.40** კვირიაკე **18.05** ჩვენ ვუკრავთ კლასიკას **18.15** საქართველო არის ესე **18.40** ძველი აღთქმის განმარტებანი **19.15** მხ. ფილმი **"როცა აყვავდა ნუში"** **21.05** პატრიარქის ქადაგება **21.25** გზა, რომლითაც ვიარე **22.20** ქართული ალბომი **22.35** მოკლ. ფილმი **"არღანი"** **23.00** საღამოს ლოცვა **23.15** სუფთა დაფა **00.40** განთიადის სტუმარი **01.00** კონცერტი – რიჩარდ კლაიდერმანი

პროგრამები იბეჭდება სააგენტო „ინფოზავრის" ნებართვით

# ახალი თაობა

გაზეთის ელექტრონული ვერსია ინტერნეტში:
http://www.opentext.ge/akhalitaoba

**18 მაისი**

## ქართული ლარის მიმართ უცხოური ვალუტების გაცვლითი კურსი

აშშ დოლარი — 1,6766

ევრო —2,4901

ინგლისური გირვანქა სტერლინგი — 2,7672

რუსული რუბლი — 0,0612

## ამინდის პროგნოზი 18 მაისისთვის

**აღმოსავლეთ საქართველო:** ცვალებადი მოღრუბლულობა, წვიმა, ტემპერატურა დღისით — 22-25, ღამით — 12-13

**დასავლეთ საქართველო:** ცვალებადი მოღრუბლულობა, წვიმა, ტემპერატურა დღისით — 25-27, ღამით — 15-16

**სამხრეთ საქართველო:** ცვალებადი მოღრუბლულობა, წვიმა, ტემპერატურა დღისით — 17-29, ღამით — 6-13








წამალი "ფერდი" შეიცავს არაერთ ბიოლოგიურად აქტიურ სამკურნალო ნივთიერებას. "ფერდი" დამამშვიდებელი, ტკივილგამაყუჩებელი, ანტისეპტიკური, ანტიმიკრობული და მაღალი ანტიოქსიდანტური აქტივობის მქონე მცენარეული წამალია.ის გამოიყენება, როგორც დამამშვიდებელი საშუალება ვეგეტონევროზის (უძილობა, აგზნებულობა, შიში, ნერვული აშლილობა, დაძაბულობა) დროს, როგორც ხველების დამაწყნარებელი, აგრეთვე კუჭ-ნაწლავის ,ქრონიკული ფაღარათის, ფილტვების, პირისღრუს, საშარდე გზების, სქესობრივი გზით გადამდები ინფექციური დაავადებების მკურნალობისას.

წამალი "ფერდის" მოქმედება განპირობებულია ფარმაკოლოგიურად აქტიური ნივთიერებების კომპლექსით .მათშორის უპირველეს ყოვლისა, აღსანიშნავია გლიკოზი და მიგდალინი, რომელიც კუჭის ფერმენტის ზემოქმედებით იშლება და გამოყოფს ტკივილ გამაყუჩებელი,ანესთეზიური,ანტიბაქტერიული და სპაზმოლიზური თვისებების მქონე ციანწყალბადმჟავას.

ნედლეულის შემადგენლობაში შედის ნაერთები — გლიკოზიდები: ამიგდალინი, პრულაურაზინი (ლაურაცერაზინი) და მისი სტერეოიზომერი პრუნაზინი, თავისუფალი ციანწყალბადმჟავა - 0,4 - 5%; მთრიმლავი ნივთიერებები - 25%, 0,5% ეთერზეთები, 2,7% ტრიტერპენოიდები (ურსოლის მჟავა-1%), პროანთოციანები, ფენოლკარბონმჟავები (ჰიდროლიზდება კოფეინის, პარა-კუმარის მჟავას წარმოქმნით), კატეხინები (დიმერული, ტრიმერული კატეხინები, ეპიკატეხინი, (+)-კატეხინი, (–)-ეპიკატეხინი), ვიტამინი C, სტეროიდები (ბეტა-სიტოსტერინი, სტიგმასტერინი, ქოლესტერინი), ფლავონოიდები, რომელთა ჰიდროლიზით მიიღება ქვერცეტინი;

პრეპარატის ანტიოქსიდანტური აქტივობაა 72-85%;

წამალი "ფერდი" იკითხეთ აფთიაქებში. დალუქულ ქილაში მოთავსებულია 90 კაფსულა, თუ შეიძენთ ცალობით თითოეულ კაფსულაზე უნდა იყოს წარწერა "ფერდი". 2011 წელს მისი ფასი არ უნდა აღემატებოდეს 30 ლარს.

გამოყენების წინ გაეცანით ინსტრუქციას, გვერდითი მოვლენების შესახები ნფორმაციისთვის მიმართეთ ექიმს.

WWW.PHERDI.GE ☎ 95-90-60

ექიმის კონსულტაცია უფასოა.

მის: დავით აღმაშენებლის გამზ.146


# ნაკრების ლაზარეთი იცლება



ქართველ გულშემატკივარს შეუძლია მშვიდად იყოს — თუ კიდევ რამე უსიამოვნება არ შეემთხვათ, კახა კალაძე და ჯანო ანანიძე 3 ივნისს ხორვატიის წინააღმდეგ ითამაშებენ. შეგახსენებთ, ტრავმის გამო კალაძეს რამდენიმე დღე გაუცდა, ანანიძეს - შედარებით ხანგრძლივი პერიოდი, თუმცა ახლა ორივეს მდგომარეობა უკეთესობისკენ მიდის.

კახამ კოჭის ტკივილის გამო სერია ა-ს წინა ტურში "ლაციოსთან" მატჩი გამოტოვა, თუმცა "ჯენოას" ვებგვერდის ცნობით, საქართველოს ნაკრების კაპიტანი თავს უკვე კარგად გრძნობს და 22 მაისს იტალიის ჩემპიონატის ბოლო ტურში "ჩეზენასთან" თამაშს შეძლებს.

რაც შეეხება ჯანოს, მან უკვე დაასრულა ინდივიდუალური პროგრამა და „სპარტაკის" ფეხბურთელებთან ერთად ვარჯიშს შეუდგა. რუსული პრემიერლიგის შემდეგ ტურში „სპარტაკი" ალექსანდრე ამისულაშვილის "კრასნოდარს" ეთამაშება და ანანიძის მოედანზე ხილვა სავსებით შესაძლებელია.

ცხადია, ეს ამბები ყველაზე მეტად თემურ ქეცბაიას ახარებს, რომელსაც ნამდვილად არ სურს შემადგენლობაში როტაცია მოახდინოს და ერთბაშად რამდენიმე ფეხბურთელი ჩაანაცვლოს. თუმცა, რამდენიმე სიახლეს მისგან მაინც ველოდებით და პირველ რიგში ეს შეტევის ხაზში უნდა მოხდეს. დაუდასტურებელი ინფორმაციით, ქეცბაია ხორვატიასთან მატჩისთვის დანიის „ორხუსის" შემტევ დავით დევდარიანს გამოიძახებს.

მ. ჟ.

# მსოფლიო სავალუტო ფონდის ხელმძღვანელს მომჩივანი ქალი საფრანგეთშიც გამოუჩნდა



ფრანგი მწერალი ქალი ტრისტან ბანონი მსოფლიო სავალუტო ფონდის ხელმძღვანელის, დომინიკ სტროს-კანის წინააღმდეგ 10 წლის წინ მომხდარ ინციდენტთან დაკავშირებით სექსუალური შევიწროვების ბრალდებების წაყენებას აპირებს.

როგორც ბანონის ადვოკატმა დავიდ კუბიმ განაცხადა, ამჟამად იურისტები სარჩელზე მუშაობენ.

ტრისტან ბანონის სიტყვებიდან ჩანს, რომ 2002 წელს იგი ინტერვიუს იღებდა სტროს-კანისაგან, რომელიც იმ მომენტისათვის ფინანსთა მინისტრი იყო. ამ დროს იგი მინისტრის სახლში იმყოფებოდა და სტროს-კანმა ამ გარემოებით ისარგებლა.

საფრანგეთის კანონების თანახმად, დაზარალებულმა მხარემ სექსუალური დევნის ან ხელყოფის ბრალდებები მომხდარიდან სამი წლის განმავლობაში შეიძლება წარადგინოს, მაშინ როდესაც გაუპატიურების მცდელობის ბრალდებები მცდელობიდან 10 წლის განმავლობაში შეიძლება იქნას წარდგენილი.

ბანონის გარემოცვის წევრების თქმით, ბანონმა სტროს-კანს იმიტომ არ უჩივლა, რომ დედამ დაითანხმა.

გაგრძელება მე-11 გვერდზე


16 მაისიდან

იყიდება

100 წიგნი

„ახალი თაობის" და „საოჯახო ბიბლიოთეკის"

სუპერპროექტის

ადამიანები, რომელთაც შეცვალეს მსოფლიო




ტომი 5

სერვანტესი

გაზეთი და წიგნი ერთად

8 ლარი


## ასტროპროგნოზი 18 მაისისთვის

ყველამ გაითვალისწინეთ!

წარმატებული დღეა

**ვერძი** — გაგიმართლებთ, ყველა საქმე გამოგდით. **კურო** — ის საქმე აკეთეთ, რაც კარგად გამოგდით. **ტყუპები** — რისკი არ არის გამართლებული, ეს დღე მშვიდად გაატარეთ. **კირჩხიბი** — იმიჯის შეცვლა თქვენზე დადებით გავლენას მოახდენს. **ლომი** — ფულს შოულობთ, პრობლემები არ გაქვთ. **ქალწული** — სასიყვარულო თავგადასავალი სტიმულს მოგანიჭებთ. **სასწორი** — ჩაფიქრდით საკუთარ შეცდომებზე, სხვის მიმართ მიმტევებელი იყავით. **მორიელი** — სახლში სიახლეა, რემონტს წამოიწყებთ. **მშვილდოსანი** — წარსულიდან ვიღაც ბრუნდება, მას თქვენთვის რაღაც აქვს სათქმელი. **თხის რქა** — გზიდან ფულს და საჩუქარს მიიღებთ, გახარებული ხართ. **მერწყული** — არ აჩქარდეთ, მშვიდად იმოქმედეთ. **თევზები** — მშვენიერი დღეა, საქმეს ბოლომდე მიიყვანთ.

გისურვებთ ბედნიერ დღეს!

## კროსვორდი

**შვეულად:** 1. ცნობილი ფრანგი ბალეტმეისტერი; 2. ავსტრალიური ველური ძაღლი; 3. მანძილის საზომი ერთეული ბაბილონსა და ანტიკურ ქვეყნებში; 4. ყინულის ძველი ქართული სახელწოდება; 6. სამეგრელოს უკანასკნელი მთავარი; 9. კურსი, რომლითაც ბანკი აწარმოებს ფასიანი ქაღალდების ყიდვა-გაყიდვას; 11. გემის გამაწონასწორებელი ტვირთი; 15. ბალნეოლოგიური კურორტი აზერბაიჯანში; 16. ახლად ამოსული პურის ყანა; 17. ცილისმწამებლური, შეურაცხმყოფელი სტატია, პუბლიკაცია; 19. ზამთრის ერთ-ერთი თვე; 21. გერმანელი კომპოზიტორი ოპერა „მფრინავი ჰოლანდიელი"-ს მუსიკის ავტორი; 22. ლიხტენშტეინის დედაქალაქი.

**თარაზულად:** 5. საწყალოსნო სპორტის ერთ-ერთი სახეობა; 7. ღვთის სადიდებელი შეძახილი ქრისტიანულ მღვდელთმსახურებაში; 8. ჩეხეთის ფეხბურთელთა გუნდი; 10. საბილიარდოს მოსამსახურე პირი; 12. შიშველი, წვეტებიანი კლდე; 13. უძრავი ქონების დროებითი დაქირავება; 14. ინგლისელი კომიკოსი; 18. შვედური მსუბუქი ავტომობილი; 20. ებრაელთა უდიდესი რელიგიური დღესასწაული; 23. პოეტ ნიკოლოზ რაზიკაშვილის ლიტერატურული ფსევდონიმი; 24. წყალზე მცურავი ფრინველი; 25. სამხედრო საზღვაო პოლიგონი საქართველოში; 26. დარიშხანის საბადო ლენტეხის რაიონში; 27. შუამავალი ბირჟაზე.

*შეადგინა თ. კოპალეიშვილმა*

